აკუნა მატატა, პრეზიდენტო... A3

3 ნოემბრიდან საქართველოს პოლიტკრანებზე იხილეთ... A3

პრესომბუდსმენი B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 13 ოქტომბერი, 2003 წელი. №270 (482)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

#### საპროტესტო განცხადება

*დღეისათვის ფოთში შეჩერდა ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი "სად მიდის ჩვენი ფული?" დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ "ფოთის" გამოცემა; სოციალურად დაუცველ ადამიანთა უფლებების დაცვისათვის მიმდინარე პროექტი "ძალი უძალოთა"; დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშემწყობი პროექტები.*

A2

### ეკონომიკა

#### საქართველოს 2004 წელს საგარეო ვალების ტვირთი დაუმძიმდება

*საქართველოს ხელისუფლებას სსფ-ს წინაშე წლეულს მაინც რომ არ "ეკუნტრუშა", გუშინ, ანუ 12 ოქტომბერს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე საქართველოსთვის პროგრამის აღდგენის საკითხს განიხილავდნენ და, ცხადია, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივა გაცილებით უფრო ნათელი იქნებოდა, ვიდრე ეს დღეს გახლავთ.*

A3

### უცხოეთი

#### ბაღდადში ამერიკელი მზვერავების სასტუმრო ააფეთქეს

გუშინ, ბაღდადის გარეუბანში მდებარე სასტუმროს გვერდით, რომელშიც ამერიკის ოფიციალური პირები იმყოფებოდნენ, მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, 10 ადამიანი დაიღუპა და უფრო მეტი დაიჭრა.

A5

### საზოგადოება

#### გადავარჩინოთ და დავაკავოთ შვიდი პროცენტი

ხევსურეთის სოფელ როშკაში შვიდი წლის ბავშვებმა ჯერ კიდევ არ იციან, რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ჭერში ჩამოკიდებულ ნათურას...

A6

### სამართალი

#### იტალიის მოქალაქეს პოლიტიკურ ნიადაგზე დანაშაულს აბრალებენ

შაბათს ღამით, დაახლოებით 2-ის ნახევარზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი შინ ფეხით ბრუნდებოდა, როდესაც სამი უცნობი დაესხა თავს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | ☼ |
| ქუთაისი | 24 | ☼ |
| ბათუმი | 21 | ☼ |
| სოხუმი | 22 | ☼ |
| ფოთი | 21 | ☼ |
| თელავი | 19 | ☼ |
| ზუგდიდი | 25 | ☼ |
| გორი | 20 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1025 |
| ევრო | 2.4864 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4990 |
| რუბლი | 0.0692 |

# თამაშის წესები ხალხის არჩევანია

შოთა უტიაშვილი

1938 წელს "მიუნხენის გარიგება" დასავლეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო მოვლენად შევიდა. მაშინ ინგლისმა და საფრანგეთმა ჰიტლერს დაუთმეს ჩეხოსლოვაკია და ავსტრია იმ იმედით, რომ ნაცისტური გერმანია ამ ლუკმით დაკმაყოფილდებოდა და მსოფლიო ომი აღარ დაიწყებოდა.

როგორ დამთავრდა ეს ამბავი, ყველამ კარგად იცის. გერმანიამ "საჩუქარი" მიიღო და შემდეგ ინგლისსა და საფრანგეთს შეუტია. ამიტომ, მიუნხენი დღემდე ახსოვთ არა მხოლოდ როგორც უზნეობის, არამედ პოლიტიკური სიბეცის მაგალითი.

თავისი საარჩევნო ბლოკის პრეზენტაციაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ პირდაპირი პარალელი გაავლო 1938 წელსა და დღევანდელ დღეს შორის. "ჰიტლერიც არ ამბობდა, რომ მთელი ევროპის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი. იგი ამბობდა, რომ მხოლოდ ავსტრიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის "დახმარება" სურდა", – განაცხადა პრეზიდენტმა. მან აშკარად მიანიშნა იმაზეც, რომელი სახელმწიფო მიაჩნია თანამედროვე "ნაცისტურ გერმანიად".

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა თავისი რუსი კოლეგა ჰიტლერს შეადარა. თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვის დროსაც კი, როდესაც საქართველოს პირდაპირი სამხედრო საფრთხე ემუქრებოდა და რუსული თვითმფრინავები ჩვენს ტერიტორიას ბომბავდნენ, შევარდნაძე პოლიტკორექტულობას ინარჩუნებდა.

ბოლო ხანს საქართველოს ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში ყველაზე უარესი უკვე გავლილია და, მართალია ურთიერთობების დარეგულირებამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ კრიზისზეც არ არის საუბარი. მაშ, რატომ გააკეთა ასეთი უკიდურესად შეურაცხმყოფელი განცხადება შევარდნაძემ? - დღევანდელ მსოფლიოში ჰიტლერი აბსოლუტური ბოროტების სიმბოლოდ განიხილება და შეუძლებელია პოლიტიკური ლიდერის მიმართ უფრო უარესი შედარების გამოთქმა.

პრეზიდენტის განცხადება რუსეთის სამხედრო დოქტრინის გამოქვეყნებას მოჰყვა. დოქტრინა, მართლაც, ძალზე აგრესიულია, განსაკუთრებით ე.წ. "ახლო საზღვარგარეთის" მიმართ.

რუსეთი აცხადებს, რომ დსთ-ს თავისი "სასიცოცხლო ინტერესების ზონად" განიხილავს. თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა პირდაპირ მოსთხოვა ამერიკელებს, როგორც კი ავღანეთში სამხედრო ოპერაციებს მორჩებიან, მაშინვე გაიყვანონ ჯარები ამ "ზონიდან". მოსკოვის ეს მოთხოვნა, სამართლებრივი თვალსაზრისით, სრული აბსურდია. საერთაშორისო სამართალი არ ცნობს "გავლენის სფეროს" ცნებას, სამაგიეროდ ცნობს სუვერენიტეტის კონცეფციას და სახელმწიფოს უფლებას, ითანამშრომლოს იმასთან, ვისთანაც სურს.

ახალი დოქტრინა რუსეთის არმიას ანიჭებს უფლებას, პრევენციული დარტყმები განახორციელოს დსთ-ის სახელმწიფოების ტერიტორიაზე, თუ მის სტრატეგიულ ინტერესებს საფრთხე დაემუქრება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩეჩენი მებრძოლები, კადიროვის პროგრამა და ალა დუდაევა

ლევან ღირსიაშვილი

*ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში აჰმად კადიროვის "გამარჯვებით" რომ კონფლიქტი არ დასრულდებოდა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. ექსპერტები და თავად ჩეჩნეთის მოსახლეობა მესამე დიდი ომის მოლოდინში იყვნენ. ამბოხებულ რესპუბლიკაში სისხლისღვრის ახალი ძალით გაჩაღების ნიშნები უკვე სახეზეა.*

**ჩეჩენი მებრძოლები**

შაბათს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რამდენიმე შეტაკება მოხდა, რასაც, საერთო ჯამში 12, ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის არიან როგორც ჩეჩენი ამბოხებულები, ასევე ფედერალური ძალების ჯარისკაცებიც. ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო "ასოშეიტედ პრესს" კადიროვის ადმინისტრაციის ანონიმმა თანამშრომელმა მიაწოდა. იმავე დღეს ჩეჩენმა მებრძოლებმა ფედერალური ჯარების საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მიიტანეს შეტევა, რასაც ორი რუსი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვა და 10 ჯარისკაცის დაჭრა მოჰყვა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ჩეჩნეთში "წმენდის" მორიგი რაუნდი დაიწყო.*

# პარლამენტში მოხვედრის მსურველი ბევრია

ლელა მჭედლიძე

*პარლამენტში მოხვედრის მსურველი ბევრია, ადგილები კი - შეზღუდული. ერთ სავარძელზე რამდენიმე კანდიდატი მოდის. განსაკუთრებით, ამ მხრივ, მაჟორიტარობის კანდიდატებს უჭირთ. თუმცა, როგორც წესი, ამინდს რეგიონში კონკრეტული ადამიანები ქმნიან. მაგალითად, როგორც ამბობენ, საჩხერეში დეპუტატობის ის კანდიდატი მივა საპარლამენტო ფინიშთან, ვისაც ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი დაუჭერს მხარს. ასევე, ხმების თანახმად, ცნობილი ბიზნესმენის სიმპათიებით, ბოლო დროს, "ამღორძინებელი" ვალერი გელბახიანი სარგებლობდა, ჭიათურაში - თემურ ჯაფარიძე, საჩხერეში კი - თემურ ხურციძე. საბოლოოდ, "მრეწველებმა" ასეთი არჩევანი გააკეთეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*იმერელ აქტივისტებთან კი თოფაძე და ტყემალაძე ბევრი მონაპოვრით ამაყობდნენ.*

## "დემოკრატები" ქუთაისში ყოველი ხმისთვის იბრძვიან

ბექა სისაური
ქუთაისიდან

უკვე ყველასათვის ცხადია, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობებში სახელისუფლებო ბლოკს გამარჯვების მეტად მცირე შანსები გააჩნია. ხელისუფლება განსაკუთრებულ დარტყმას ქუთაისიდან ელის, სადაც "ბურჯანაძე-დემოკარტების" ლიდერი, მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს. ბლოკმა "ახალი საქართველოსათვის" მის კონკურენტად დოდო შელია ისე წარადგინა, რომ მისი გამარჯვების თავადაც არ სჯერათ. ამიტომაც, ქუთაისში ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკა "ბურჯანაძე-დემოკრატებისთვის" დაბალი მაჩვენებლის დაფიქსირებისკენაა მიმართული. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების მცდელობები წარმოადგენს.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ქუთაისის შტაბში უკვე სახელისუფლებო ბლოკის მიერ არჩევნების გასაყალბებლად განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებებზე ალაპარაკდნენ. **"საარჩევნო სიებში არ არის დაფიქსირებული ქალაქში მცხოვრები 8 ათასი დევნილი. ამ ხალხს ყველაფერი წაართვეს და ახლა არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასაც ართმევენ. გაზრდილია მიცვალებულთა სიები. ხოლო იმ უბნებში, სადაც განსაკუთრებით მაღალი რეიტინგი გვაქვს, ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად შეამცირეს,"** - განაცხადა სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე შტაბის ხელმძღვანელმა გოგიტა გეგელაშვილმა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ჟურნალისტებზე ძალადობა ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იქცა

არჩევნები, თენგიზ ჯგუშია და ცემა-ტყეპა ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებული ცნებებია, ოღონდ ამჯერად, საკუთარი კანდიდატურის ოფიციალურად წარდგენის წინა ღამეს, სახელისუფლებო ბლოკის ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა წარსულში აპრობირებული წინასაარჩევნო ტაქტიკა შეცვალა და მოქნეული მუშტისთვის საკუთარი სახის შეშვერის ნაცვლად, "რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფი დააზარალა.

ზუგდიდში თენგიზ ჯგუშიას კანდიდატურის პრეზენტაციისთვის თვით სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ჩავიდა. მისი განცხადებით, სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატი **"მზად არის იმისთვის, რომ ზუგდიდის მოსახლეობის, ამ რაიონში მცხოვრები დევნილების ინტერესები დაიცვას და ამით სახელისუფლებო ბლოკს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო სამსახური გაუწიოს".**

გაგრძელება A7 გვერდზე

## სად „ილექება" სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მოგება?

*სახელისუფლებო ბლოკის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი, უკანასკნელი რამდენიმე თვეა, კვლავ აქტუალური გახდა. დამოუკიდებელი ექსპერტების ვარაუდით, პრეზიდენტ შევარდნაძის გუნდს საკუთარი საარჩევნო ბილბორდების, ბუკლეტების, სარეკლამო ვიდეო-კლიპებისა და რეგიონებში ვოიაჟების ხარჯების დაფარვა, სხვა არალეგალურ რესურსებთან ერთად, სახელმწიფო საწარმოებიდან ამოღებული მოგებიდანაც არ გაუჭირდება. ამიტომაც, ხსენებული საწარმოებიდან დივიდენდების სახით, 2003 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი 16 მილიონის ნაცვლად, ექსპერტების წინასწარი პროგნოზით მხოლოდ მიზერული თანხა შევა. თუმცა, ამის მიზეზი მხოლოდ არჩევნები როდია.*

ეთერ მამულაშვილი

სახელმწიფო საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში სრული ქაოსი და განუკითხაობაა. პრობლემების ის კასკადი, რომელიც ამ საწარმოებშია შექმნილი, თითქმის ყველგან ერთმანეთის იდენტურია. თითოეულ მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომაც დღეს მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილ დივიდენდებს შევეხებით.

საწარმოებიდან წმინდა მოგების სახით ამოღებული თანხების არამიზნობრივად განკარგვა და მილიონობით ლარის ცალკეულ ჩინოვნიკთა ჯიბეებში ჩალექვა უკვე კარგად გაცვეთილი თემაა, რაზეც სახელმწიფო მოხელეები, კარგა ხანია, გულგრილადაც საუბრობენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## თავისუფლება და დემოკრატია ჩვენში, ანუ მაკარტიზმი ქართულად

ნიკოლოზ რურუა

*როცა დღევანდელი ახალგაზრდა იღვიძებს თავისი თავის, ცნობიერებისა და აზროვნების მიმართ, ის ფეხზე მდგომი გვამების ტყეში აღმოჩნდება.*
მერაბ მამარდაშვილი. 1990.

ის, რომ დემოკრატია, როგორც მმართველობის სისტემა, საქართველოში ჯერ კიდევ ემბრიონულ კონდიციაში იმყოფება, არ წარმოადგენს აღმოჩენას; იგი იმ მდგომარეობაშია, რომ მისი ჩაკვლა არცთუ ისე რთულია. ამას ხშირად და პირდაპირ გვახსენებს ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი გულშემატკივარი.

დღევანდელი ხელისუფლებაც არანაკლები სიხშირით ცდილობს იმის მომიზეზებას (სხვაგვარად, ამას არგუმენტს ვერ ვუწოდებთ), რომ უკანასკნელი თორმეტი წელიწადი არ არის დროის ის საკმარისი მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ქვეყნის ცხოვრებაში უკვე მიღწეულზე მეტის მოპოვება იყო შესაძლო. ეს, რა თქმა უნდა, მისი მხრიდან უნიჭო თავის მართლების მორიგი მცდელობაა.

მმართველობის ერთი სტრუქტურის რღვევა, მისი შემცვლელი მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბებამდე, როგორც წესი, ფასეულობათა იმგვარ ვაკუუმს წარმოშობს, რომელიც სწრაფად და გააზრებულად ახალი სუბსტანციით არშევსების შემთხვევაში დროში იწელება და თვითდინებას ეძლევა. ამგვარი "მოძრაობა უძრაობაში" კი აუცილებლად საკუთარ, ქაოსურ დინამიკას გამოიმუშავებს ხოლმე, რომლის შეჩერებაც ძლიერ მაღალი სოციალური საფასურის გადახდის წყალობით თუ ხდება შესაძლებელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 არქივიდან

B1 პრესომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6-B7 ტოტო-ლოტო | B8 სხვადასხვა

# საპროტესტო განცხადება

**ასოციაცია "თავისუფალი პრესის", "საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაციის", "საქართველოს მაუწყებელთა ასოციაციის" მხარდაჭერით**

*დღეისათვის ფოთში შეჩერდა ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი "სად მიდის ჩვენი ფული?" დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ "ფოთის" გამოცემა; სოციალურად დაუცველ ადამიანთა უფლებების დაცვისათვის მიმდინარე პროექტი "ძალი უძალოთა"; დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშემწყობი პროექტები.*

ეს ყველაფერი გამოიწვია ცინიკურმა ქურდობამ, რომელიც საკმაოდ ბევრ ეჭვს ბადებს.

გაიძარცვა ოფისი, რომელიც განთავსებულია ქალაქის ცენტრში, პოლიციის სამმართველოდან 100-150 მეტრში მდებარე შენობაში მესამე სართულზე. შენობა შემოღობილია, ჰყავს საერთო დარაჯი, ხოლო შენობის პირველ და მეორე სართულებს იცავს სახელმწიფო დაცვის პოლიცია, რომელიც 24 საათის განმავლობაში შენობის შესასვლელ-გასასვლელებს იღებს ვიდეოკამერებით. გამომძიებლის განცხადებით, ქურდობის ღამეს ჩანაწერი დილის 4 საათზე შეწყდა და ორიოდე საათში განახლდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა. კრიტიკული პუბლიკაციების გამოქვეყნებასა თუ გაბედული პროექტების განხორციელებას ყოველთვის თან სდევდა გაზეთ "ფოთისა" და არასამთავრობო ორგანიზაციის "თავისუფლებისა და დემოკრატიის საზოგადოებრივი ცენტრის" წინააღმდეგ მიმართული კრიმინალური ფაქტები. დღემდე ეს რედაქტორის ავტომანქანის საბურავების დაჭრაში, კრიმინალური ავტორიტეტების მიგზავნაში, ბინის გაქურდვაში, ავტომანქანის მოპარვასა და დამტვრევაში, გაზეთის კრიტიკული ნომრების ქსელიდან სრულ ამოღებაში, გაზეთის დისტრიბუტორებისა და თანამშრომლების დაშინებაში, საგადასახადო სტრუქტურების ხშირ სტუმრობაში და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარებში გამოიხატებოდა. თითოეულ ფაქტს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, ისე გაზეთი ახმაურებდა და სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამის რეაგირებას სთხოვდა. ***ჩამოთვლილი შემთხვევის გამო, ფოთის პოლიციის სამმართველოში აღძრულია 4 საქმე, მაგრამ არც ერთი არ არის გახსნილი.***

საქართველოს დამოუკიდებელ მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს მიგვაჩნია, რომ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით გახშირდა ცალკეულ ჟურნალისტებზე და რედაქციებზე ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა სახის ძალადადობის ფაქტები. რაც, ჩვენი აზრით, მოახლოებულ არჩევნებს და გაზრდილ პოლიტიკურ დაპირისპირებას უკავშირდება.

შევახსენებთ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ მათი პირდაპირი კონსტიტუციური მოვალეობაა უზრუნველყონ მოქალაქეთა და, მათ შორის, ჟურნალისტური საზოგადოების ფიზიკური და ქონებრივი უსაფრთხოება და უზრუნველყონ ქვეყანაში ინფორმაციის შეუფერხებლად გავრცელების უფლება.

***თუ უახლოეს პერიოდში ან არჩევნებამდე ხელისუფლებისთვის მიუღებელი გაზეთისა და ანტიკორუფციული პროექტების მუშაობა ვერ განახლდება, ჩვენი აზრით, ხელისუფლებისა და კრიმინალური ძალების ერთობლივი ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდება.***

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს თავისუფალი მასმედია, არასამთავრობო სექტორი და ის საღი ძალები, რომლებიც, შესაძლოა, დარჩა საქართველოს ხელისუფლებაში, ყველაფერს იღონებენ, რათა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას და სხვა დემოკრატიულ პროცესებს საფრთხე არ შეექმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში.

# "დემოკრატები" ქუთაისში ყოველი ხმისთვის იბრძვიან

პირველი გვერდიდან

მან კონკრეტული ფაქტებიც მოიშველია. მაგალითად, ქუთაისის 64-ე საარჩევნო უბანში (23-ე საშუალო სკოლა) თვითმმართველობის არჩევნებისას 2300 ამომრჩეველი ყოფილა დაფიქსირებული. წელს კი უბნის უფროსისთვის მხოლოდ 300 კაციანი ამომრჩეველთა სია მიუციათ და თან დამუქრებიან, არაფერი თქვაო. გოგიტა გეგელაშვილის განმარტებით, სახელისუფლებო ბლოკი მარტო საარჩევნო უბნის უფროსების დაშინებით არაა დაკავებული. ისინი საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელებსაც იბარებენ და შესაბამის დირექტივებს აძლევენ. გეგელაშვილი ამ ეტაპზე ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებზე ფლობს: **"სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს იბარებენ, აშინებენ, ემუქრებიან და ხელს რაღაც გაურკვეველ ბლანკებზე აწერინებენ."** მან მტკიცებულებად აღნიშნული ბლანკიც წარმოადგინა. **"ბოლო ინფორმაციით რამდენიმე თვის წინ პოლიციის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შედგენილი ამომრჩეველთა სია 72000 კაცს ითვლიდა, ახლა კი ეს ციფრი 82122-მდე გაზარდეს,"** - ამბობს გეგელაშვილი. დაფიქსირებული დარღვევების აღმოსაფხვრელად "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" მოსახლეობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდეს, საჭიროების შემთხვევაში კი, ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს. **"ბურჯაანაძე-დემოკრატების" ქუთაისის ორგანიზაცია მოუწოდებს მათ, ვინც ვერ იპოვა საკუთარი თავი სიებში, განურჩევლად იმისა, თუ ვის უჭერს მხარს, მოვიდნენ ჩვენს ოფისში. მათ გაეწევათ ყოველგვარი დახმარება, რათა არ დავკარგოთ ამომრჩევლის ხმა. ერთ პარტიას მეტის გაკეთება არ შეუძლია, ამიტომაც მოგიწვიეთ თქვენ, რათა თქვენი და საზოგადოების მხარდაჭერით, ქუთაისში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ერთად მივაღწიოთ!"** - განაცხადა გეგელაშვილმა.



*"ბურჯანაძე-დემოკრატებმა" მოსახლეობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდეს.*

# თამაშის წესები ხალხის არჩევანია

პირველი გვერდიდან

რუსების ახალი სამხედრო დოკუმენტი დასავლეთის წინააღმდეგაცაა მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინაში საუბარია დასავლეთთან სამხედრო თანამშრომლობაზე, რუსი სამხედროები ნატო-ს მაინც მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის "შეტევით დოქტრინაზე" რეაგირებენ.

ახალი სამხედრო დოკუმენტის ავტორები სიამაყით საუბრობენ რუსეთის ბირთვულ არსენალზე, რომელიც ახალი, უფრო სრულყოფილი ბალისტიკური რაკეტებითა და ატომური ქობინებით უნდა აღიჭურვოს.

ერთი სიტყვით, ამ დოქტრინაში ყველაფერია იმისათვის, რომ რუსეთის არც შორეულმა და არც ახლო მეზობლებმა თავი მშვიდად არ იგრძნონ.

თუმცა, დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ დოქტრინა, სამხედო თვალსაზრისით, უვარგისი დოკუმენტია და მისი მეშვეობით შეუძლებელია იმის გარკვევა, რას მიიჩნევს რუსეთი მთავარ საფრთხეებად და რა მეთოდებით აპირებს მათთან გამკლავებას.

დოქტრინის გამოქვეყნებას არც დასავლეთში გამოუწვევია განსაკუთრებული აჟიოტაჟი. რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი, მას შემდეგ, რაც ნატო-ს აგრესიული ორგანიზაცია ეძახა და ბირთვული იარაღითაც მოიწონა თავი, მშვიდად ჩავიდა ამერიკაში გამართულ ნატო-ს სამიტზე. დოქტრინასთან დაკავშირებული შეკითხვებით იგი დიდად არც შეუწუხებიათ.

ერთი სიტყვით, დოქტრინა ექსპერტთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობამ მორიგ წინასაარჩევნო დოკუმენტად ჩათვალა, რომელსაც მაშივე დაივიწყებენ, როგორც კი დუმისა და პრეზიდენტის არჩევნები ჩაივლის.

მაგრამ ასე არ ფიქრობს პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელიც ამ დოქტრინაში და რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებში ხედავს საშიშროებას, რომ რუსეთი ისევე მოექცევა თავის მეზობლებს, როგორც ნაცისტური გერმანია.

ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო შეშფოთებით უყურებს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მზარდ თანამშრომლობას. ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა იმან, რომ ამერიკელებმა, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთეს "ეი-ი-ეს"-ის წასვლის თავიდან ასაცილებლად.

არც ისე დიდი ხნის წინ, ჰარვარდის უნივერსიტეტისა და "ნიქსონის ცენტრის" დაკვეთით გამოვიდა მოხსენება, რომელშიც საქვეყნოდ ცნობილი ექსპერტები ურჩევენ ადმინისტრაციას, თავი შეიკავოს მომავალში აფხაზეთის კონფლიქტში ყოველგვარი ჩარევისაგან და არ გააღიზიანოს რუსეთი ისეთი გაერთიანებების მხარდაჭერით, როგორიცაა "სუუამი".

ამ ფონზე, პრეზიდენტი შევარდნაძე, შესაძლოა, მართლა ხედავს იმის საფრთხეს, რომ რუსეთი ისევე მოექცევა საქართველოს, როგორც ნაცისტური გერმანია ექცეოდა თავის მეზობლებს, და მოუწოდებს აშშ-ს, არ დაუშვას ახალი მიუნხენი.

ან, შესაძლებელია მეორე ვარიანტიც. ამ ბოლო დროს თბილისს ერთმანეთის მიყოლებით სტუმრობენ მაღალი რანგის ამერიკული დელეგაციები. ამბობენ, რომ არჩევნების წინ კიდევ ერთი ასეთი ვიზიტი იგეგმება. ამ სტუმრობების დროს, ამერიკელები ცდილობენ დაუმტკიცონ პრეზიდენტს, რომ არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში საქართველო ბევრს მოიგებს, ხოლო ცუდად ჩატარების შემთხვევაში – ბევრს დაკარგავს. სენატორი მაკკეინი ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზეც საუბრობდა. ერთი სიტყვით, ამერიკელები ფსონებს ძალიან მაღლა სწევენ.

შევარდნაძემ კი ფსონები კიდევ უფრო მაღლა ასწია. მისი ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, საქმე უკვე მხოლოდ ერთ ქვეყანას არ ეხება: საქართველოს დახმარებით და რუსების აგრესიული გეგმების ჩანასახშივე ჩაკვლით, ამერიკელები რუსეთის იმპერიის აღორძინებას შეაჩერებენ. და როცა ფსონზე ამხელა რამ დევს, რა მნიშვნელობა აქვს ისეთ ტრივიალურ რამეს, როგორიცაა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები, ან შემდგომ - საპრეზიდენტო? ამგვარად, პუტინის ჰიტლერად მონათვლით, შესაძლოა, პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ საკუთარი პარტიისათვის ფონის გაუმჯობესებას შეეცადა.

ძნელი სათქმელია, პირველი ვარიანტია უფრო სწორი თუ მეორე, მაგრამ ყველაზე სავარაუდოა, რომ პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფოს და თავის გადარჩენას შორის განსხვავებას ვერ ხედავს.

არ არის გამორიცხული, რომ საბოლოოდ ვაშინგტონმა შევარდნაძის პოზიცია გაიზიაროს. მით უმეტეს, რომ ოპოზიციამ სწორად ვერ გაიგო თამაშის არსი: იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში პრეზიდენტისა და მისი ოჯახისათვის ხელშეუხებლობის გარანტიები მიეცათ, რათა ბეიკერის გეგმა განხორციელებადი ყოფილიყო, ისინი "შევარდნაძის კლანთან" ანგარიშსწორებით იმუქრებიან.

მაგრამ ამერიკული გეგმის განხორციელებას სახელმწიფოებრივის პირადულზე მაღლა დაყენება სჭირდება და - ხალხი, რომელიც პოლიტიკოსებს ამას აიძულებს.

# პარლამენტში მოხვედრის მსურველი ბევრია

პირველი გვერდიდან

თუმცა, საკუთარი პარტიის სახელით დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას, როგორც საჩხერეში, ისე ჭიათურაში "მრეწველმა" გოგი თოფაძემ აღნიშნა, რომ მასთან სულ ორი დღის წინ სატელეფონო საუბრისას, ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, პოლიტიკისგან შორს ვდგავარ და მასში გახვევის სურვილი იმდენად არ მაქვს, რომ საკუთარი ოჯახის წევრებს ლამისაა არჩევნებზე ხმის მისაცემად მისვლაც კი ავუკრძალოო. შესაბამისად, თოფაძემ არ თქვა, რომ ივანიშვილი მისი პოლიტიკური მხარდამჭერი და თანამოაზრეა, თუმცა, ის კი არ დაუმალავს, რომ ამ ცნობილ ბიზნესმენთან საკმაოდ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს და მრავალ ერთობლივ ბიზნეს-გეგმასაც სახავს... ყველაზე მეტად იგი "ძევრულა-ჰესის" შესყიდვასა და რამდენიმე რაიონისათვის გარკვეული ხნით ელექტროენერგიის უფასოდ მიცემის იდეაზე საუბრობდა. შემდეგ კი იქვე იმასაც განმარტავდა, რომ ეს, თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ამერიკელების წყალობით ჩაეშალა. **"ბოლო დროს მათთან დადებული ხელშეკრულებით ჩვენ ამის გაკეთების უფლება არა გვაქვს, როგორც აცხადებენ, იმის გამო, რომ ამით ენერგომიწოდების დისბალანსი წარმოიშობა",** - ასე უხსნიდა მდგომარეობას ჭიათურის და საჩხერის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თოფაძე. მისი ასეთი განმარტება კი გუშინ განსაკუთრებით აქტუალური ჩანდა, მით უფრო - ჭიათურის კულტურის სახლში შეკრებისას, სადაც ერთადერთი ნათურის ასანთებად აქტივისტებს საკმაო ხანი დასჭირდათ, კიდევ უფრო მეტი კი - მის სტაბილურ მდგომარეობაში მოსაყვანად. თუმცა, როგორც ჭიათურელ-საჩხერლები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ, უშუქობის პრობლემა დიდად არ აწუხებთ. სამაგიეროდ, აწუხებთ მცირე პენსია, გადაუხურავი კომუნალური სახლები და ა.შ თოფაძეს კი, პირველ რიგში, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სახით არსებული პრობლემები უწუხებს გულს. **"სწორედ მათ გამო გაუქმდა ხე-ტყის გატანის აკრძალვასთან დაკავშირებული ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა, მათ გამო გადის ისევ საქართველოდან ჯართის სახით ძვირფასი ლითონი, მათ გამო არ მოხერხდა საგადასახადო კოდექსში ბევრი ცვლილებების შეტანა,"** - ვინ იცის მერამდენედ, ახლა უკვე იმერლებთან "შეაჩვენეს" "მრეწველებმა"ეს საერთაშორისო ორგანიზაციები. იმერელ აქტივისტებთან კი თოფაძე და ტყემალაძე ბევრი მონაპოვრით ამაყობდნენ. პირველ რიგში იმით, რომ **"მათმა მცირერიცხოვანმა ფრაქციამ საკმაოდ ბევრის გაკეთება შეძლო, ყველაზე მეტი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში მათ მიერ არის შეტანილი, ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის დაშლაში (რომელმაც შვიდი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა გააპარტახა და მოსპო) საკუთარი წვლილიც მიუძღვით. და ზოგიერთებისგან განსხვავებით, ზურგს საკმაოდ რეალური გამოცდილება და ბიზნესი უმაგრებთ."** თავად წარმოშობით იმერელი, ბაჯეთელი ტყემალაძე კი ხალხს "მრეწველებისათვის" ხმის მიცემას არ აძალებდა, თუმცა, დასკვნების გაკეთებას, კონკრეტულად მათი საქმიანობიდან გამომდინარე ურჩევდა.



*ტყემალაძე ხალხს "მრეწველებისათვის" ხმის მიცემას არ აძალებდა, მხოლოდ ურჩევდა.*

# ერთობლივი ვიზიტი

გუშინ, საქართველოში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის, გენერალ-მაიორ კაზი ახმედ აშფაკის ინიციატივით, საქართველოსა და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების დელეგაციები ბოსნია-ჰერცოგოვინასა და კოსოვოში გაემგზავრნენ.

ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, დელეგაციაში შედიან საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მერაბ ანთაძე და აფხაზეთის ლეგიტიმური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო გერგედავა.

სეპარატისტთა დელეგაციას ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, დელეგაციის წევრია, აგრეთვე, შს მინისტრი აბესალომ ბეია. ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში დაპირისპირებული მხარეები გაეცნობიან პოსტკონფლიქტურ სივრცეში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს. **მედია-ნიუსი**

# ოპოზიცია ამერიკის ელჩს შეხვდა

გუშინ "ნაციონალური მოძრაობის", "ახლების", "ბურჯანაძე-დემოკრატების" და "ლეიბორისტების" ფოთის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები აშშ-ს ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს შეხვდნენ. საუბარი რეგიონში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას შეეხო.

ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებმა ამერიკის ელჩს ამომრჩეველთა სიების გაყალბების შესახებ აცნობეს და ამაში ხელისუფლება დაადანაშაულეს. მათი თქმით, საარჩევნო სიებში მიცვალებულების შეყვანით, ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების ტოტალური გაყალბებისთვის ემზადება.

აშშ-ს ელჩმა ოპოზიციის პრეტენზიები გაიზიარა და განაცხადა, რომ ამომრჩეველთა სიების არაზუსტი მონაცემები, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. **მედია-ნიუსი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის
### შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 3 მარტს, გამოტანილ იქნება №40-ე აუქციონზე, რომელიც შედგება 2003 წლის 15 ოქტომბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დაგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არა უგვიანეს 2003 წლის 15 ოქტომბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმის მიღება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

## მოკლედ

### "ტრადიციონალისტები" ცაცანაშვილის პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ

"ტრადიციონალისტთა კავშირი" პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, იუსტიციის მინისტრობის კანდიდატად წარდგენილი მარიამ ცაცანაშვილის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს, რადგან მიიჩნევს, რომ ამომრჩეველთა სიების უპასუხისმგებლოდ მომზადება ცაცანაშვილის მონაწილეობით მოხდა.

"ტრადიციონალისტები" აცხადებენ, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე მარტის თვეში ამომრჩეველთა სიების შედგენის კოორდინატორად ცაცანაშვილი დაინიშნა, რომელმაც "გაწეული მუშაობის" შედეგად ცესკო-ს ამომრჩეველთა ყალბი სიები მიაწოდა.

"ტრადიციონალისტების" აზრით, შესაბამისი უწყებების მიერ (შსს, იუსტიციის, დევნილთა და განსახლების სამინისტროები, რაიონული გამგეობები) სიების შედგენისას მოსახლეობის აღრიცხვიანობა და ამომრჩევლის საპასპორტო მონაცემები გამოყენებული არ იქნა, რის შედეგადაც უკვე გამოქვეყნებულ სიებში გარდაცვლილი ადამიანებიც აღმოჩნდნენ. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სასამართლოში უჩივის და მისი თავმჯდომარის ნანა დევდარიანის მიერ მიღებული განკარგულების გაუქმებას მოითხოვს, რომლითაც პარტიის საარჩევნო სიაში პირველ ნომრად მყოფი უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძე სიიდან ამოღებულ იქნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ "ბურჯანაძე - დემოკრატების" საარჩევნო ბლოკის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ქუთაისში ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ბლოკის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძემ მასმედიის წარმომადგენლებთან წინასაარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა, თუმცა მისი შეხვედრა ჟურნალისტებთან პრესკონფერენციის ხასიათს არ ატარებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს "აღორძინების კავშირი" სასტუმრო "მარიოტში" მასმედიას მაჟორიტარი დეპუტატობის 4 კანდიდატს წარუდგენს. ვაკის რაიონში კენჭს იყრის მომღერალი დათო ხუჯაძე, ისანში - რეზო ბასილაშვილი, სამგორში – რომან გვენცაძე, ხოლო ნაძალადევში - გელა ნიორაძე. დღესვე "აღორძინების" საარჩევნო კლიპის პრეზენტაცია გაიმართება. კლიპის ავტორი მომღერალი დათო ხუჯაძეა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ბოლნისში 26 სექტემბერს განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე, რუსთავში მცხოვრები, 19 წლის დავით აფციაური დააკავეს. სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე ბუკიას განცხადებით, მასობრივ არეულობაში მონაწილეობის მუხლით აღძრული საქმის გამოძიებისას 120 პირი დაიკითხა. დავით აფციაურიც იმ დღეს გადაღებული ვიდეოკადრების საფუძველზე დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ სახელისუფლებო ბლოკმა წინასაარჩევნო კამპანია სამეგრელოს რეგიონიდან დაიწყო, სადაც ორდღიანი ვიზიტით იმყოფება ბლოკის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

ჯორბენაძემ ზუგდიდის მოსახლეობას ამ რაიონში ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, თენგიზ ჯგუშია წარუდგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ხელისუფლებამ თავისთვის არჩევნების გაყალბების შანსი დაიტოვა, როდესაც, ცესკო-ს დახმარებით, ერთუბნიან დასახლებულ პუნქტებში ამომრჩეველთა მარკირებაზე უარი განაცხადა.

**"ამ გადაწყვეტილებით, სახელისუფლებო ძალებმა ათასამდე უბანი დაიტოვეს, სადაც იმედი აქვთ, რომ არჩევნების შედეგებს გააყალბებენ, თუმცა ჩვენ მას ამის საშუალებას არ მივცემთ",** – აცხადებს მაჭავარიანი.

■ ■ ■

**თბილისი**. დღეს "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შეკრების გამართვას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების შესაბამისად, ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საზღვარგარეთის 35 ქალაქში 62 საარჩევნო უბანი გაიხსნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე უხელმძღვანელებს ქართველი მემარცხენეების დელეგაციას, რომელიც 17-18 ოქტომბერს მოსკოვში, ყოფილი სსრკ-ს სახალხო-პატრიოტული ძალების ფორუმში მონაწილეობას მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაб ჯაოშვილი.

## პოლიტიკურად შეფერილი კრიმინალი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანზე, გიორგი მიქანაძეზე განხორციელებულ თავდასხმას სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა საკმაოდ მკვეთრი პოლიტიკური შეფასებები მისცეს და ამ ინციდენტის დამკვეთებად, როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის წარმომადგენლები დაასახელეს.

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა, ფრაქცია "ალიანსი – ახალი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ ირაკლი გოგავამ ამ თავდასხმაში "ჟვანიას გუნდის ხელწერა" ამოიკითხა. მისი თქმით, ქვეყანაში სერიოზულ პროვოკაციებს სწორედ ისინი გეგმავენ. **"ასეთი მოქმედება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის სტილია. სწორედ ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, არჩევნების წინ საზოგადოება დააშინონ და მოსახლეობა სისხლისღვრასა და იარაღის ტრიალს შეაჩვიონ"**, – განაცხადა გოგავამ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მიქანაძე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ე.წ. პრეზიდენტის კვოტიდან არის დანიშნული, მანამდე კი "მოქალაქეთა კავშირში" ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას იკავებდა. მას საკუთარ სადარბაზოსთან დაესხნენ თავს და, როგორც "მოქკავშირის" აღმასრულებელი მდივანი გიორგი ზურაბაშვილი აცხადებს, ეს ფაქტი სწორედ მიქანაძის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება.

**"თავდამსხმელები გოგი მიქანაძეს სამუშაო კაბინეტისა და სეიფის გასაღებს სთხოვდნენ, თანაც უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ, მას "სამშობლოს გამყიდველსა და მოღალატეს" უწოდებდნენ. ძალით გახადეს პიჯაკი, სადაც მას ეს გასაღებები ედო და სასტიკად სცემეს. თავდასხმას პოლიტიკური მოტივები აქვს, რადგან გოგი მიქანაძე სეიფში იმ დოკუმენტაციას ინახავდა, რომელიც ამომრჩეველთა სიებს ეხებოდა და რომელიც აშკარად მიანიშნებდა იმ პოლიტიკურ ჯგუფებზე, ვისი წყალობითაც ასეა გაყალბებული ამომრჩეველთა სიები. ბუნებრივია, ეს ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს აწყობდა"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გიორგი ზურაბაშვილმა.

გუშინ თავად დაზარალებულიც აცხადებდა, რომ თავდასხმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მის საქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფები მას არ დაუსახელებია და განაცხადა, რომ ამ ინციდენტის რეალურ მოტივებს გამოძიება დაადგენს.

რაც შეეხება თავად "გაერთიანებულ დემოკრატებს", როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გაბაშვილმა "24 საათს" განუცხადა, ამ ინციდენტის შესახებ მან პირველად სწორედ ჩვენგან შეიტყო, თუმცა ირაკლი გოგავას განცხადება უკომენტაროდ არ დატოვა: **"იგი წმინდა წყლის პროვოკატორია და ეს ბრალდებაც სრული აბსურდია."** მისივე თქმით, იგი წუხს მომხდართან დაკავშირებით და იმედოვნებს, რომ **"თავდამსხმელებს უახლოეს დღეებში გამოავლენენ"**.

*24 საათი*

## უცხოელი დიპლომატები რუსთავში ჩავიდნენ

გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა ჯგუფი რუსთავს ეწვია. მატიას იორში, ჟან პიერ მასერე, ზექერეი აქჯამი, ანდრე კვაკვესტიდი და ჟირი მასტალკა რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს და რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს ლაშა მინდელს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ, რის შემდეგაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებს ესაუბრნენ. ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა მასმედიის წარმომადგენლებს მოუწოდეს, დაარწმუნონ ამომრჩევლები, რათა აუცილებლად გადაამოწმონ საარჩევნო სიები, რადგან მოახლოებული არჩევნები ყველაზე მაღალი კონკურენციის პირობებში ჩატარდება და ქართველმა ხალხმა უნდა გამოიყენოს ეს შანსი, თავად გადაწყვიტოს, ვინ მართავს მომავალში ქვეყანას".

**"რუსთავში შარშან გამართული არჩევნების დროს დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო საქართველოს ამ რეგიონში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. გვჯერა, რომ ის სკანდალი, რაც წინა არჩევნებზე მოხდა, აღარ განმეორდება"**, - აცხადებს მატიას იორში.

მათივე შეფასებით, მთლიანად ქვეყანაში პოლიტიკური ატმოსფერო დაძაბულია, არის ძალადობის ფაქტებიც. ყველას უნდა ესმოდეს, რომ დემოკრატიულ გარემოში ეს აბსოლუტურად დაუშვებელია.

*მედია-ნიუსი*

# თავისუფლება და დემოკრატია ჩვენში, ანუ მაკარტიზმი ქართულად

პირველი გვერდიდან

ზემოხსენებულ ვაკუუმში აღმოჩენილი ერისათვის მისგან თავდასაღწევად ორი საშუალება არსებობს - იგი, ანუ საზოგადოება, ან საკუთარ მეხსიერებაში ჯერ კიდევ არსებულ, დაშლილ სისტემისწინა ღირებულებებს უნდა "გადასწვდეს" და ისინი აწმყოში საკუთარ მორალურ კომპასად გამოიყენოს, ანდაც მიმართოს უკვე არსებულ, ახალ და მისთვის მისაღებ ფასეულობათა სისტემას და ეს უკანასკნელი საკუთარ ეროვნულ ტრადიციებს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ შეუსისხლხორცოს. ამის მაგალითად, პირველ შემთხვევაში შეგვიძლია ჩეხების, პოლონელებისა და ლიტველების დასახელება; მეორე შემთხვევის დემონსტრირებისთვის კი იაპონელებისა და სინგაპურის მკვიდრთა მაგალითი გამოგვადგება. თუმცა ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, ვერც ერთი ზემოთ მოყვანილი საშუალება ვერ გამოვიყენეთ: ვერც კომუნიზმამდე არსებული ფასეულობები გავიხსენეთ (ალბათ იმ მიზეზით, რომ მათი მივიწყებიდან უბრალოდ დიდმა დრომ განვლო) და ვერც რამ ახალი ვირწმუნეთ გულწრფელად. დემოკრატია კი (რომელიც, აღნიშვნის ღირსია, რომ მასზე საკუთარი, ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენით მმართველობის ერთგვარ "დეფოლტ-ვერსიად" გვერგო), კომუნიზმის, ფაშიზმისა თუ სხვა ტოტალიტარული სისტემებისაგან განსხვავებით, საზოგადოების თითოეული წევრის რწმენაზე დგას, მას ეფუძნება და არ წარმოადგენს იძულების, დაძალებისა და თავსმოხვევის შედეგად წარმოქმნილ იდეოლოგიას; მისი სისხლსავსე ფუნქციონირებისათვის მისივე ფუნდამენტურ ღირებულებებში საზოგადოების წევრთა კონსენსუსია აუცილებელი. ამგვარი თანხმობა ჩვენს საზოგადოებას კი დღემდე არ გააჩნია.

თუ გავიხსენებთ, როგორ აღმოვჩნდით "დემოკრატიის მშენებელთა" რიგებში საბჭოთა იმპერიიდან გამოყოფის შემდგომ, დავინახავთ, რომ ის თავისუფლება, რომელსაც ყოველი ქართველი მოქალაქე ასე მიელტვოდა, მისთვის სულაც არ იგივდებოდა დემოკრატიასთან; სხვა სიტყვებით, თავისუფლება და დემოკრატია ჩვენთვის არ წარმოადგენენ სინონიმებს. თორმეტიოდე წლის წინათ ნებისმიერ ჩვენგანს მთავარ საკითხად გარეშე ძალებისგან თავისუფლება მიაჩნდა. ისეთი საშინაო საფრთხე კი (რომლის მოგვარებაშიც არანაირი გარეშე ძალა არ გვიშლიდა ხელს), როგორიც იყო პიროვნებისა და არა კანონის დიქტატი, ძალაუფლების ერთ ხელში უზურპაცია, განსხვავებული აზრის დევნა, პოლიტიკურ ოპონენტთა შევიწროვება, სამართლებრივი პროცედურებისადმი აშკარა უპატივცემულობა, სამართლიანი სასამართლოს არარსებობა, ეთნოცენტრისტული ტენდენციები თუ მრავალი სხვა არსებული მანკიერება, არ აღიქმებოდა სერიოზულ და საგანგაშო პრობლემად. ეს დღეისთვისაც ასეა: ხელისუფლების მხრიდან აქცენტი დღესაც საგარეო საფრთხეზე კეთდება, საშინაო საჭირბოროტო საკითხთა გულდასმითი მიჩქმალვის პოლიტიკის გატარებით. შედეგად ამისა, აღმოვჩნდით საკმაოდ საინტერესო მდგომარეობაში - ვართ სხვისაგან (ჯერჯერობით) პოლიტიკურად დამოუკიდებელი, ანუ პოლიტიკურად თავისუფალი ქვეყანა, მაგრამ საკუთარ თავთან მიმართებაში არადემოკრატიული, ანუ ჩვენივე მანკიერებათაგან არათავისუფალი საზოგადოება, რაც საბოლოო ჯამში დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მთელს მადლსა და ხიბლს აცლის, მათივე (დამოუკიდებლობის და თავისუფლების) დაკარგვის სერიოზული საფრთხის შექმნასთან ერთად.



*ნებისმიერ ამერიკელი "მაკარტიზმს" საკუთარი ისტორიის სამარცხვინო ფურცლად მოიხსენიებს.*

ყველაზე მეტად ეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ან უფრო ზუსტად, თითოეული მოქალაქის ყოველდღიური ბედნიერების ხარისხზე აისახება ძლიერ უარყოფითად. ასეთ რეჟიმში ცხოვრება მეტწილად არაპროგნოზირებადია, რადგან მოქალაქემ არ იცის, რა მოყვება მის მიერ გადადგმულ ნაბიჯსა თუ გადაწყვეტილებას, იმდენად, რამდენადაც მის არჩევანზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებს არა მიღებული, ცნობილი თუ ერთხმად აღიარებული პრინციპი, ანუ კანონი, არამედ საკუთარი პიროვნული მოტივაციებით მართული, ყოველდღიურად ცვალებადი ადამიანი-ხელისუფალი. ასეთ გარემოში ცხოვრება საგიჟეთში ცხოვრებას წააგავს, სადაც ადამიანის სიცოცხლე ყოველ ნაბიჯზე განუწყვეტელი მოულოდნელობებითაა აღსავსე; აქ რეალურად არ არსებობს ხელშეუხებელი უფლებებისა თუ სხვა სამართლებრივი გარანტიების საშუალებით არსებული დაცვა და ყოველი პიროვნების თავისუფლება და კეთილდღეობა მმართველისა თუ მისი ფავორიტების წყალობაზეა დამოკიდებული. ამგვარ რეჟიმში აბსოლუტურად კანონზომიერი მოვლენაა რელიგიური დევნა, ეთნიკური სიძულვილი, პოლიტიკურ "ჭინკებზე ნადირობა" და სხვა, საზოგადოებრივ პათოლოგიათა მთელი წყება. ამის თვალნათლივ მაგალითად რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეორე პირისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უცხო ქვეყნის (რუსეთის ფედერაციის) აგენტობის ბრალდებაც გამოდგება. ნიშანდობლივია, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს აღმასრულებელი ხელისუფლება აბრალებს, მაგალითად, არა კონკრეტულ კანონდარღვევას, კორუფციას ან არაკომპეტენტურობას, რაც აუცილებელს გახდიდა ამ უკანასკნელის მხრიდან კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენას, არამედ ისევ და ისევ ქვეყნის გარედან მომავალი (თითქმის მითოლოგიზირებული) საშიშროების მსახურებას (თუკი კარგად დავაკვირდებით, ეს ბრალდება სხვა არაფერია, თუ არა ტრანსფორმირებული ვერსია წინა ადმინისტრაციის საყვარელი ფრაზისა "სუკის აგენტი" და მანამდე არსებული, კომუნისტების მიერ დამკვიდრებული "იმპერიალიზმის აგენტისა". ისიც ცნობილია, რომ ამგვარი ფრაზეოლოგიით ოპერირება ერთადერთ მიზანს - პოლიტიკური ოპონენტებისა და "არაკეთილსაიმედო" მოქალაქის უფლებების დარღვევა-განადგურებას ემსახურება და არანაირად არ ამცირებს იმ საგარეო საფრთხეს, რომლის ვითომცდა განეიტრალებასაც ემსახურება იგი).

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ საგარეო საფრთხის შიშითა და მოშიზეზებით სამოქალაქო უფლებების იგნორირებას და მათზე თავდასხმას პოლიტიკური დემაგოგები მხოლოდ მანკიერ სახელმწიფოებრივ სისტემათა პატრონ საზოგადოებებში ბედავენ. ისტორიიდან ამის მაგალითად რამდენიმე შემთხვევის მოყვანა შეიძლება, რომელთაგანაც ყველაზე თვალნათლივი ე.წ. "წითელი საფრთხის" ისტერია იყო, იმდენად, რამდენადაც ამ ფენომენისაგან დაცული არც ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა.

"წითელი საფრთხის" ეიფორიას ასევე უწოდებენ "მაკარტიზმს", მისი ავტორის, ვისკონსინელი სენატორის, ჯოზეფ მაკარტის მიერ ამ ფენომენის შექმნაში შეტანილი წვლილის ხაზგასასმელად, ვინც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოშობილი დაძაბულობის გამოყენებით ხანმოკლე, მაგრამ შესამჩნევი პოპულარობა და პოლიტიკური ქულები მოიხვეჭა. სენატორი მაკარტი ამტკიცებდა, რომ კომუნისტებს ამერიკის მთავრობის ყველა ეშელონში მოეხერხებინათ შეღწევა, და რომ მათი განსაკუთრებული კონცენტრაციის ადგილს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენდა, სადაც მაკარტის სიტყვებით "ორასზე მეტი კომუნისტი" მოკალათებულიყო. თუმცა, მაკარტის მიერ წამოყენებული ვერც ერთი ბრალდება ვერ დამტკიცდა, მის მიერ გაღვივებულ ისტერიას ამერიკის ხელისუფლების მხრიდან რამდენიმე არადემოკრატიული წამოწყება მოჰყვა, რომელთაგანაც, თვით ამერიკელებისავე აზრით, ყველაზე სამარცხვინო კონგრესის ე.წ. "არაამერიკული ქმედებების კომიტეტი" იყო. ეს კომიტეტი მიზნად ისახავდა კომუნისტობაში ეჭვმიტანილ მოქალაქეთა საქმიანობის გამოძიებას. საბედნიეროდ, ამ ისტერიას დღეგრძელობა არ ეწერა და ოფიციალურად "მაკარტიზმი" 1954 წელს დასამარდა აშშ-ს კონგრესის მიერ სენატორ ჯოზეფ მაკარტის მოღვაწეობის საქვეყნოდ დაგმობითა და სენატორისათვის საჯარო უნდობლობის გამოცხადებით. აღსანიშნავია, რომ ამ მახინჯ ფენომენთან ბრძოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ იტვირთა, ვინც სამოქალაქო უფლებები ბევრად მეტი ყურადღებისა და დაცვის ღირსად სცნო, ვიდრე საყოველთაო და, ამდენად, პოპულარული, მაგრამ ირაციონალური ისტერია. დღეისათვის ნებისმიერი ამერიკელი "მაკარტიზმს" საკუთარი ისტორიის სამარცხვინო ფურცლად მოიხსენიებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ამგვარ მოვლენას შეერთებულ შტატებში აღმოცენება აღარასდროს უწერია.

დასასრულ კი, რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას და ჩვენში ამ ფენომენის სამომავლო პერსპექტივებს, ძლიერ საეჭვოა, რომ ქართველებმა ამ სახადის ქართული ვერსია თუნდაც "სარიშვილიზმად" მონათლონ და იმ წუთიდან საზოგადოების ჯანმრთელობისთვის სახიფათო სენივით შეიძულონ; მეეჭვება ისიც, რომ ჩვენმა უზენაესმა (ან საკონსტიტუციო სასამართლომ), რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი სახელმწიფო ხაზინიდან გადახდილ ხელფასს ამაღლის და მასთან შეუთანხმებლად გადაწყვეტილებების გამოტანისათვის საყვედურობს, გაბედოს და საკმარისი სიმტკიცით წინ აღუდგეს ხელისუფალის გათავხედებულ და შეშლილობის ზღვარზე მდგომ თვითნებობას, და ამით საკუთარი მთავარი - კანონისა, და არა პიროვნების მცველის - ფუნქცია აღასრულოს.

მანამდე კი, სანამ ეს ასე მოხდება, ჩვენ საზოგადოებას საკუთარი სიფხიზლისა და გააზრებული გამბედაობის იმედად ყოფნა დარჩენია. თუმცა, ეს სულაც არ არის ცოტა, მით უმეტეს, თუ სასწორზე ჩვენი თავისუფლება ანუ დემოკრატია დევს.

INTERNATIONAL IDEA INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

## გამოიცა ნაშრომი "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში"

საერთაშორისო IDEA-ს პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
საქართველოში დემოკრატიის ფართომასშტაბიანი შეფასების პირველი მცდელობა

"არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის" (საერთაშორისო IDEA-ს) სამხრეთ კავკასიის პროგრამამ ქართველ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან ერთად გამოსცა 12 სადისკუსიო მასალა და დებატების დღის წესრიგი თემაზე "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში". ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე დიალოგის, საკონსულტაციო და ანალიტიკური პროცესის შედეგს, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი მოქმედი პირების უზრუნველყოფა ფიქრის, მსჯელობის, ანალიზისა და დებატების შესაძლებლობით, რათა დახმარებოდა მათ შეფასებინათ დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

ამ ნაშრომის ასლი შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო IDEA-ს თბილისის წარმომადგენლობაში: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი, 380093, საქართველო, ტელ: 334081, ფაქსი: 334163, ელ-ფოსტა idea@cipdd.org, მობილური: 899 230145, დოკუმენტი ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი ვებ მისამართიდან: http://www.idea.int/southcaucasus/papers.htm

ნაშრომის ოფიციალური პრეზენტაცია შედგება 2003 წლის 22 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქ. თბილისში, სასტუმრო მარიოტის საკონფერენციო დარბაზში

ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობა საქართველოში, გია ნოდია, გოგი თევზაძე
2. კონსტიტუციური სისტემა საქართველოში, გია გეწაძე, გია ნოდია
3. რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, დავით ლოსაბერიძე
4. საარჩევნო პროცესები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გია ნოდია
5. ძალოვანი სტრუქტურები, სუსტი სახელმწიფოს სინდრომი და კორუფცია საქართველოში, დავით დარჩიაშვილი და გია ნოდია
6. ადამიანის უფლებები საქართველოში, თინა ხიდაშელი, არნოლდ სტეპანიანი, დავით ზურაბიშვილი, ლელა ხომერიკი
7. დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში, გია ნოდია, გოგი თევზაძე, მარინა მუსხელიშვილი, ნანა სუმბაძე
8. დემოკრატიზაცია საქართველოში: ეკონომიკური გარდაქმნები და სოციალური დაცვა, მარინა მუსხელიშვილი, ანა აბელაშვილი
9. ეთნიკური კონფლიქტები და განცალკევებული რეგიონები საქართველოში, დავით უსუფაშვილი, გოგი თევზაძე
10. საქართველოს დემოკრატია და რელიგია, თამარ ბერეკაშვილი, დავით ლოსაბერიძე, დავით მელუა, გია ნოდია
11. საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე, ჯაბა დევდარიანი
12. საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში, დავით დარჩიაშვილი

საერთაშორისო IDEA-ს სათაო ოფისი:
სტრომსბორგი, 10334, სტოკჰოლმი, შვედეთი, ტელ: 46 8 698 3700, www.idea.int
სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა: ტერიანის ქუჩა 83, 375009, ერევანი, სომხეთი, ტელ/ფაქსი: 374 1 56 54 84, ელ-ფოსტა: idea@arminco.com

*მაია ჭალაგანიძის სვეტი*

## აკუნა მატატა, პრეზიდენტო...

*წინა სერიის მოკლე შინაარსი: საკუთარი ქვეყნიდან განდევნილ ლომ- უფლისწულს, რომელიც მეფურად დარდობს თავისი ქვეყნის ბედს, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ბოგანო და მხიარული მეგობრები "აკუნა მატატა"-ს ურჩევენ, რაც ნახევარი მსოფლიოს ენაზე "Don't worry, be happy"-ს, ხოლო ქართულ ზეპირსიტყვიერებაში "დეიკიდე"-ს ნიშნავს...*

■ ■ ■

ჯადოსნური სკივრი, რომელიც ყველა სურვილს ასრულებს და რომელიც ედუარდ შევარდნაძეს ურეკელმა მოსწავლეებმა აჩუქეს, სწორედ ამას ურჩევს ჩვენს პრეზიდენტს.

პრეზიდენტმა საჩუქარი იქვე დატოვა. რაც იმას ნიშნავს, რომ "აკუნა მატატა" ადრეა.

სწორია ეს შორსმჭვრეტელი ადამიანი: ჯერ ადრეა... მერე რა, რომ ურეკი საიმედო ხელშია და რომ იქაურ ბავშვებს კარგი სკოლა და უსასყიდლო წიგნები აქვთ. მერე რა, რომ ხობელებს პენსიების, ხელფასების და ელექტროენერგიის მაგივრად "არტიმედი" ჩაუყვანა და მეგრული სიმღერებით გააკვირვა...

ოხ, ეს ფოთი... ფოთი ადარდებს და რაც უფრო ახლოვდება კრიტიკული დღეები, მით უფრო უმძიმდება გული ოჯახზე...

ისე, საფრანგეთის ელჩისა გასაგებია - კიდევ ერთ ქვეყანაში დაუდგა ძეგლი დიუმას და თავის დალაგებულ სამშობლოში ბრუნდება. ვანო ზოდელავას რაღა უნდოდა?!

თუ არ ვცდები, ფოთის აღორძინება ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება... "ფოთის ნათელი დღეები 2" კი ზოდელავას ბოლომდე არ მიაყვანინეს და პროვინციიდან თბილისში გადაიყვანეს. ალბათ ამიტომ იბარებდა დიუმას ძეგლს და აჩრდილად ადგა თავს ფოთის ახლანდელ ხელმძღვანელობას. თან, ვინმეს იქაური რომ არ ჰგონებოდა, ვაკურად ილეჭებოდა...

იმას ვამბობდით, პრეზიდენტისთვის ადრეა "აკუნა მატატა" - მისი ოჯახის ბედი ხომ ჯერ გაურკვეველია. აი, ჩამოიყვანა ფოთში ერთი თავისი მეგობარი, ცნობილი ბიზნესმენი, რომელსაც მეორე მისი მეგობარი პრეზიდენტი ეძებს. ჩამოიყვანა, აჩვენა ფოთის პორტი, ესაუბრა მის სიკეთეებზე (ოჯახში ეს იგრძნობა), პერსპექტივები დაუხატა, გადაახედა დატვირთულ ტანკერებს... იქნებ მიხვდეს ეს ბიზნესმენი, რაზე დარდობს მოხუცი პრეზიდენტი და ადგილზე რატომ დატოვა Don't worry საჩუქარი. კარგი იქნება, მიხვდეს, თორემ აგერ არაა მისი მეორე მეგობარი პრეზიდენტი, რომელიც ამ მეგობარ ბიზნესმენს ეძებს?! **იმედია,** მიხვდება და სხვა დროს სხვა საჩუქარს გაუკეთებს, თორემ ისე მხიარულად გაუხსნეს ეს სკივრი ჩვენს პრეზიდენტს, მეგონა, იქიდან "აკუნა მატატა"-ს მაგივრად ზამბარაზე წამოცმული რეზინის მუშტი ამოხტებოდა...

და, ვინც იტყვის, რომ ეს მართლა ასე არ იქნება, ძალიან გთხოვთ, უცხოელ ტურისტად ჩათვალეთ.

*თვალსაზრისი*

## 3 ნოემბრიდან საქართველოს პოლიტეკრანებზე იხილეთ...

გიორგი ასანიშვილი

სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მთავრდება მუშაობა ახალ ქართულ კინოეპოპეაზე, რომლის პირობითი სახელწოდებაა "მოგიკვდეთ, შვილებო, იდიოტი მამა, ანუ რა ჯანდაბა მინდოდა სახელისუფლებო ბლოკში?" (ან "ოპოზიციაში", - იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები). ფილმში დაკავებულნი არიან ქვეყნის მმართველი გუნდის აქტიორები: ვახტანგ რჩეულიშვილი, ვიტალი ხაზარაძე, თამაზ გიორგაძე, ლევან მამალაძე და სხვები, აგრეთვე ოპოზიციის ცნობილი სახეები. პოლიტიკური კინოს მოყვარულებს სურათის ნახვის შესაძლებლობა 3 ნოემბრიდან მიეცემათ.

თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ ფილმს საფუძვლად დასდებოდა ჯეიმს ბეიკერის მიერ შემოთავაზებული სცენარი, მაგრამ ბოლო მომენტში სახელმწიფო კანცელარიაში აზრი შეიცვალეს, ამერიკელის სიუჟეტი დაიწუნეს და გადაწყვიტეს, მისი შეთხზვა უფრო სანდო პირისთვის მიენდოთ. არჩევანი პატიმრების შეწყალებაში განაფულ ერთ-ერთ მოხელეზე შეჩერდა, მაგრამ მან საერთაშორისო ჟიურის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. ბოლოს, ქართული პოლიტიკური "კინოს" მეტრმა ფილმზე სამუშაოდ სახალხო დამცველი მიიწვია და ამით პრობლემა თითქოს მოგვარდა.

თუმცა, კინოსტუდიის პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტრეჟისორებმა მიიჩნიეს, რომ სახელისუფლებო სიუჟეტი ყალბი იქნებოდა და შესაბამისად, ფილმს უცხოელი კინოკორიფეების მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვებოდა. ამიტომ, გადაწყდა საერთო ოპოზიციური სცენარის დაწერა, რომელიც კინოსურათის ტრიუმფალური სვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე, - ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ სააკაშვილს, დავით გამყრელიძეს და სხვა ცნობილ კინომცოდნეებს ფილმის შესახებ განსხვავებული ხედვა აღმოაჩნდათ. მათ მხოლოდ იმის თაობაზე მოახერხეს შეთანხმება, რომ სცენარზე ცალკ-ცალკე მუშაობის მიუხედავად, ერთიანი ხაზი, - სახელისუფლებო ბლოკის დამარცხების აუცილებლობა, - შეენარჩუნებინათ.

ამჟამად გადაღებები, ერთდროულად, რამდენიმე ოპოზიციური სცენარის მიხედვით მიმდინარეობს. თითოეულ მათგანში ასახულია, თუ რა განსაცდელში ჩააგდო ქვეყანა დღევანდელმა მმართველმა ძალამ და რა ელის საქართველოს, ხელისუფლების სათავეში მათი დარჩენის შემთხვევაში. სცენების უმრავლესობა კანცელარიაში, სამთავრობო ბლოკის სხდომების დროს, ფარული კამერით არის გადაღებული და ამდენად, დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს. მათი ნახვის შემდეგ მაყურებელი თავად დარწმუნდება, თუ როგორი ოსტატობით ებღაუჭებიან სავარძლებს მრავალ "სკამზე" გადამხტარი პოლიტაქტიორები და როგორ გულმოდგინედ ცდილობს თითოეული მათგანი კვოტების ბაგირის თავის მხარეზე გადაქაჩვას.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გადაღება უკვე დასასრულს უახლოვდება, ჯერ კიდევ უცნობია, თუ როგორი იქნება ფინალური სცენა. მიხეილ სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნაა, რომ კინოფილმი საპყრობილეში გადაღებული კადრებით დამთავრდეს. კერძოდ, სტუდია "ნაციონალების" სამხატვრო ხელმძღვანელს სურს, მაყურებელმა იხილოს, ერთ დროს ძლიერნი ამა ქვეყნისანი ციხის კედლებში როგორ მიირთმევენ "ბალანდას" და როგორ მისტირიან თავის "სახელოვან" წარსულს. სააკაშვილის სცენარის მიხედვით, ფილმი მთავრდება გაფრთხილებით, თუ რა საშინელებაა კორუფცია და როგორ ხრწნის იგი მაღალჩინოსნებსა და პოლიტიკოსებს. "ადამიანებო, ნუ ივლით ჩვენი გზით, ნუ გაიმეორებთ ჩვენს შეცდომებს", - გაიგონებს მაყურებელი იმის წინ, ვიდრე დარბაზში შუქი აინთება.

სხვაგვარად, შედარებით თანამედროვე, ცივილიზებული ფორმით ხსნიან კვანძს სხვა "კინოოსტატები". ერთ-ერთი მათგანი კატეგორიულად აცხადებს, რომ ფილმი ასეთი კადრით უნდა დამთავრდეს: თბილისის აეროპორტში სხედან პლასტიკუროპერაციაგაკეთებული, პარიკებიანი "ტიპები", რომლებიც მოუთმენლად ელიან საზღვარგარეთ მიმავალ თვითმფრინავზე რეგისტრაციის დაწყებას. აი, მათ ეს პროცედურაც გაიარეს და შვებით ამოისუნთქეს. თვითმფრინავზე ტრაპი უკვე მიდგმულია, მაგრამ... ვ.ხ-ს ულვაშები გასცემს. დანარჩენი, - 3 ნოემბრის შემდეგ.

დღეს ფილმს ისე ფასი არა აქვს, თუ მასში არ არის ფიზიკური ორთაბრძოლისა და ძალადობის ამსახველი კადრები. კინოსურათის ავტორებმა ეს მომენტიც გაითვალისწინეს და ბოლნისსა და ვანში მოწყობილ გადასაღებ მოედნებზე ყველა რაკურსიდან გადაიღეს მასობრივი ქვის სროლისა და ცეცხლსასროლი იარაღიდან სარკცლამო ლოზუნგების დაცხრილვის ეპიზოდები.

ცალკე საუბრის თემაა ფილმის დაფინანსების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა გადამღები ჯგუფი უფულობაზე წუწუნებს და ჩივის, რომ სახსრები თითქმის მთლიანად ამოწურული აქვს, კინოეპოპეის გადაღების ბოლომდე მიყვანას საფრთხე მაინც არ ემუქრება - არსებობს გულუხვი სპონსორი, რომელიც მზად არის, თითოეული სცენარი და მასზე მომუშავე გუნდი სათანადოდ დააფინანსოს.

ჩვენმა წყარომ ისიც გვაუწყა, რომ ფილმზე არასრულწლოვნები არ დაიშვებიან. ამის მიზეზი სულაც არ არის ეროტიკული სცენები. უბრალოდ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ისედაც მძიმე განწყობა ახალგაზრდობას კიდევ უფრო არ დაუმძიმდეს. სჯობია, მათ უკვე ზრდასრულობაში გაიგონ, რა ხელისუფლების ხელში უხდებოდათ ცხოვრება.

# ბარისახოში მცირე ჰესი აშენდება

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის - IFAD-ის დაფინანსებით მიმდინარე, საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის დირექტორის ნოე ხოზრევანიძის ინფორმაციით, პროგრამა საქართველოს ოთხ რაიონში – ამბროლაურში, დუშეთში, შუახევსა და ასპინძის რაიონებში ხორციელდება და იგი 290 ათას ადამიანს შეეხო.

მისი თქმით, პროგრამა მემცენარეობაში მოსავლიანობისა და მეცხოველეობაში კი ნაყოფიერების გაზრდას ითვალისწინებს. ასევე მისი თქმით, ასპინძის რაიონში მიმდინარეობს სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროცესი, რაც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

IFAD-ის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელება 2001 წლის ბოლოს დაიწყო და მისი დასრულება 2007 წლისთვის იგეგმა, რისთვისაც IFAD-მა ქვეყანას სესხის სახით, დაახლოებით, 8 მილიონი დოლარი გამოუყო.

ხევსურეთის სოფელ ბარისახოში უახლოეს პერიოდში IFAD-ის დაფინანსებით მიკროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება.

ნოე ხოზრევანიძის განცხადებით, 0,5 მეგავატიანი მინიჰესის მშენებლობა, რომელიც 179 ათასი დოლარი დაჯდება, 1000 ოჯახს მოემსახურება და ფშავსა და ხევსურეთში ელექტროენერგიის პრობლემას მოხსნის.

ხოზრევანიძის განცხადებით, ეს არის ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც IFAD-მა თანხები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყო. მისივე თქმით, მცირე ჰესი თავდაპირველად ადგილობრივ საკრებულოს დაექვემდებარება, ხოლო შემდეგ კი, შესაბამისი უწყებები გადაწყვეტენ, ვის დაქვემდებარებაში გადავა.

დირექტორის ვარაუდით, ჰესის მშენებლობა ოთხ თვეში დასრულდება და მასში ჩადებული თანხების ამოღება ორ წელიწადში იქნება შესაძლებელი.

# 16-17 ოქტომბერს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი ჩატარდება

ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირების მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ფორუმზე განიხილავენ, რომელიც 16-17 ოქტომბერს ჩატარდება თბილისში, სასტუმრო "მარიოტში."

საქართველოს საქმიანი წრეების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები იმსჯელებენ ტრადიციული ეკონომიკური ორიენტირების აღდგენის და შემდგომი განვითარების, ვაჭრობისა და კომერციის ერთიანი წესების გამომუშავების საკითხებზე.

რუსეთის მხრიდან, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვალერი გორეგლიადის ხელმძღვანელობით, რუსეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირის დელეგაცია არკადი ვოლსკის ხელმძღვანელობით, დელეგაცია რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან გეორგი პეტროვის ხელმძღვანელობით, რუსეთის წამყვანი ბიზნესმენები და მეწარმეები -სულ სამოცდაათი კაცი.

ფორუმის მსვლელობისას დაგეგმილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა "სათბობ-ენერგეტიკული დარგი - სტრატეგიული ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღები", "სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი - ტრადიციული კავშირების აღდგენა საბაზრო ურთიერთობების პირობებში", "ბიზნესის ინფრასტრუქტურის დაახლოება - ეფექტური თანამშრომლობის საფუძველი".

ფორუმის ორგანიზატორია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს ეკონომიკური ფორუმი, რუსეთის მეწარმეთა და მრეწველთა კავშირი.

*პრაიმ-ნიუსი*

# ბუნებრივი აირი თბილისის ყველა რაიონს ვერ მიეწოდება

ბუნებრივი აირის აღდგენა სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ვერ ხერხდება მეტროსადგურ „ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას კი ხელს სს „ინჟმშენისთვის" სახელმწიფო ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხების გადაურიცხაობა უშლის.

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, „ინჟმშენის" დაფინანსება ოქტომბრის ბოლოდან დაიწყება, ვინაიდან ამჟამად სახელმწიფო ხაზინაში არსებული ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსებას ხმარდება.

სს „ინჟმშენი", რომელიც „თბილგაზის" ქსელების რეაბილიტაციას საკუთარი სახსრებით აგვისტოს დასაწყისიდან ახორციელებს, ცენტრალური ბიუჯეტიდან 1.900 მილიონ ლარს მიიღებს. ამ თანხის გაანგარიშება საწარმოს მიერ ჩატარებული სამუშაოების შეფასებით მოხდა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** ენერგეტიკის სფეროში მომხმარებლის ინტერესებისა და უფლებების დამცველს დავით ებრალიძეს "ლეიბორისტი" ბადრი ნიაური, სემეკ-ის წარმომადგენელი მედეა ქვრივიშვილი და ვაკის რაიონული პოლიციის თანამშრომელი პაატა სიამაშვილი დაეხმარებიან.

ენერგეტიკის სფეროში საზოგადოებრივი დამცველის სამი თანაშემწე სატენდერო კომისიამ, ნანა დევდარიანის თავმჯდომარეობით, გუშინ ფარული კენჭისყრის შედეგად ექვს კანდიდატს შორის შეარჩია.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** "კავკასიის ბიზნესის სკოლა", რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არის შექმნილი, 15 ოქტომბერს დაარსებიდან 5 წლისთავს აღნიშნავს.

*პრაიმ-ნიუსი*

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."
გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სისტემის საწყობებიდან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. აგრეთვე 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობები:

საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65
სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30
E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

# ენერგეტიკის მინისტრი ოპტიმისტურადაა განწყობილი

გასულ კვირას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი გერმანიასა და რუსეთში იმყოფებოდა, სადაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, მოსკოვში კი – "რაო-ს" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები აწარმოა.

გუშინ ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებს ვიზიტების თაობაზე ანგარიში ჩააბარა:

კომპანია "თელასი" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს "კავკასიონის" მეშვეობით ამ დღეებში დაიწყებს. ამის შესახებ შეთანხმებას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა და "რაო ეესის" გამგეობის საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი ჩუბაისმა მიაღწიეს. როგორც ნიკოლაიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რუსმა კოლეგებმა "მას გაუგეს" და, რუსეთისადმი არსებული ვალის მიუხედავად, საქართველოში ელექტროენერგიის გაყიდვას დათანხმდნენ. **"იმპორტის მეშვეობით საქართველოს და რუსეთის ენერგოსისტემები პარალელურ რეჟიმში იმუშავებენ, რაც ქართული სისტემის მდგრადობის გარანტია იქნება. თვის ბოლოს ჩაირთვება მეცხრე ენერგობლოკი და იმპორტი სომხეთიდანაც დაიწყება,"**- აღნიშნა მინისტრმა, რომელიც ამ შეთანხმებას საკუთარ დამსახურებად არ თვლის და აცხადებს, რომ მას მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის სატელეფონო ზარები დაეხმარა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"რუსეთი ელექტროენერგიას მოგვცემს, ევრობანკი - 35 მილიონ ევროს".*

მოახერხებს თუ არა "სახელმწიფო ელექტროსისტემა" რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის თბილისამდე უდანაკარგოდ მოტანას, ნიკოლაიშვილს არ აინტერესებს. როგორც მინისტრმა განაცხადა, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ვალდებულია თავისი ფუნქცია შეასრულოს და "თელასს" იმპორტირებული ელექტროენერგიის თბილისამდე მოტანის გარანტია მისცეს.

რაც შეეხება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ "ვარციხეჰესის" რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ 35 მლნ. ევროს ოდენობის შეღავათიან კრედიტს, რომელიც გაუქმების საფრთხის წინაშე იდგა, ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, გერმანიაში მან **"ბანკთან შეთანხმებას მიაღწია და გერმანელებს კრედიტის გაუქმება გადააფიქრებინა".**

**"ზოგიერთებისგან განსხვავებით, გერმანელებმა არ მიგვატოვეს და საქართველოს ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა აღიარეს. მათთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 35 მლნ ევროდან "ვარციხეჰესის" რეაბილიტაციაზე, სავარაუდოდ, 12 მლნ ევრო დაიხარჯება, დანარჩენი კი ენერგოსექტორში სხვა ღონისძიებებს მოხმარდება,"** - განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, გერმანული მხარის წარმომადგენლები საქართველოში მალე ჩამოვლენ და იმ ღონისძიებებს განიხილავენ, რაშიც კრედიტი შეიძლება დაიხარჯოს. **"სავარაუდოდ, დანარჩენი თანხით ვალების მომსახურების სააგენტო შეიქმნება, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მენეჯმენტი დაფინანსდება და ენერგეტიკის სამინისტროსათვის მრჩეველის დაქირავებას მოხმარდება,"** - აღნიშნა მინისტრმა.

შეგახსენებთ - "ვარციხეჰესის" რეაბილიტაცია ბერძნულ კომპანია "ტერნას" უნდა განეხორციელებინა, თუმცა, პირობების შეუსრულებლობის გამო, მასთან გაფორმებული კონტრაქტი გაუქმდა.

*24 საათი*

# საქართველოს 2004 წელს საგარეო ვალების ტვირთი დაუმძიმდება

*საქართველოს ხელისუფლებას სსფ-ს წინაშე წლეულს მაინც რომ არ "ეკუნტრუშა", გუშინ, ანუ 12 ოქტომბერს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე საქართველოსთვის პროგრამის აღდგენის საკითხს განიხილავდნენ და, ცხადია, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივა გაცილებით უფრო ნათელი იქნებოდა, ვიდრე ეს დღეს გახლავთ.*
*თუმცა, 12-მა ოქტომბერმაც ჩაიარა და ბევრი მსგავსი დღეც, სამწუხაროდ, ასევე უშედეგოდ ჩაივლის, რაც, დღევანდელი ოპოზიციისგან განსხვავებით, ჩვენს აღფრთოვანებულ ყიჟინას ნამდვილად ვერ იწვევს. რადგან არჩევნები, ავად თუ კარგად, 2 ნოემბერს ჩატარდება, შემდეგ კი ქვეყანამ ცხოვრება უნდა განაგრძოს და მას, ნებისმიერი მმართველის პირობებში, იმ ტვირთის ზიდვა მოუხდება, რომელიც მომავალ წლებში, თავად დღევანდელი ხელისუფლების პროგნოზით, კიდევ უფრო დამძიმდება:*

თამარ ხორბალაძე

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2004 წლის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა, 2003 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზრდება 77,6 მლნ ლარით და წლის ბოლოსათვის 4,033.0 მლნ ლარს შეადგენს.

ასეთი პროგნოზის პირობებში, საინტერესოა, რა რესურსებით აპირებს ქვეყანა მზარდი ვალის გასტუმრებას?

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალების მომსახურება-დაფარვისათვის საჭირო ხარჯების სახით გათვალისწინებულია მთლიანობაში 238,7 მლნ ლარის გამოყოფა, რაც 2003 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე11,3 მლნ ლარით მეტია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვალის მომსახურების ხარჯებში არ არის გათვალისწინებული იმ საგარეო ვალების გადახდის ხარჯები, რომლებიც 2003 წლის ბოლოს პარიზის კლუბის ფარგლებში სსფ-ს დახმარებით მოლაპარაკებების შედეგად ექვემდებარებოდა რესტრუქტურიზაციას და რაც, სსფ-სთან პროგრამის შეჩერების გამო, 2004 წლისათვის გადაიდო.

არადა, სსფ-ს "არაკეთილგანწყობის" შემთხვევაში, რაც საკმაოდ რეალურია, 2004 წლის ბიუჯეტში დამატებით საჭიროა მინიმუმ 50,0 მლნ აშშ დოლარის გათვალისწინება. ეს კი ან ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს (რაც ცალსახად მიუღებელია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის), ან სხვა ხარჯების შემცირებით – რაც ისედაც შეზღუდული დაფინანსებების პირობებში სერიოზული შიდასახელისუფლებო კრიზისის საფუძველი შეიძლება გახდეს.

თუმცა მანამ, სანამ ყველაზე მძიმე პროგნოზები ამხდარა, საქართველოს ხელისუფლება სსფ-ს კეთილგანწყობის თავისდროინდელ შედეგებს იმკის და პარიზის კლუბში რამდენიმე წლის წინ მიღწეული შეთანხმებებიდან გამომდინარე, ვალების რესტრუქტურიზებას განაგრძობს.

ამ დღეებში საქართველომ ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე ხელშეკრულება კიდევ ერთ კრედიტორთან გააფორმა. ბაქოში ვიზიტით მყოფმა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა 2001-2002 წლებში აზერბაიჯანისთვის გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზაციაზე ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

აზერბაიჯანი რიგით მე-10 ქვეყანაა, რომელთანაც "პარიზის კლუბის" ფარგლებში ვალის რესტრუქტურიზაცია გაკეთდა.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს 16,19 მლნ. დოლარის ვალი ერიცხება. რესტრუქტურიზაცია 2001-2002 წლებში გადასახდელი ვალის ძირითად თანხას - 3,2 მლნ. დოლარს გაუკეთდა. შეთანხმების თანახმად, საქართველო ამ თანხას 20 წლის შემდეგ გადაიხდის.

ამჟამად ვალის რესტრუქტურიზაციაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ყაზახეთთან, რომლის მიმართაც საქართველოს 27,774 მლნ. დოლარის ოდენობის ვალი გააჩნია.

კიდევ ერთი დეტალი - თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მომავალი წლის თებერვალში "პარიზის კლუბში" საქართველოს არ "დაეხმარა", ფინანსთა სამინისტრო იძულებული იქნება, ყველა კრედიტორთან ინდივიდუალური მოლაპარაკებები საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში აწარმოოს. რამდენად მოახერხებს, ეს ცალკე საკითხია.

მომავალი წლიდან ასევე კვლავ გაგრძელდება თურქმენეთის რესპუბლიკის ვალის ეტაპობრივი ჩამოწერის პრაქტიკა, საქართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ თურქმენეთის მხარისათვის გაწეული მომსახურების ჩათვლის გზით. როგორც ცნობილია, ასეთი საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით ხორციელდება და ამ მექანიზმის გამოყენებით 2003 წელს უკვე შემცირებულ იქნა 1,1 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ვალი და 5,3 მლნ აშშ დოლარის საჯარიმო დავალიანება. ამავე გზით წლის ბოლომდე ჩამოწერილ უნდა იქნეს კიდევ 28,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით ვალი.

როგორც ფინანსთა სამინისტროში ირწმუნებიან, ამ მექანიზმის გამოყენებით ხდება გარკვეული სახის ინვესტირება საქართველოს სამრეწველო კომპლექსის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საწარმოებში და არ ხდება უცხოური ვალუტის გადინება ქვეყნიდან, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას.

# სად „ილექება" სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მოგება?

პირველი გვერდიდან

**"რეალური მოგების საერთოდ დამალვა ან შემცირება, მისი ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქცევა და წმინდა მოგების არამიზნობრივი რეინვესტირება",** - ეს არის სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელი პირებისადმი წაყენებული ის ძირითადი ბრალდებები, რასაც დამოუკიდებელი ექსპერტები და, მათთან ერთად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისიც ეთანხმება.

სახელმწიფო ბიუჯეტს საკუთარი საწარმოებიდან მისაღები მოგების წილი თითქმის ყოველ წელიწადს ქრონიკულად აკლდება.

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს უკანასკნელი მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, სადაც აქციათა სრული ან ნაწილობრივ მესაკუთრე სახელმწიფოა, 1800-ს აღემატება. საკუთრების ყველაზე მეტი წილი სახელმწიფოს მრეწველობის, მშენებლობისა და ჯანდაცვის სექტორში გააჩნია, ყველაზე ნაკლები - ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში. სახელმწიფო თითქმის ყველგან საწარმოთა საკონტროლო პაკეტის სრული მფლობელია. მიუხედავად ამისა, სიტუაციის გაკონტროლება ხსენებულ საწარმოებში სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს ყველაზე მეტად "უჭირთ".

სხვადასხვა გადასახადებთან ერთად, ეს საწარმოები მოქმედი კანონმდებლობით ვალდებულნი არიან, წმინდა მოგებიდან გარკვეული პროცენტი ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადარიცხონ. ექსპერტების თქმით, კანონის პირველი (სხვათა შორის, არა ერთადერთი) ხარვეზი სწორედ აქ არის.

საწარმოთა წმინდა მოგების განაწილების კრიტერიუმებსა და მექანიზმს, ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდების ადმინისტრირების წესსა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს დღეს მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს. არსებობს მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, ფინანსთა სამინისტრომ, შესაბამის დარგობრივ სამინისტროსთან ერთად, უნდა განსაზღვროს, წმინდა მოგების რა ნაწილი გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის განმარტებით, ხსენებული სახელმწიფო სტრუქტურების მიდგომა, დივიდენდების ოდენობის დადგენისას არანაირ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. **"ფინანსთა სამინისტრო ძალიან ხშირად უპირობოდ ეთანხმება სხვადასხვა სამინისტროებიდან შემოსულ ინფორმაციას და წინადადებას",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გოცირიძემ. ასე მაგალითად, გასულ წელს, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზას" თუ არ ჩავთვლით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში არსებული 28 საწარმოს 15.5 მილიონიანი წმინდა მოგებიდან დივიდენდის სახით, ბიუჯეტში მხოლოდ 956 ათასი ლარი განაწილდა. ეს მაშინ, როცა ოცდარვავე საწარმოს 100-პროცენტიანი მესაკუთრე სახელმწიფოა. ფოთის ნავსადგურის წმინდა მოგებიდან (7.8 მილიონი) ქვეყნის ხაზინას მხოლოდ 6.4 პროცენტი ერგო. **"ამ და სხვა კონკრეტულმა მაგალითებმა აჩვენა, რომ მოგების წილის განაწილების მექანიზმი სუბიექტური და უწყებებს შორის გარიგების საგანია",** - გვითხრა საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა.

საწარმოთა მოგების წილის სახელმწიფოსთვის არასრულად განაწილება, ან საერთოდ დამალვა, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის მტკიცებით, ბოლო წლებში დამკვიდრებული "ტრადიციაა". მაგალითად, გასულ წელს სააქციო საზოგადოება "მადნეულმა" 18 მილიონი ლარის პროდუქცია აწარმოა, მაშინ როცა მან წმინდა მოგება მხოლოდ 233 ათასი ლარი აჩვენა.

მოგების წილის გარკვეული ნაწილი, შესაძლოა, თავად ამ საწარმოთა რეინვესტირებას მოხმარდეს, ამას კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ განსაზღვრავს. უფრო მეტიც, იმ სახელმწიფო საწარმოებს, რომელთა ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია, ევალებათ წმინდა მოგების მნიშვნელოვანი წილის საწარმოში პირდაპირი რეინვესტირება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, როგორც საბიუჯეტო ოფისის გასულ წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ხსენებული თანხები არამიზნობრივად იხარჯება. მაგალითად ს.ს "ელქტროგადაცემის" განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგებიდან 123 ათასი ლარი სპონსორულ, მატერიალურ დახმარებებსა და სხვა არა - აუცილებელი საჭიროებისთვის გაიხარჯა. ეს მაშინ, როცა ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ხდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კრედიტების მოზიდვა.

# ერაყის ეკონომიკის აღდგენას მოსალოდნელზე მეტი დრო დასჭირდება

გასული კვირის ბოლოს გაერო-მ და მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნეს მონაცემები ერაყის ეკონომიკის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გაერო-სა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2004 წელს ერაყის ეკონომიკა 22 პროცენტით შემცირდება. 2002 წელს ერაყის ეკონომიკის ვარდნის ტემპმა 22 პროცენტი შეადგინა, 2001 წელს კი – 12 პროცენტი.

საშუალო შემოსავალი ერთ მოსახლეზე ერაყში დაეცა 8-ჯერ.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ექსპერტები აცხადებენ, რომ ერაყის აღდგენას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ეს თავიდან გახლდათ ნავარაუდევი.

უმთავრესი პრობლემა ერაყის ეკონომიკაში უმუშევრობაა – მოსახლეობის 50 პროცენტი უმუშევარია, 30 პროცენტი კი დასაქმებულია დაბალეფექტურ სახელმწიფო საწარმოებში.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბანკი 192 საწარმოს ერთბაშად გაჩერების წინააღმდეგი გამოდის, რადგან მათი არსებობა ქვეყანაში შედარებითი სტაბილურობის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი.

საინტერესოა, რომ ერაყელთა ნახევარზე მეტი დამოკიდებულია სახელმწიფოს ჰუმანიტარულ დახმარებებზე, რაც წელიწადში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ჯდება.

რა თქმა უნდა, ერაყული ეკონომიკის მთავარი იმედი ნავთობმომპოვებელი წარმოების აღდგენაა. ექსპერტების პროგნოზით, 2004 წლის ბოლოსთვის ნავთობის მოპოვება უნდა გაორმაგდეს და 2,7 მლნ ბარელს მიაღწიოს დღეში, რაც 12 მილიარდ დოლარიან ექსპორტს შეესაბამება. ამ შემოსავლის ძირითადი ნაწილი წავა ხელფასებსა და სუბსიდიებზე. ინვესტიციებისთვის კი მხოლოდ 1,4 მილიარდი აშშ დოლარი "დარჩება".

და ბოლოს – მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საერთაშორისო თანამეგობრობამ ერაყს 35 მილიარდიანი დახმარება რომც გამოუყოს, მისი ათვისება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, 2004 წლამდე ვერ მოხერხდება.

*ბი-ბი-სის მიხედვით*

**ავსტრია.** ავსტრიელმა პილოტებმა, შტურმანებმა და ბორტგამცილებლებმა შაბათს უვადო გაფიცვა დაიწყეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ავსტრიული ავიაკომპანიის Austrian airlines-ის გამგეობაში აცნობეს.

გაფიცულები კომპანიის მიერ დაგეგმილ სამუშაო ადგილების სერიოზულ შემცირებას აპროტესტებენ. ავსტრიის სამოქალაქო ავიაციის 300-ზე მეტი მფრინავი ავიარეისებს მანამ არ შეასრულებს, სანამ პროფკავშირების პილოტებსა და ავიახაზების ხელმძღვანელებს შორის კონსტრუქციული მოლაპარაკება არ დაიწყება.

ზოგიერთი ავიარეისი ჯერ კიდევ პარასკევს საღამოს გაუქმდა, როცა Austrian airlines-ის მფრინავებმა თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაფრენაზე უარი განაცხადეს და მგზავრები სასწრაფოდ სხვა ავიაკომპანიის თვითმფრინავში გადასხეს.

შაბათს ავსტრიის, პრაქტიკულად, ყველა შიდა რეისის თვითმფრინავი მიწაზე დარჩა. ასევე არ შესრულდება ავიარეისები გერმანიის, იტალიის, ბელგიის, საბერძნეთის, ლუქსემბურგის და შვეიცარიის რიგ ქალაქებში.

გაფიცვაში "ავსტრიის ავიახაზების" თითქმის 2 ათასი თანამშრომელი მონაწილეობს.

**გერმანია.** გერმანიის პროკურატურამ დაიწყო ძიება "დოიჩე ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის იოზეფ აკერმანის საქმიანობასთან დაკავშირებით. მას წაუყენეს ბრალდება თაღლითობასა და ხელშეკრულების დარღვევაში, კერძოდ, კომპანიების "ვოდაფონ" და "მანნესმანთან" გარიგებებისას. პროკურორის ინფორმაციით, რომელიც ამ საქმეს უძღვება, ამ საქმეში გადის ასევე "დოიჩე ბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე როლფ ბროიერი. თუ ძიების ეჭვი დადასტურდა, ამ პირებს თანამდებობების დატოვება მოუხდებათ.

**ერაყი.** ერაყის ცენტრალურმა ბანკმა სადამ ჰუსეინის გამოსახულებიანი ძველი დინარების განადგურება დაიწყო. 15 ოქტომბერს ერაყში დაიწყება ძველი დინარების გადაცვლა ახალზე. ერაყის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილის ირაკ ახმედ სალამანის ინფორმაციით, სამი თვის განმავლობაში ოთხამდე ტრილიონი ერაყული დინარის გადაცვლა უნდა განხორციელდეს. ძველი დინარები ახალზე გადაიცვლება ერთი-ერთზე კურსით. (2000 ერაყული დინარი დღეს ერთი აშშ დოლარის ეკვივალენტურია).

# ბაღდადში ამერიკელი მზვერავების სასტუმრო აფეთქეს



აფეთქების ადგილი.

გუშინ, ბაღდადის გარეუბანში მდებარე სასტუმროს გვერდით, რომელშიც ამერიკის ოფიციალური პირები იმყოფებოდნენ, მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, 10 ადამიანი დაიღუპა და უფრო მეტი დაიჭრა.

თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ მანქანა სასტუმროს წინ განლაგებულ დაცვის ზღუდეს დაეჯახა და აფეთქდა. სასტუმროს ხშირად იყენებდნენ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური, კოალიციის ოფიციალური პირები, ერაყის მმართველი საბჭოს ერაყელი წევრები, და ასევე ამერიკელი კონტრაქტორები.

პოლიციის განცხადებით, აფეთქების შედეგად ათი ადამიანი დაიღუპა. საავადმყოფოს სიახლოვეს კი როიტერის ფოტოკორესპონდენტმა ათეულობით დაჭრილი დაინახა, რომელთაგან ბევრი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მათ შორის რამდენიმე ერაყელი პოლიციელია.

სასტუმროს სტუმრებმა სასწრაფოდ დაიწყეს შენობის დატოვება, ისინი დაჭრილები არ ყოფილან, მაგრამ აცხადებდნენ, რომ სასტუმროს ოთახები აფეთქების შემდეგ ძალიან დაზიანდა.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მან მოშორებით მდგარი შენობების ფანჯრებიც დააზიანა. ეს იყო ერაყში დაწყებული აფეთქებების სერიიდან ბოლო, რომელიც კოალიციის წევრების წინააღმდეგ არის მიმართული. ამერიკელების განცხადებით, ამ აფეთქებების უკან ერაყის პარტიზანული მოძრაობა დგას.

ბოლო თვეების განმავლობაში ამ ტიპის აფეთქებებმა ერაყში ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის - ერაყელების. აგვისტოში ძლიერი აფეთქების შედეგად, ერაყში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი სერჟიო ვიერა დე მელოც დაიღუპა.

# ჩეჩენი მებრძოლები, კადიროვის პროგრამა და ალა დუდაევა

პირველი გვერდიდან

შაბათსვე, ფედერალური არმიის სატვირთო ავტომანქანა ფუგასის ტიპის ნაღმზე აფეთქდა. ამჯერად ერთი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და სამი დაიჭრა. ეს ინციდენტები გროზნოს მახლობლად არსებულ დასახლებაში მოხდა. თავად გროზნოში კი ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა, რის შედეგადაც კადიროვის ერთი მილიციონერი დაიღუპა. ძლიერი შეტაკება მოხდა იტუმ-ყალეს რაიონშიც. რუსმა ფედერალებმა ბრძოლის ველზე ორი თანამებრძოლი დაკარგეს. ჩეჩენთა შორის არსებული მსხვერპლის რაოდენობა, ჯერჯერობით, უცნობია.

ჩეჩენ მებრძოლებზე შურისძიების მიზნით, კადიროვის არმიამ და ფედერალებმა რესპუბლიკის რამდენიმე სოფელში სპეცოპერაციები, ე.წ. "წმენდა" ჩაატარეს, რის შედეგადაც 190 ჩეჩენია დაპატიმრებული. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა ბრალდებებს წაუყენებენ დაკავებულებს.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა. პრეზიდენტ კადიროვის ადმინისტრაციისა და რუსი ფედერალებისთვის არც გუშინდელი დღე ყოფილა მშვიდი. საერთაშორისო სააგენტოები გროზნოს დასავლეთით, კიროვოს დასახლებაში მასშტაბური ბრძოლების შესახებ იუწყებოდნენ. კერძოდ, ფედერალური არმიის პატრული ჩეჩენ მებრძოლებს გადააწყდა, რის შემდეგაც მათ შორის ორმხრივი სროლა გაიმართა. რუსეთის მასმედია ფედერალებს შორის დანაკარგების შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს. კადიროვის ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ამჟამად კიროვოს რაიონში მიმალული ამბოხებულების მოძებნის და დაკავების მიზნით, სპეცოპერაცია ხორციელდება.

## "კრემლის კაცის" ფიქრები...

შაბათ-კვირას მომხდარ შეტაკებებს წინ უსწრებდა აჰმად კადიროვის საპროგრამო გამოსვლა. "კრემლის კაცმა" მოსახლეობას თავისი მიზნები გააცნო, რომელთა განხორციელებასაც ის პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის დროს აპირებს. მან თავისი საქმიანობის პრიორიტეტად რესპუბლიკაში უსაფრთხოების და წესრიგის დამყარება დაასახელა. თუმცა აღნიშნა, რომ დაუდგენელია ამბოხებული მებრძოლების ზუსტი რაოდენობა და იმ პირთა ვინაობები, ვინც ღამ-ღამობით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ხალხს იტაცებს.

რაც შეეხება რესპუბლიკიდან ფედერალური არმიის ნაწილების გაყვანას, კადიროვმა არ იცის, თუ დაახლოებით როდის დატოვებენ რუსი სამხედროები ჩეჩნეთის ტერიტორიას. ამასთან დაკავშირებით, მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფორმირება მთლიანად დასრულდება.

**"ჩეჩნებს ოღონდ იარაღი მიეცით და იომებენ, რადგანაც ისინი მეომრები არიან. მაგრამ, მთელ ამ მეომარ სულს ჩვენ სხვა მიმართულებით წავიყვანთ. ჩვენს მთელ ძალებს სპორტის, კულტურის, განათლების და ჯანდაცვის განვითარებას მოვახმართ,"** - განაცხადა "კრემლის კაცმა." როგორც ჩანს, მას იმედი აქვს, რომ ჩეჩენი ხალხი მის გარშემო მართლაც ამ მიზნების მისაღწევად დაირაზმება.

კადიროვმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ისტორიული სამართლიანობის მიღწევის მიზნით, ის შექმნის კომისიას, რომელსაც ჩეჩნეთში ომის დაწყების მიზეზების გამოძიება დაევალება. კადიროვის თქმით, კომისიაში უხუცესები და იურისტები შევლენ. თუმცა, "კრემლის კაცმა" კომისიას ჯერ დაბადებაც არ აცადა და ჩეჩნეთის ომის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავეც დაასახელა. მისი თქმით, ეს ცოდვა რუსლან ხაზბულატოვის კისერზეა.



კადიროვის არმიამ რამდენიმე სოფელში ე.წ. "წმენდა" ჩაატარა.

რაც შეეხება საკუთარი როლის შეფასებას ამ ომში, კადიროვი თვლის, რომ ის არაფერ შუაშია. **"ის, რომ მე ხალხს ჯიჰადისკენ მოვუწოდებდი, არავისთვის დასამალი არ არის. მე ჩემი საფუძვლები მქონდა, რომელიც, როგორც მუფტის, გამაჩნდა,"** - გაიხსენა კადიროვმა ის დრო, როდესაც თავად ებრძოდა რუს ფედერალებს.

მას არც გაყალბებული და დარღვევებით ჩატარებული არჩევნები გამორჩენია. კადიროვის განცხადებით, ჩეჩნეთიდან მასაც შეუძლია თქვას, რომ კალიფორნიაში "ტერმინატორის" არჩევნები გაყალბებით ჩატარდა.

რაც შეეხება ასლან მასხადოვს და მისდამი დამორჩილებულ მეომრებს, კადიროვმა განაცხადა, რომ რესპუბლიკაში სტაბილიზაციის და ნორმალური ცხოვრების დამყარებისათვის, ის მზად არის, მოლაპარაკების მაგიდასთან მასხადოვთანაც დაჯდეს. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, იმავე გამოსვლაში მკაცრი ტონით განაცხადა, რომ მასხადოვს ორი გზა დარჩა: ან სიკვდილი, ან სასამართლო.

რაც შეეხება ჩეჩნეთის ეკონომიკურ აღმშენებლობას, კადიროვმა ამის მისაღწევად ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ჩეჩნეთის ნავთობკომპანიის შექმნა დაასახელა, საიდანაც მიღებული შემოსავლების ძირითადი ნაწილი ჩეჩნეთში დარჩება, მცირე ნაწილი კი კრემლს გადაერიცხება.

## ალა დუდაევა

კადიროვის იმედიანი განწყობის მიუხედავად, არც მასხადოვი აპირებს სიკვდილს ან სასამართლოს წინაშე წარდგომას და არც ჩეჩენი ამბოხებულები - იარაღის დაყრას. ჩეჩნეთში დასაბრუნებლად კადიროვის მიპატიჟებაზე მტკიცე უარი განაცხადა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის ქვრივმა - ალა დუდაევამაც.

კადიროვმა მას სპეციალური შეთავაზება გაუგზავნა და განაცხადა, რომ ალა დუდაევას უსაფრთხოების გარანტი თავად ის იქნებოდა. დუდაევის მეუღლემ კი საპასუხოდ აღნიშნა, რომ კადიროვი მისთვის ავტორიტეტი არ არის და ამდენად, მისი გარანტიაც საიმედოდ ვერ ჩაითვლება.

ცხადია, კადიროვს ალა დუდაევას სამშობლოში დაბრუნება სულაც არ ანაღვლებს. მის ერთადერთ მიზანს ამ შემთხვევაში ე.წ. კეთილი ნების გამოხატვა და ამით რეიტინგის ცოტათი მაინც ამაღლება წარმოადგენდა, რადგან ჯოჰარ დუდაევი ჩეჩენთა უმრავლესობისათვის ეროვნულ გმირად ითვლება და მის მეუღლესაც უდიდეს პატივს სცემენ.




# ახლო აღმოსავლეთი დიდი სისხლისღვრის წინაშე დგას



რეიდი რაფაჰაში

ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ისრაელს უკვე აქვს უნარი, ბირთვული რაკეტები ზღვიდან გაუშვას, ხოლო პალესტინელებმა დაიფიცეს, რომ ისრაელზე შურს იძიებდნენ ღაზას სექტორში, რაფაჰას ლტოლვილთა ბანაკში განხორციელებული მასშტაბური რეიდის გამო, რასაც საბოლოო ჯამში რვა პალესტინელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ისრაელის სამხედრო ძალები რაფაჰაში ექვმიტანილთა ძებნა-დაპატიმრებებს ორი დღის განმავლობაში ახორციელებდნენ. გარდა ამისა, მათ მიზანს წარმოადგენდა იმ საიდუმლო გვირაბების პოვნა, საიდანაც პალესტინელი მებრძოლები იარაღს იღებდნენ.

გუშინ საღამოს ისრაელის არმიის ნაწილმა რაფაჰას ტერიტორია დატოვა. თვითმხილველთა თქმით, ბანაკიდან დაახლოებით ორმოცამდე ტანკი გავიდა და ეგვიპტის საზღვრისაკენ გაემართა.

სააგენტო "ფრანს პრესის" ცნობით, მართალია, რაფაჰადან მძიმე ტექნიკის ძირითადი ნაწილი გაყვანილია, მაგრამ სამხედროები, ჯერჯერობით, ადგილზე არიან და იქამდე დარჩებიან, ვიდრე იარაღის კონტრაბანდის გზებს სრულად არ ჩაკეტავენ.

ორდღიანი რეიდის განმავლობაში ებრაელმა სამხედროებმა ათამდე სახლი დაანგრიეს. ისრაელის არმიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბანაკში უკვე მესამე გვირაბი აღმოაჩინეს, რომელიც ღაზას სექტორიდან ეგვიპტის საზღვარზე გადის და იარაღის მიღების შესანიშნავ არხს წარმოადგენს. თუმცა, ჯერჯერობით, ებრაელებმა უკანონო იარაღის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ, ოპერაცია კიდევ გაურკვეველი დროით გაგრძელდება.

რასაკვირველია, რაჰაფაში რეიდის დაწყებას წინ უსწრებდა სადაზვერვო ინფორმაციების მიღება ბანაკში საიდუმლო გვირაბის აღმოჩენის თაობაზე. ბოლო შეტყობინება ეგვიპტიდან სარაკეტო დანადგარების ღაზას სექტორში შეტანას შეეხებოდა. დაზვერვის მონაცემებით, ამ აღჭურვილობის მიღების შემდეგ პალესტინელები აქტიურად დაიწყებდნენ ტანკების, ვერტფმრენების და თვითმფრინავების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. ამიტომ, დაუყოვნებლივ მიიღეს გადაწყვეტილება სპეცოპერაციის დაწყების შესახებ.

რეგიონში დაძაბულობას კიდევ უფრო ამძაფრებს სირიასა და ისრაელს შორის დაპირისპირება. სირია აცხადებს, რომ თუ ისრაელი განმეორებით დარტყმას განახორციელებს, მას სრული უფლება აქვს, თავდაცვით ღონისძიებებს მიმართოს. ამის საპასუხოდ კი ისრაელი აცხადებს, რომ ქვეყანას, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებს იცავს, არ აქვს უფლება, თავდაცვაზე ილაპარაკოს.

გასულ კვირას ისრაელმა იერიში მიიტანა სირიის ტერიტორიაზე, მისი განცხადებით, ტერორისტული ჯგუფების საწვრთნელ ბაზაზე. ეს აქცია მას შემდეგ განხორციელდა, რაც ტერორისტულმა აფეთქებამ ისრაელის ჩრდილოეთით, ქალაქ ჰაიფაში 20 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა, სირიამ განაცხადა, რომ ისრაელმა იერიში სამოქალაქო ობიექტებზე მიიტანა.

**"ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისრაელი ასეთ აგრესიას მეორედ აღარ მიმართავს. თუმცა, აგრესიის განმეორების შემთხვევაში, სირიას აქვს უფლება, საკუთარი ტერიტორია დაიცვას,"** - აღნიშნა სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა.

ამასთანავე, მან განაცხადა, რომ ისრაელი ყველა ქვეყანას, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებს მფარველობს, პოტენციური დარტყმის ობიექტებად განიხილავს, თუმცა, ბოლოს დასძინა, რომ - მხოლოდ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე მყოფ ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათ ლიდერებს, და არა მათ მასპინძელ ქვეყნებს.

**"ქვეყნები, რომლებიც მფარველობენ ტერორისტულ ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება ილაპარაკონ თავის დაცვაზე,"** - დასძინა მან.

რეგიონში დაძაბულობა შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს მას შემდეგ, რაც "ლოს-ანჟელეს ტაიმსში" დაიბეჭდა მასალა, სადაც ამერიკის და ისრაელის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ისრაელს გააჩნია მოდიფიცირებული ამერიკული ფრთოსანი რაკეტები და შეუძლია, ბირთვული რაკეტებით დარტყმა ზღვიდან განახორციელოს. ამის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, ისევე, როგორც ისრაელის სამხედრო პირებმა.

ამასობაში რამალაში პალესტინის პრეზიდენტ იასირ არაფატსა და პრემიერ-მინისტრ ამედ კურის შორის უშედეგოდ დამთავრდა შეხვედრა, რომელზეც პალესტინის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტისთვის შესაფერის კანდიდატურაზე უნდა შეთანხმებულიყვნენ. თავდაცვით ძალებში რეფორმების შედეგად მიღებული ცვლილებების შემდეგ სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გახდეს ის წამყვანი ფიგურა პალესტინაში, ვინც ამერიკელების მიერ შემოთავაზებული "საგზაო რუკის" განხორციელებას თავის თავზე აიღებს.

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადებით კი, აშშ-მ უფრო მეტი უნდა გააკეთოს "საგზაო რუკის" გადასარჩენად, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას ისახავს მიზნად.

**"საგზაო რუკა" ახლა დიდ საფრთხეშია. ჩვენი ამერიკელი მეგობრები ამ პროცესში დე ფაქტო წამყვან ძალას წარმოადგენენ. ეს არის სწორედ ის ადგილი, სადაც მათ ფეხსაცმელი უჭერთ,"** – განაცხადა შირაკმა მაროკოში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ. ექსპერტები კი, უკვე დიდი ხანია, გამოთქვამენ შიშს, რომ თუკი "საგზაო რუკა" ჩაიშალა, რეგიონი დიდი და ახალი სისხლისღვრის წინაშე აღმოჩნდება.

# ჰუგო ჩავესი ქრისტეფორე კოლუმბის წინააღმდეგ

ვენესუელის პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა ლათინო-ამერიკელებს მოუწოდა, რომ კოლუმბის დღე არ იზეიმონ, რადგან მისი განცხადებით, 1492 წელს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის - ინდიელების გენოციდს უცხო დამპყრობლების მიერ, რომლებიც ჰიტლერზე უარესად იქცეოდნენ.

"ქრისტეფორ კოლუმბმა დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიან გენოციდს," – განაცხადა ვენესუელის პოპულისტმა ლიდერმა შეხვედრაზე, რომელსაც ამერიკის კონტინენტის ყველა კუთხიდან ჩამოსული ინდიელები ესწრებოდნენ.

კოლუმბის დღეს ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა 12 ოქტომბერს აღნიშნავს, თუმცა ჩავესმა განაცხადა, რომ ეს დღე ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც ინდიელების მიერ გაწეული წინააღმდეგობის დღე.

"ჩვენ - ვენესუელის მოსახლეობას, ჩვენ – ლათინო-ამერიკელებს, არა გვაქვს არანაირი მიზეზი, რომ პატივი მივაგოთ კოლუმბის ხსოვნას, – განაცხადა ვენესუელის ლიდერმა, - ესპანელებმა, პორტუგალიელებმა და სხვა ეროვნების დამპყრობლებმა მასობრივად დახოცეს ინდიელები. კონტინენტის გეოგრაფიული სახელებიც კი, როგორიც, მაგალითად, ამერიკა ან ვენესუელაა, უცხოელი დამპყრობლების მიერ არის თავზე მოხვეული."

პრეზიდენტის ოპონენტები, რომლებიც ცდილობენ, რომ მის თანამდებობიდან გადაყენებას რეფერენდუმის გზით მიაღწიონ, აცხადებენ, რომ ჩავესი ცდილობს, ვენესუელაში, რომელიც მსოფლიოში ნავთობის ნომერ მეხუთე ექსპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს, კუბის მსგავსად ანტიამერიკული, კომუნისტური რეჟიმი დაამკვიდროს, ჩავესის განცხადებით კი მისი მემარცხენე ნაციონალიზმი ვენესუელას უფრო დამოუკიდებელ ქვეყნად აქცევს.

ვენესუელის ლიდერმა გმირებად გამოაცხადა ის ინდიელები, რომლებიც უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდნენ და აუდიტორიის აპლოდისმენტებიც დაიმსახურა, რომელთაგან უმრავლესობა შეკრებაზე ნაციონალური ტანსაცმლით იყო მისული.

# იმედის თავშესაფარი

## რატომ ტოვებენ დედები შვილებს

*პოსტსაბჭოთა საქართველოში, სადაც მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური ამოსუნთქვის მხოლოდ ორი წელი მისცეს, დედები შვილებს დაბნეულობის გამო ტოვებენ. ეს ის დაბნეულობაა, რომელიც სარჩოს საშოვნელად შორს გადახვეწას, ოჯახის მოშლას, არასტაბილურ ყოფას მოაქვს. თოვნებიდან ქცეული ადამიანები მექანიკურად მიჰყვებიან ინსტინქტს, ემოციურ ნებას და მერე შედეგებისგან გათავისუფლებას ცდილობენ. ამჯერად ტრაგედიების კონკრეტული გმირები ჰყავს - ქალები, რომელთა ძირითადი ინსტინქტი – დედობა, უხეშმა, დამანგრეველმა რეალობამ მოსპო.*

მაკა ჭიანი

მარინა გურიონაძეა; 15 წლისა გათხოვდა; სამი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. მის სოფელში, როგორც თავად ამბობს, გამრიელი მხოლოდ მსხალი მოდის. ვერ არჩინა რამდენიმე ძირმა ხილმა ოჯახი და ცოლ-ქმარი თბილისისკენ გამოემგზავრა. მათი გზები სწორედ აქ გაიყო. ქმარმა სხვა გაიჩინა და ოთხი წელი მეუღლეს არც კი შეხმიანებია. მარინა ვაგზლის მოედანზე ხაჭაპურების დატარებით აგროვებდა ფულს. ვაგზალზევე ეძინა, რომ შვილების მომვლელად დატოვებული დედამთილისთვის რამე გაეგზავნა. მერე გამოჩნდა [illegible] ტაქსის მძღოლი, რომელიც მარტოდ დარჩენილი ქალის გულის მოგებას ცდილობდა. [illegible] რა თვის ორსული იყო, გაურაში რომ გადაწყვიტა წასულა. მატარებელში ასვლამდე დაეწყო მშობიარობა. მერე ვაგზალზე გაჩინა. იქიდან წაიყვანეს სამშობიარო სახლში, შემდეგ – დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში. თავშესაფრის თანამშრომლები ამბობენ, რომ მარინამ ენა ახლახან ამოიდგა - საკუთარი უბედურებით დამუნჯებული იყო, თურმე, სიტყვასაც არ ამბობდა. ახლა ბავშვსაც უვლის, [illegible] სხივიც მოემატა. ამ ხალხის დამსახურებაა, - მორიდებით ამბობს. ჯერ ისევ სირცხვილის გრძნობა წვავს და დათრგუნულია.

**"ასეთი შემთხვევა იშვიათობა არ არის,** - ამბობს დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის მენეჯერი მარინა მენთეშაშვილი, - **თავშესაფარი 18 აპრილს გავხსენით, დღემდე აქ 11 დედა გვყავდა და შვიდი ბავშვი. "ადგილი" შემთხვევა – როცა ახალგაზრდა გოგო [illegible] და შვილს ასე აჩენს, ერთხელ გვქონდა. ძირითადად, რაიონებიდან ჩამოსული, 30-36 წლის ქალები გვყავს, რომლებსაც ჰყავთ ოჯახები, შვილები, რომლებსაც დედების თუ დედამთილების იმედად ხელში ტოვებენ, ჰყავთ, ან გაშორებულები არიან ქმრებს, თბილისში სამუშაოდ ჩამოდიან, მერე [illegible] გაუჩნდებათ. მათთვის ეს არასასურველი ორსულობაა და, რადგან კონტრაცეფციაზე წარმოდგენა არ აქვთ, იმაზე ფიქრობენ, როგორ მოიშორონ ნაყოფი, ან შემდეგ ვის მისცენ ეს ბავშვი. დიდი შრომა გვჭირდება, ეს გადაწყვეტილება რომ შევაცვლევინოთ, მაგრამ ვახერხებთ ამას. ხუთი დედა თავიანთ ჩვილებთან ერთად უკვე დავუბრუნეთ საკუთარ ოჯახებს. ჩვენი პროგრამის ფარგლებში, მატერიალურადაც დავეხმარეთ. საბოლოო შედეგებზე საუბარი ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ და ჩვენთან მყოფ სხვა დედებსაც ყველაფერი კარგად ექნებათ."**

ერთ-ერთი ასეთი დედა კახეთში საკუთარ სოფელს ივლისის ბოლოს დაუბრუნდა. თავის დროზე საკუთარი სახლიდან იგი ქმარს გამოექცა, – სვამდაო. ორი შვილიც თბილისში წამოიყვანა და ბავშვთა თავშესაფარ "მომავლის სახლში" მიაბარა. თავად, როგორც ბევრი სხვა, ვაგზლის მოედანზე საკვებს დაატარებდა. იქ მეწაღე შეუყვარდა. ბავშვის დატოვებას არ აპირებდა. თავად მოუყოლია, - ჯერ მის გაყიდვას ვაპირებდი, მერე – ჩაბარებასო. დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის სოციალურმა მუშაკებმა იმდენი ქნეს, თავისთან დაატოვებინეს, ის ორი ბავშვიც გამოაყვანინეს "მომავლის სახლიდან", მატერიალურად დაეხმარნენ – საქონელი, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო საგნები, საკვები, ტანისამოსი უყიდეს და ძმის მიერ გამოყოფილ სახლშიც თავად ჩაიყვანეს. ყველაფერი ეს საერთაშორისო ორგანიზაციების: World Vision International-ის, EveryChild-ის, UNICEF-ის UNFPA-სა (გაეროს ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია) და IMF-ის (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) თანადგომით და ფინანსური დახმარებით მოხერხდა. პროექტი, სახელწოდებით "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტი", მონაწილეობას საქართველოს განათლების, ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები იღებენ.

მათი თანამშრომლობით შექმნილი დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც [illegible] ქუჩაზე, ჩვილ ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე გაიხსნა, [illegible] უარის სათქმელად განწყობილი დედებისთვის. [illegible]

**"აქ ისეთი პირობებია, სიცოცხლის ხალისი დაგიბრუნდება,"** - ამბობს ეკა. იგი თბილისში იმერეთიდან ჩამოვიდა. ერთი წელი, ბავშვს გაჩენამდე და ერთი წელი, გაჩენის შემდეგ, ახლა [illegible] ... **"თავშესაფარში ფულს მაძლევენ - იმედი, რომ სადმე სამსახურს გავაკეთებ. ეს საქმე მეხერხება და ისიც ვიცი, რომ ბავშვს არ დავშორდები, ახლოს მეყოლება. ჩემი მიზანია, კარგი დედა ვიყო."** თავშესაფარში დღეს მცხოვრები დედებიდან ყველამ იცის, რას გააკეთებს, როცა იქიდან გავა. გალიდან დევნილ ლელას საკუთარი მაღაზია ექნება, ახმეტიდან ჩამოსულ ლიას – იმის საშუალება, სოფლის მეურნეობას მიჰყოს ხელი. ერთი ბავშვი მასაც ბავშვთა სახლში ჰყავს მიბარებული, გამოიყვანს და ოთხივენი – ის, მისი ორი შვილი და მეუღლე ერთად იქნებიან. ამ ქალების უნარ-ჩვევებს სპეციალისტები აფასებენ და გადაწყვეტილებაც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მათთვის გათვალისწინებული 1000, ცოტა მეტი, თუ ცოტა ნაკლები ლარი, ამის შემდეგ მიიღება. ერთ "ძველ" ბინადარს, რომელსაც კომერციის კარგი ნიჭი აღმოაჩნდა, ამ პროგრამამ დახლი შეუძინა ელიავას ბაზრობაზე. საქმე, როგორც ცირა თავად იტყობინება, მშვენივრად მიდის.

ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა პილოტურია და ორ წელიწადს გასტანს. შემდეგ საკუთარ პრობლემას საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ძალებით უნდა მიხედოს. თავშესაფარში იმედოვნებენ, რომ კარგად აწყობილ მათ საქმიანობას ხელი არც მაშინ შეეშლება.

# ქალა სათნოებაშია

„ძალა სათნოებაშია," - ასე ეწოდება გუშინ საქართველოში დაწყებულ კვირეულს, რომელიც მაგული გოგიტიძე-აბაშიძის სახელობის ქალთა მოძრაობის, „საქართველოს აღორძინების" მიერ არის ორგანიზებული. გუშინ მაგული გოგიტიძის დაბადების დღე იყო. კვირეული დაიწყო სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მაგული გოგიტიძე-აბაშიძის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. გუშინ დაბადებულ ყველა ბავშვს საჩუქარი გადაეცა. გარდა ამისა, თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლს, რომელსაც „მომავალი მესაზღვრე" ერქვა, მაგული გოგიტიძის სახელი მიენიჭა. კვირეულის ფარგლებში, 19 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება შემაჯამებელი ღონისძიება - ხსოვნის საღამო, სახელწოდებით „ქალი - სამყაროს მშვენება". **მედია-ნიუსი.**

# შვარცნეგერს ჩვენთვის არ სცალია

"საქართველოს ხელისუფლება აპირებს, კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს ახლახან კალიფორნიის შტატის (აშშ) გუბერნატორის არჩევნებში გამარჯვებული არნოლდ შვარცნეგერის სახელი უწოდოს, ოღონდ - თუკი ცნობილი კინომსახიობი საქართველოს ეწვევა", - იტყობინება სააგენტო Associated Press. სააგენტოს ცნობით, ქვეყნის ხელისუფლებას, ალბათ, იმედგაცრუება ელის: როგორც შვარცნეგერის პრესმდივანმა განაცხადა, უახლოეს მომავალში გუბერნატორის საქართველოში გამგზავრება არ იგეგმება, რადგან ახლა მას შტატში უამრავი საქმე აქვს. ამასთან, სააგენტო დასძენს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც მწვერვალის ადგილმდებარეობა დაუსახელებია და არც მისი სიდიდე. **მედია-ნიუსი.**

რეგიონი

# გადავარჩინოთ და დავაკავოთ შვიდი პროცენტი

ეთერ მამულაშვილი

*ხევსურეთის სოფელ როშკაში შვიდი წლის ბავშვებმა ჯერ კიდევ არ იციან, რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ჭერში ჩამოკიდებულ ნათურას. მოზარდებსაც კი ძალიან ბუნდოვნად ახსოვთ, რა ფუნქციას ასრულებს კომოდზე შემოდგმული ტელევიზორად წოდებული დიდი ყუთი. სოფლელებმა ელექტროენერგიის სიკეთით უკანასკნელად, ზუსტად, შვიდი წლის წინათ ისარგებლეს. დაახლოებით, ანალოგიური სიტუაციაა მაღალმთიანი და მთიანი რეგიონების დანარჩენ სოფლებშიც, სადაც თითო-ოროლა კომლი კიდევ არის შემორჩენილი. დღეს მთაში მოსახლეობის მხოლოდ შვიდი პროცენტი ცხოვრობს, უფრო ზუსტად კი - სულდგმულობს. ათასობით ლუკმა-პურის მაძიებელმა მთიელმა სოფლისა და ქვეყნის საზღვრები უკვე კარგა ხანია უკან მოიტოვა. ნასოფლარად ქცეულ ათასობით ჰექტარზე დღეს მეზობელი სოფლის საქონელი და მაწანწალა ძაღლები პარპაშობენ. მაღალმთიან სოფლებში ზედიზედ იხურება სკოლები და სამედიცინო ობიექტები. გაუთავებელმა სტიქიურმა უბედურებებმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მთიანი რეგიონის სოფლებს 72 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა, რომლის ასანაზღაურებლადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფომ მხოლოდ მილიონ ექვსასი ათასი ლარი გაიმეტა.*



სოფელი ღები. ბებიები.

### მცირეოდენი სტატისტიკა

ქვეყნის ტერიტორიის 79 პროცენტი უკავია მთიან რეგიონს, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა 300.000-ს ოდნავ აჭარბებს. იქაური მიგრაციის, შობადობის, სიკვდილიანობისა და განქორწინების ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები, წესით, ჩვენს ჩინოვნიკებს შეშფოთების საფუძველს უნდა აძლევდეს.

გასული წელს, 1990 წელთან შედარებით, მაღალმთიან რეგიონებში შობადობა 56 პროცენტით შემცირდა. სიკვდილიანობის შარშანდელი მაჩვენებელი, თორმეტი წლის წინანდელთან შედარებით, 46 პროცენტით გაიზარდა.

1990 წელთან შედარებით, 2002 წელს მთიან რეგიონებში ქორწინების კოეფიციენტმაც 69 პროცენტით იკლო.

მონაცემებს შორის სხვაობა კიდევ უფრო არასასიამოვნოა, როცა ექსპერტები მიგრაციაზე საუბრობენ. მთიანი რეგიონის ზოგიერთ სოფელში დარჩენილების ჩამოსათვლელად დღეს უკვე ხელის ათი თითი სრულიად საკმარისია, რამდენიმე სოფელში ზედმეტიც კია. მაგალითად, ხევსურეთში, დუშეთის რაიონის სოფელ არქივოში დღეს სამი მოხუციღა დაბარბაცებს. მეზობელ სოფელ ინოში ექვსი ხანდაზმული ცხოვრობს, შარახევში კი - ათი. ქარელის რაიონის მაღალმთიანი სოფლებიდან (ველისციხე და ორბოძალა) უკანასკნელი ორი ოჯახი შარშან ბარში ჩამოსახლებულა. ასამდე დაცარიელებულ სოფელს გასული წლის ბოლოს მარტვილის რაიონის კიდევ ორი სოფელი შეემატა.

თუკი წინა წლებში მთიელი მიგრანტები საკუთარი სადგომიდან რამდენიმე მეტრის ქვემოთ - ბარში სახლდებოდნენ, დღეს ისინი "უპირატესობას" დსთ-სა და ევროპის ქალაქებს ანიჭებენ. შარშანდელი ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქვეყნის ფარგლები დატოვა 500-მა ადიგენელმა, 300-მა ოზურგეთელმა, 650-მა ონელმა, 1236-მა დმანისელმა, 85-მა ახალგორელმა და 113-მა დუშელმა.

### როგორ ცხოვრობს მთაში ხალხი?

მოსახლეობის ის შვიდი პროცენტი, რომელიც დღეს მთას შემორჩა, წლიდან წლამდე თავის გატანას მესაქონლეობითა და მიწათმოქმედებით თუ ახერხებს. სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების რიცხვი იქ ძალიან ცოტაა. სახელმწიფო დაწესებულებათა დახურვის პარალელურად, დასაქმებულთა რაოდენობაც დღითიდღე კლებულობს.

რელიეფის თავისებურების გამო, მთის სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთები იქაურებისთვის არასაკმარისია. ბოლო წლების სტიქიურმა პროცესებმა მიწის ფართობები კიდევ უფრო შეამცირა. რაც დარჩა, იმის ათვისება და დამუშავება დღემდე მამა-პაპისეული "ტექნოლოგიებით" ხდება. თოხი, ბარი და გუთანი მთიელი გლეხის ყოველდღიური ცხოვრების ატრიბუტია. "ამით შორს წასვლა შეუძლებელია", - ამბობენ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები. "შორს წასასვლელად", ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად და შემოსავლების გასაზრდელად მთიელ გლეხებს უკვე, თითქმის, ერთი წელია ეხმარება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი IFAD.

ეს ფონდი მსოფლიოს ყველა განვითარებადი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. მისი სპეციალური პროგრამის - "საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარება" - ფარგლებში შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს დუშეთის, ასპინძის, შუახევისა და ამბროლაურის რაიონების 48 სოფლის მცხოვრებლებმა.

### რას აკეთებს ამ დროს სახელმწიფო?

თუკი საქართველოში სტუმრად ჩამოსული კაცი მოქმედ კანონმდებლობას, უფრო ზუსტად კი, 1999 წელს პარლამენტის მიერ მიღებულ "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" კანონს გადახედავს, იტყვის, - ბარაქალა თქვენს ხელისუფლებას, ასე რომ ზრუნავს საკუთარ ხალხზეო. ხსენებულ კანონს და შემდგომში მიღებულ არა ერთ გადაწყვეტილებასა და დადგენილებას, რომელიც მთიანი რეგიონის მოსახლეობის დახმარებას ეხება, წუნს ნამდვილად ვერ დასდებ. სხვა საქმეა, რამდენად სრულდება ისინი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მიღებული ეს ნორმატიული აქტები, ჯერჯერობით, მხოლოდ სურვილისა და ლოზუნგურ ხასიათს ატარებს. ქვეყნის მთავარმა ფინანსისტებმა ვერა და ვერ გამონახეს საჭირო და საკმარისი თანხები, რომლითაც ხსენებული კანონის, ბრძანებულებისა თუ დადგენილების სიკეთეს მთიელი გლეხები რეალურად იგრძნობდნენ.

უფასო სამედიცინო მომსახურება და განათლება, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული ადამიანების ჯამაგირის ჯერ 25, შემდეგ კი 50 პროცენტით გაზრდა, საპენსიო ასაკის ხუთი წლით შემცირება, მიწის გადასახადის განახევრება, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის ხელშეწყობა, მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდა, ტურიზმის განვითარებისა და საწარმოების ასამუშავებლად საგადასახადო შეღავათების დაწესება, გზების მშენებლობის მოწესრიგება, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ინვალიდებისთვის საშემოსავლო გადასახადის 50 პროცენტით შემცირება, არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმატებით წარმართვა და კიდევ მრავალი სხვა - ეს 1999 წელს მიღებული კანონის ("მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ") ის ძირითადი მუხლებია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჯერ არ, თუ ვერ ამოქმედებულა. არადა, ამ კანონების ძალაში შესვლა მთიანი რეგიონის მოსახლეობას, სულ ცოტა, გააორმაგებდა.

# ვიქნები შენი მზე

*მეოთხე წელია საქართველოში ძალზედ საინტერესო რამ ხდება. ბავშვებს – დიდებს თუ პატარებს, საკუთარი ძალებისადმი რწმენას, შესაძლებლობების სრულ გამოვლენას, დამოუკიდებელ აქტივობას, პერსონალურ პასუხისმგებლობას, განსხვავებულობისადმი ტოლერანტობას მეტად ორიგინალური მეთოდებით უნერგავენ. საერთაშორისო პროექტის - "უფლებამოსილებითი განათლება" - ფარგლებში მიმდინარე ამ პროგრამაში, სახელწოდებით "სწავლება შესაძლებლობების სრული განვითარებისთვის", საქართველო, კონკრეტულად კი, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ასოციაციის პროფესიონალ ფსიქოლოგთა ჯგუფი 1999 წლიდან სპეციალურ კონკურსში გამარჯვების შემდეგ ჩაერთო.*

მაკა ჭიანი

ჯგუფში შედიან: ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან ციცქიშვილი, სკოლის ფსიქოლოგები სოფო დოლიძე, ეკა ფირცხალავა, განათლების სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი ბეჟან შალამბერიძე. ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოსა" და ნიუ-იორკის ქალთა გლობალური ფონდის დაფინანსებით, მათ უკვე თარგმნეს უფლებამოსილებითი განათლების სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები რუსული და ინგლისური ენებიდან და ტრეინინგები ჩაუტარეს თბილისის შვიდი გიმნაზიის ქართული და რუსული სექტორების, ორი სკოლისა და დავით ალმაშენებლის სახელობის ლიცეუმის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს. 2002 წელს ჯგუფმა აქცენტი გააკეთა რისკ-ჯგუფებზე: ასოციალური ქცევის, მაწანწალა და მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე. ტრეინინგების სპეციალური პროგრამა მომზადდა და განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს მიმღებ-გამანაწილებელ და მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრებში. "ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა პროგრამის მიერ ჩამოყალიბებულ ქალთა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეგიონული კომიტეტების დახმარებით, ორდღიანი ტრეინინგები ჩატარდა საქართველოს ათ რეგიონში. შემდგომ ეტაპზე სკოლების ფსიქოლგები მომზადდებიან.

### რად გინდა ფორთოხალი?

დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ჩხუბობენ თქვენი შვილები ერთდერთი ფორთოხლის გამო? გვიანია, მაღაზიები დაკეტილია, სახლში მხოლოდ ერთი ცალი ფორთოხალია, გოგო-ბიჭს კი მისთვის ხელჩართული ბრძოლა გაუმართავს. ორივე ითხოვს, მაინც და მაინც, მთლიან ნაყოფს და არა მის ნახევარს, მაინც და მაინც - დღეს. აზრად რამდენიმე გამოსავალი მოგდით: არც ერთს არ მივცემ; მე შევჭამ მათ დასანახად, ან მეუღლეს ვაჭმევ; ხვალ ვიყიდი კიდევ ერთ ფორთოხალს და ორივე დამშვიდდება. ტრეინინგზე მყოფ არც ერთ ჟურნალისტს, მონაწილე თორმეტიდან, არ მოგვფიქრებია უმარტივესი რამ – გვეკითხა ბავშვებისთვის, რისთვის უნდოდათ ფორთოხალი. გვეგონა, უნდა ეჭამათ. თურმე, არა: გოგონას მისი მხოლოდ ცედრა სჭირდება, რადგან ნამცხვარს აცხობს, ბიჭს – გული, რადგან წვენი უნდა დაამზადოს და მშობლებს გაუმასპინძლდეს. ეს უჩვეულო და მეტად ნათელი მაგალითია იმაში დასარწმუნებლად, რომ ნებისმიერი კონფლიქტის (ერთი შეხედვით, ყველაზე ტრაფარეტულისაც კი) გადაწყვეტა მისი შესწავლით უნდა დავიწყოთ.

**"როცა ასეთ აღმოჩენას აკეთებენ, ყველა გაოცებული რჩება,** - ამბობს ეკა ფირცხალავა, - **თითქოს, რა კითხვა უნდა დაისვას ერთი ფორთოხლის ირგვლივ? არადა, სწორედ კითხვის დასმა ჭრის პრობლემას, თანაც – მომენტალურად. ამ სავარჯიშოს ერთი მიზანი აქვს – დაარწმუნოს ადამიანი, რომ სტერეოტიპებით არაფერს უნდა მიუდგე. შედეგი აშკარაა, როგორც მოზრდილებთან, ისე პატარებთან მუშაობისას."**

### დამტვრეული კუბიკები

ამ სავარჯიშოს დროს ხუთ-ხუთ მონაწილედ დაყოფილ ჯგუფს დაჭრილი კუბიკების არეულ ნაწილებს ურიგებენ. მონაწილეებმა ხმის ამოუღებლად უნდა შეკრან ისინი და თან ერთმანეს, ასევე ხმის ამოუღებლად, უნდა დაეხმარონ. კუბიკები ისეა დაჭრილი, რომ რამდენიმე ნაწილი შეიძლება სხვა კუბიკის ასაწყობად გამოდგეს, მაგრამ ის, რომლის შემადგენელიცაა, არეული დარჩება. ასეთ შემთხვევაში მონაწილეებს საკუთარი "მიღწევის" დათმობა უხდებათ და ხშირად – ენთუზიაზმის გარეშე. სავარჯიშო გუნდური თანამშრომლობის განვითარებისთვის არის გამიზნული. ზოგი ახერხებს ამის გაკეთებას, ზოგი - ვერა.

**"მე თვითონ საშინლად გამიჭირდა,** - იხსენებს გუგული მაღრაძე, - **ჩემი კუბიკი რომ ავაწყვე, საშინლად ვაპროტესტებდი მისი ნაწილების სხვისთვის მიცემას. საქმისთვის კი სწორედ ასე სჯობდა. საბოლოოდ რწმუნდები, რომ გაცემისთვის ხარ მზად. როცა ადამიანები საერთო მიზნის მისაღწევად ერთიანდებიან, სასურველი შედეგი გაცილებით სწრაფად მიიღწევა."**

### მზე და ღრუბელი

მზე გაშლილი ხელისგულია, ღრუბელი - მომუჭული. მზე და ღრუბელი ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან და პირველი მეორეს ხელის გაშლას სთხოვს. ხან რას ეუბნება, ხან – რას; სთხოვს, მის გრძნობებზე თამაშობს. საბოლოოდ აღწევს მიზანს, ან – ვერა, ტაქტიკას გააჩნია. ამ სავარჯიშოს შესრულებისას პატარები, თურმე გამორჩეულად ჯიუტები ყოფილან. ბევრს ისიც უთქვამს, - მეგონა, გამარჯვებული ვიქნებოდი, თუ მუჭს არ გავშლიდიო და მოსაუბრეს არც კი უსმენდა. იყო სხვა შეხედულებებიც, მაგალითად, ასეთი: რაღაც უხერხულად ვგრძნობდი თავს მომუჭული მუშტით, თითქოს, ვინმეზე თავდასხმას ვაპირებდი, ის ვილაც კი თანადგომას მთხოვდაო...

**ამის გამგონეს ერთადერთი სურვილი გიჩნდება – იყო ვინმესთვის "მზე", რომ მისი "ღრუბელი" უმტკივნეულოდ გაშალო.**

ორი სიტყვით

**თბილისი.** დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების რიგით მეორე გამოფენა საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია", სავარაუდოდ, 15 ოქტომბერს გაიმართება; წარმოდგენილი იქნება ორი ათასზე მეტი ექსპონატი. წლევანდელი გამოფენის ბიუჯეტი შეადგენს ორ მილიონ დოლარს, რომელიც სკოლების მიერ შერჩეული საჭირო სასწავლო მასალების შესყიდვაზე დაიხარჯება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ქართველი მშენებლები პროფესიულ დღესასწაულს აღნიშნავდნენ. დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ამ დღის აღსანიშნავად გაიმართება საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც, სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება. ღონისძიებაზე დარგის დამსახურებული მოღვაწეები დაჯილდოვდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კავკასიის ბიზნესის სკოლა", რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არის შექმნილი, 15 ოქტომბერს დაარსებიდან 5 წლისთავს აღნიშნავს. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები და აშშ-დან ჩამოსული სტუმრები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "უკვე შეინიშნება, რომ არჩევნების წინ საზოგადოებაში მღელვარება მატულობს. განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკლესიურ ადამიანებს გვეკისრება. უნდა გავაძლიეროთ ლოცვა მშვიდობისათვის", - ბრძანებს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. პატრიარქის თქმით, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე არ ეძიებს მშვიდობას და მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „მოხარული ვარ, რომ ჩვენი პრეზიდენტი და ხელისუფლება მიხვდნენ, რამდენად საშიში იყო საქართველოს სახელმწიფოს ხელშეურულების დადება ვატიკანთან", - ბრძანებს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. პატრიარქი შენიშნავს, რომ ქართველი ადამიანი ყოველთვის უნდა იდგეს თავისი მამულის, კულტურის, ეროვნულ და სულიერ ფასეულობათა დაცვის სადარაჯოზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფერეიდნელმა ქართველებმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს საჩუქრად ჩამოუტანეს რამდენიმე სამკაული, რომელიც ფერეიდანში შაჰ-აბასის დროს წაყვანილი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველების საცხოვრებელ ადგილას, იმ კლდესთან იპოვეს, საიდანაც რჯულის შეცვლაზე უარის მთქმელ ქართველებს აგდებდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია აღადგინეს. XVI საუკუნეში ერთნავიან სტილში აგებული ტაძარი ძლიერ იყო დაზიანებული - მორღვეული ჰქონდა სახურავი, კედლები დახეთქილი იყო, კანკელი - მოშლილი, იატაკი კი აყრილი. წლების განმავლობაში ეკლესიას მსხვილფეხა საქონელი აფარებდა თავს. ეკლესია სოფლის მოსახლეობის შემოწირულობებით აღდგა **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა საქართველოს საპატრიარქოს სამსახურის უფროსი, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე) და ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია). **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სენაკის ეპარქიაში, თეკლათის მონასტრის ეზოში ქალთა სასულიერო სასწავლებელი აღადგინეს. გიმნაზიის აღდგენითი სამუშაოები ფოთის ეპარქიის მმართველის, მთავარეპისკოპოს გრიგოლის ლოცვაკურთხევითა და თეკლათის მონასტრის მრევლის ფინანსური დახმარებით, ორი წლის წინათ დაიწყო. სასულიერო სკოლა თეკლათში საქართველოს გასაბჭოების წლებში გააუქმეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** ბორჯომში დასრულდა სამი წლის წინათ დაწყებული ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რესტავრაცია. ეკლესიას შემოარტყეს გალავანი, ეზო მოპირკეთდა ბაზალტის ფილებით, ტაძარს გაუკეთდა ახალი კიბე, შიგნიდან მთლიანად გაილესა და ახალი ფრესკებით შეიმკო. დედათა მონასტრისთვის დაგეგმილია ტაძრის ეზოში არსებული სახლის შესყიდვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, დეკანოზი დავით შარაშენიძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. მიტრის ტარების უფლების მინიჭება სამღვდელოებაში დიდ ჯილდოს წარმოადგენს და სასულიერო პირისათვის დიდი პატივია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონში ახალი, ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი ამოქმედდა. გასულ კვირას ტაძარი ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) აკურთხა. ეკლესიის წინამძღვრად დადგენილია დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე, მღვდელმსახურად კი მღვდელმონაზონი ამბროსი მაისურაძე. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ქუთაისისა და წყალტუბოს პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერაციის შედეგად, წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის გამგებლის იოსებ შაშიაშვილის ოჯახზე მომხდარი ყაჩაღობის საქმე გახსნეს და თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე დააკავეს. წყალტუბოელი, 25 წლის გია გვანცელაძე შაშიაშვილების ოჯახს თანამზრახველებთან ერთად, 2 ოქტომბერს დაესხა თავს. მათ ოქროს სამკაულები და გამგებლის შვილის კუთვნილი ავტომანქანა "ფოლკცვაგენი" გაიტაცეს. ამჟამად პოლიცია კიდევ ერთ ეჭვმიტანილს, 23 წლის ქუთაისელ კახა ღვინიანიძეს ეძებს, რომელსაც გვანცელაძესთან ერთად აღნიშნულ ყაჩაღობაში ედება ბრალი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი დავით კაჭკაჭიშვილი აცხადებს, რომ სიტუაციის გაცნობის შემდეგ, სამსახურიდან ყველა იმ კადრს დაითხოვს, ვინც საგზაო პოლიციას უტეხდა სახელს.

კაჭკაჭიშვილის განცხადებით, მან ახალ თანამდებობაზე მუშაობა მხოლოდ პარასკევს დაიწყო და, შესაბამისად, ჯერჯერობით, არც კოლექტივს იცნობს საფუძვლიანად და არც არსებულ ვითარებას.

მისი თქმით, საკადრო ცვლილებები მხოლოდ მდგომარეობის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ მოხდება.

“სამსახურში დარჩება ყველა ის თანამშრომელი, ვინც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს”, - თქვა კაჭკაჭიშვილმა.

ამასთან, კაჭკაჭიშვილი არ მალავს, რომ საგზაო პოლიციის ძველი უფროსი დავით კობახიძე მისი მეგობარი იყო და ვინც მას და საგზაო პოლიციას “ჩირქს სცხებდა”, იძულებული გახდება სამსახურიდან გაუშვას.

რაც შეეხება თავად საგზაო პოლიციის მუშაობას, იგი ძირითადად საზოგადოებრივ წესრიგსა და საგზაო უსაფრთხოებაზე იქნება ორიენტირებული, ამ მიმართებით კი რა როგორ შეიცვლება, საგზაო პოლიციის ახალ უფროსს ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის შს სამმართველოს II განყოფილებას რუსთავში მცხოვრებმა, 42 წლის ისმაილ გასანოვმა მიმართა, რომელმაც განაცხადა, რომ 2 ოქტომბერს მე-19 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიიდან აზერბაიჯანის მოქალაქემ ჯალილ ანაკოვმა, თანამზრახველებთან ერთად, ცოლად შერთვის მიზნით გაიტაცა მისი ქალიშვილი, 15 წლის საბირ გასანოვა. გატაცებული სამი დღის განმავლობაში ჩაკეტილი ჰყავდათ გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში, ერთ-ერთ ოჯახში. გატაცებული ოჯახში უკვე დააბრუნეს, საქმეს კი რუსთავის პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გარდაბნის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი ძმები, 22 წლის და 27 წლის ალექსანდრე ქობლიანიძეები, აგრეთვე ვარკეთილში მცხოვრები, 33 წლის სერგო გოგრიჭიანი და გორის რაიონში მცხოვრები, 18 წლის მიხეილ ქობლიანიძე, რომლებმაც აღიარეს ადრე ჩადენილი რამდენიმე დანაშაული. მათ გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მუღანლოს დასახლების სასაფლაოზე გაქურდეს ნურად ნოვრუზოვის საფლავი, საიდანაც ალუმინის ფიგურები წაიღეს. იგივე სასაფლაოზე კიდევ რამდენიმე საფლავი გაქურდეს. ასევე, გურჯაანის რაიონის სოფელ ახალშენის სასაფლაოდან ფერადი ლითონის ნაკეთობები მოიპარეს.

საქმეს იძიებს გარდაბნის შს საგამოძიებო განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** მარნეულის შს განყოფილების თანამშრომლებმა მარნეულის რაიონის სოფელ სავანის მიმდებარე ტერიტორიაზე გაანადგურეს 5.125 ძირი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე „კანაფი“. როგორც საქმეში გარკვეული სამართალდამცველები ირწმუნებიან, განადგურებული მცენარიდან შესაძლებელი იყო 51.25 კგ ნედლი მარიხუანას დამზადება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** წალკის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს წალკის რაიონის სოფელ თიაკილისაში მცხოვრები, 24 წლის ნიკოლოზ აზნაუროვი, რომელიც იქვე მცხოვრებ ხათუნა კარანაძესა და მისი ოჯახის წევრებს სანადირო თოფით ემუქრებოდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. სამართალდამცავებმა მისგან ორი სანადირო თოფი ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გეგუთის მე-8 საერთო რეჟიმის დაწესებულების ერთ-ერთი, უმოქმედო კორპუსის სარდაფიდან ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები და დაშლილი ხელყუმბარა ამოიღეს. დაწესებულებაში საბრძოლო მასალის არსებობის შესახებ ინფორმაცია კოლონიის ხელმძღვანელობამ გუშინ მიიღო. ჩხრეკას იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე ესწრებოდა. კოლონიის სარდაფიდან დაშლილი ხელყუმბარა „10-98IT“-ის გარდა, ამოღებულია სასიგნალო პისტოლეტის ორი, ავტომატის ერთი და ხელის ტყვიამფრქვევის ერთი ვაზნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას კოლონიის უსაფრთხოების სამსახური ატარებს. **მედია-ნიუსი**

# იტალიის მოქალაქეს პოლიტიკურ ნიადაგზე დანაშაულს აბრალებენ

*შაბათს ღამით, დაახლოებით ორის ნახევარზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი შინ ფეხით ბრუნდებოდა, როდესაც სამი უცნობი დაესხა თავს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.*

ღამით მომხდარის ამგვარი აღწერილობა სამართალდამცველთათვის თავად გიორგი მიქანაძის მონაყოლიდანაა ცნობილი, რადგანაც ერთადერთი ეჭვმიტანილი, რომელიც თავდასხმის გამო დააკავეს, ამბობს, რომ თავისი ღამის თავგადასავლის შესახებ არაფერი ახსოვს.

**“თავდასხმა, კოსტავას ქუჩის პარალელურ კობახიძის ქუჩაზე მოხდა. როდესაც ქუჩიდან ხმაური გაიგონეს, გიორგი მიქანაძის ოჯახის წევრები გამოცვივდნენ. მისი ვაჟი სამართალდამცველ ორგანოებში მუშაობს, ტაბელური იარაღი აქვს და რომ დაინახა, მამამისს სცემდნენ, ორჯერ გაისროლა. თავდამსხმელებს შეეშინდათ და გაიქცნენ”**, - გვიამბო მომხდარის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ნიკო ხაინდრავამ.

თავად გიორგი მიქანაძე ოჯახის წევრებმა საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას ცხვირზე რამდენიმე ნაკერი დაადეს და ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს. უცნობ თავდამსხმელთა მსხვერპლი საავადმყოფოდან გუშინვე გაწერეს, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა.

თავად გიორგი მიქანაძის თავდაპირველი განცხადებები იმის თაობაზე, რომ თავდამსხმელებს მისი მობილური ტელეფონებისთვის ხელი არ უხლიათ და არც ფული წაურთმევიათ, დანაშაულის პოლიტიკურ მოტივზე საუბრის საბაბად იქცა. თუმცა, საეჭვოა, რომ მიქანაძეზე თავდასხმის გამო პოლიტიკური განცხადებების



*გიორგი მიქანაძე საავადმყოფოდან გუშინვე გამოწერეს.*

გაკეთება მას შემდეგ შეწყდეს, რაც გამოძიებამ ამ თავდასხმაში ეჭვმიტანილ ერთადერთ დაკავებულს გიორგი მიქანაძის პიჯაკი ალმოუჩინა. ნიკო ხაინდრავას თქმით, 19 წლის მიხეილ ბაგრატიონ-დავითიშვილი სამართალდამცველებმა შაბათს ღამითვე დააკავეს. დაკავებული იტალიის მოქალაქეა, საქართველოში 4 თვის წინ ჩამოვიდა და სამხედრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტია.

**“დაკავებისას იგი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა,** - აცხადებს ხაინდრავა, - **ამბობს, რომ არაფერი ახსოვს - არც ის, ვისთან ერთად იყო ღამით ქუჩაში და არც ის, რას აკეთებდა. მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს გარკვეული მტკიცებულებები, მაგალითად, მიქანაძის პიჯაკი, რომელიც ეჭვმიტანილს აღმოვუჩინეთ და სისხლის ლაქები მაისურზე. ვეჭვობთ, რომ ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის სისხლის კვალია, თუმცა ამას, ცხადია, ექსპერტიზა დაადასტურებს, ან უარყოფს”.**

მიქანაძე თავადაც წვეულებიდან ბრუნდებოდა და სავარაუდოდ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი კი აცხადებს, რომ **“გამოძიება ამასაც გაარკვევს”.**

ჯერჯერობით კი, სისხლის სამართლის საქმე ძარცვის მუხლით აღიძრა და გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის პოლიცია ატარებს. პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება, მიმართავს თუ არა სასამართლოს იტალიის მოქალაქისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით.

*24 საათი*

# ჟურნალისტებზე ძალადობა ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იქცა

პირველი გვერდიდან

როგორც ჩანს, ჟურნალისტების მიმართ ძალადობა სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ნაწილად არის ჩაფიქრებული და ჯგუშიას მიერ გაწეული სამსახური გუშინ “რუსთავი 2”-ის ოპერატორის ცემასა და მისთვის გადაღებული კასეტის დამტვრევაში გამოიხატა. ამგვარი საქციელის გასასამართლებლად თენგიზ ჯგუშიასთვის სრულიად საკმარისია თქვას: **“ღამით დამირეკეს და მითხრეს, რომ “კმარას” აქტივისტები ჩემს საარჩევნო პლაკატებს თავიანთ სტიკერებს აკრავენ. როდესაც ქალაქში გავედი, ვნახე, რომ “რუსთავი-2”-ის გადამღები ჯგუფიც იმავე საქმიანობით იყო დაკავებული”.**

თუ ეს არგუმენტია საიმისოდ, რომ საკუთარი, ავტომატებით შეიარაღებული მომხრეები ჟურნალისტებზე “მიუშვა”, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ თენგიზ ჯგუშიამ თავი იმართლა და ხელმძღვანელობის წინაშეც პირნათლად წარსდგა. “კმარას” აქტივისტებს ხომ მხოლოდ მისი პლაკატებისთვის არ მიუკრავთ სტიკერი, შინაარსით: “თქვენ ხართ სენი, დაგვეხსენით”. იმავე წარწერებით მათ ავთანდილ ჯორბენაძის მანქანაც შეამკეს.

ქუჩაში გაკრულ პლაკატებზე სტიკერების მიკვრა თუ დანაშაულია, ცხადია, ის სამართალდამცველებმა უნდა აღკვეთონ და არა დეპუტატობის კანდიდატის შეიარაღებულმა მომხრეებმა, თუმცა, “რუსთავი-2”-ის ადგილობრივი კორესპონდენტი და მისი ოპერატორი ირწმუნებიან, რომ ისინი ღამით საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და “კმარას” ზუგდიდელი აქტივისტების პროტესტს აღბეჭდავდნენ ფირზე.

და ბოლოს, კიდევ ერთი დეტალი: გუშინ ზუგდიდის ცხიმკომბინატის შენობაში, სამეგრელოში მის წარსადგენად ჩასული სახელმწიფო მინისტრის, თბილისის მერის, მთავრობის სხვა მაღალი წარმომადგენლებისა და დარბაზში მსხდომი მოსახლეობის წინაშე (რომლებიც, სხვათა შორის, სახელისუფლებო კანდიდატის წარდგენაზე ავტობუსებით მიიყვანეს) თენგიზ ჯგუშია “კმარას” სავიზიტო ჟესტით – მარჯვენა მუშტალმართული გავიდა.

*24 საათი*

# ადამიანის გატაცება და წამება აჭარაში დაუსჯელი რჩება

*“ხომ იცი, რომ აჭარასთან უძლურები ვართ. შემოთავაზებული თანხა უნდა გამოგერთმია, ხომ ხედავ ჯიბეში კაპიკი არ გიდევს”? – მითხრა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, როდესაც დახმარებისთვის მივმართე”, - აცხადებს ციური კაიკაციშვილი, რომელიც, როგორც ამბობს, ბათუმიდან საკუთარ გერებს, ასლან აბაშიძის მეუღლის ბიძაშვილებს გამოექცა. “სამართლის საძებნელად მისულს, გენერალური პროკურორი რომ ამას გეტყვის, ამის შემდეგ ვისი იმედი უნდა მქონდეს ან ვის მივმართო”, - ამბობს ციური კაიკაციშვილი.*

თამარ კაციტაძე

**“ჩემს მეუღლეს კერძო ბიზნესი ჰქონდა და შეძლებულად ვცხოვრობდით. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბათუმში სამოთახიანი ბინა, ავტომობილი “ჯიპი” და სხვა ქონება დამიტოვა. გერები დიდი ხნის განმავლობაში მაძალებდნენ - შვილი არ გყავს და ბინა ჩვენ დაგვიმტკიცეო, რაზეც უარს ვეუბნებოდი. ამის გამო ხშირად მავიწროვებდნენ კიდეც”,** - იხსენებს ციური კაიკაციშვილი.

მისი თქმით, გერები - ედვარდ, მალხაზ, ზვიად და მირიმან ბლადაძეები, მეუღლის - რეზო ბლადაძის (მაგული გოგიტიძის ბიძის) გარდაცვალების შემდეგ დაუპირისპირდნენ.

მეტიც, დაზარალებულის თქმით, მეუღლის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე იგი ერთ-ერთმა გერმა მალხაზ ბლადაძემ საკუთარი მანქანით გაიტაცა.

**“მალხაზის გარდა, მანქანაში იჯდა მეორე გერი – ზვიადი, კუკური ინაიშვილი და ერთი უცხო პიროვნება. გამტაცებლებმა ხელებზე ბორკილები დამადეს, პირი “სკოჩით” ამიკრეს, თვალებზე შავი ნაჭერი ამაფარეს და როგორც მოგვიანებით გავაცნობიერე, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს ტყეში წამიყვენეს. იქ დაახლოებით შვიდი, ავტომატით შეიარაღებული კაცი დაგვხვდა, მათ შორის - ჯემალ ვერულიძე, რომელსაც მოახსენეს - “ტავარი მოგიყვანეთო”,** - გვიამბო კაიკაციშვილმა.

ჩვენი რესპოდენტის მონათხრობით, მას ტყეში ორი დღის განმავლობაში სცემდნენ და ნოტარიული წესით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიღებული მემკვიდრეობის - ბინის, მანქანის გადაფორმებას და ფულს და ძვირფასეულობას სთხოვდნენ. შემდეგ კი იგი სოფელ-სოფელ ქობულეთში ვინმე როსტომ ჯაფარიძის ოჯახში გადაუყვანიათ, სადაც, მისი თქმით, ცხელი უთოთი აწამებდნენ.

**“გერები და მათი დამქაშები თავში იარაღს მირტყამდნენ და მოკვლით მემუქრებოდნენ. რომ მიხვდნენ, წამებას ველარ გავუძლებდი, ქობულეთში ნოტარიუს მაია კახიძესთან მიმიყვანეს და ბინა და მანქანა გადამაფორმებინეს. ვიფიქრე, ეხლა მაინც გამათავისუფლებდნენ, მაგრამ ისევ ხელბორკილები დამადეს”,** - ამბობს კაიკაციშვილი. მისი თქმით, წამება ამის შემდეგაც გაგრძელდა. გამტაცებლები ამჯერად ფულს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. დაზარალებულის ნაამბობის თანახმად, ამ გზით გერებმა ხელში ჩაიგდეს 3500 დოლარი, ოქროულობა და ძვირფასი ტანსაცმელიც, რომელსაც ციური კაიკაციშვილი თავის მამიდაშვილთან ინახავდა, მაგრამ წამება არც ამით დასრულებულა. შვილები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მამამ მეორე ცოლს უფრო მეტი ფული დაუტოვა...

ვიდრე ციალა კაიკაციშვილი დატყვევებული იყო, მისი თქმით, ბლადაძეებმა ძალადობით გადაფორმებული ბინა და “ჯიპი” სასწრაფოდ გაყიდეს, ხოლო ავეჯი და სხვა ნივთები თავად გადაინაწილეს.

**“გატაცების მეცხრე დღეს ჩემი ქმრის ქალიშვილმა - მირიმანმა მეორე სართულზე ამიყვანა და მითხრა: დღეს გაგათავისუფლებთ, მაგრამ მანამდე პიანინოზე დაუკარი, თორემ შენი გატაცების შესახებ მაგული გოგიტიძემ გაიგო და ვიდეოკასეტა უნდა მივუტანოთ, რომ დარწმუნდეს, არაფერი გჭირსო. როგორ დავუკრავდი, მიღებული დამწვრობისგან დაჯდომა არ შემეძლო. გერები გაბრაზდნენ და ისევ სარდაფში ჩამაგდეს, საიდანაც მეცამეტე დღეს გავიპარე. სამი დღე მშობლების სახლში სხვენში ვიმალებოდი”,** - იხსენებს დაზარალებული.

ციალა კაიკაციშვილის თქმით, მან ახლობლების დახმარებით თბილისში ჩამოსვლა მოახერხა და პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს შეხვდა.

**“ციური კაიკაციშვილის სხეული რომ ვნახე, გავოცდი. ასეთი წამების ფაქტი არც ციხეში მინახავს და არც პოლიციაში. იგი მაშინვე მაია ნიკოლეიშვილთან გავგზავნე და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩავატარებინე. რამდენიმე დღეში ბათუმში წავედი და ექსპერტიზის დასკვნა და ფოტოსურათები ასლან აბაშიძეს გადავეცი. სიმართლე გითხრათ, აბაშიძემ სურათებს რომ დახედა, შეცბა. დამპირდა, ყველაფერს შესაბამის ორგანოებში გადავგზავნი, რეაგირებას აუცილებლად მოვახდენ და შედეგს შეგატყობინებთო. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ აჭარიდან ამ საქმის გამო არავინ დამკავშირებია”,** – გვითხრა ელენე თევდორაძემ.

აღნიშნულ საქმეზე აჭარის მეთაურს იმჟამინდელი სახალხო დამცველი - ნანა დევდარიანიც დაუკავშირდა, მაგრამ რეალური შედეგი არც ამას მოჰყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ, ციური კაიკაციშვილის თქმით, იგი ბათუმიდან გაიტაცეს, საქმე მომხდარიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქობულეთის პროკურატურაში სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლით აღიძრა (არადა, დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში ციური კაიკაციშვილის სხეულის დაზიანებები ოთხ გვერდზეა ჩამოთვლილი).

**“მართალია, გამოძიებას პირდაპირ დავუსახელე გამტაცებლების გვარები და სახელები, მაგრამ საქმე მაინც მსუბუქი მუხლით აღძრეს. თან საქმის მასალებში აღნიშნავენ, რომ დაზიანება დაუდგენელმა პირებმა მომაყენეს. ჩემს საქმეზე ქობულეთის პროკურატურას არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია. იმასაც კი ვერ ბედავენ, რომ დასახელებული პირები მოწმის სახით მაინც დაკითხონ”,** - ამბობს დაზარალებული.

იმის გამო, რომ კაიკაციშვილს აჭარაში ჩასვლით საფრთხე ემუქრება, გენერალურმა პროკურორმა მას ორჯერ საკუთარი წარმომადგენელი – თამაზ მებონია და არჯევან ლომიძე გააყოლა. მაგრამ შედეგი არც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის რეგიონში ჩასვლას მოჰყოლია.

**“გენპროკურატურის წარმომადგენლებმა აჭარის პროკურატურაში მიმიყვანეს. აჭარის და ქობულეთის პროკურორებს საქმე არც უხსენებიათ, პირდაპირ ფულზე დამიწყეს ლაპარაკი. 15 ათას დოლარს მოგცემენ და მორჩი ჩივილსო. ისეთი შეგრძნება მქონდა, პროკურატურაში კი არა, სავაჭრო ცენტრში ვიყავი,”** – გვიყვება კაიკაციშვილი.

მისი თქმით, გენერალური პროკურორის კაბინეტშიც ანალოგიური დიალოგი შედგა. **“რადგან ჩემი გამტაცებლები ასლან აბაშიძის ოჯახის ახლობლები არიან, ამიტომ ყველა გაჩუმებას და იმ თანხის გამორთმევას მირჩევს, რომელსაც დამნაშავეები მთავაზობენ. საქმის ობიექტურად გამოძიების იმედს კი არავინ მაძლევს. ამის გამო ჩემს სამშობლოში ხიზნად ვიქეცი და დაუცველი დავრჩი იმ ხალხისგან, რომლებიც ყოველ დღე მოკვლით მემუქრებიან. ვის მივმართო, საკუთარი სიმართლე რომ დავამტკიცო, არ ვიცი”,** – ამბობს ციური კაიკაციშვილი.

# რუსი ოფიცერი სასურველის რეალურად წარმოჩენას ცდილობს

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია “ძმები მუსულმანების” შეიხების საბჭო იჩკერიის იდეოლოგებისა და პროპაგანდისტების საინფორმაციო მხარდაჭერისათვის ყოველთვიურად 500-700 ათას დოლარს გამოყოფს. ჩრდილო კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის ილია შაბალკინის თქმით, ასეთ დასკვნას იგი არაბეთის ქვეყნებში მოღვაწე წამყვანი ევროპული საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტების მიერ ჩატარებულ გამოძიებებზე დაყრდნობით აკეთებს, ოღონდ ისე, რომ ამ სააგენტოებს არ აკონკრეტებს. მანვე აღნიშნა, რომ შეიხების ჩანაფიქრის თანახმად, ეს თანხები უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ინტერნეტ-საიტების უზრუნველყოფაზე, ამ საიტებზე განთავსებული პუბლიკაციების ავტორთა ჰონორარებზე უნდა დაიხარჯოს. თუმცა კი, შაბალკინის თქმით, ამ თანხების ძირითადი ნაწილი იმ საბანკო ანგარიშებზე რჩება, რომლებიც მოვლადი უდუგოვის ხალხზეა გაფორმებული, ამ დროს კი პუბლიკაციების ავტორებს უმნიშვნელო ჰონორარს უხდიან. შაბალკინისვე თქმით, ამავე დროს, შეიარაღებული დაჯგუფებები, შევსების თვალსაზრისით, დიდ სირთულეებს განიცდიან. შესაძლოა, ეს განცხადება შაბალკინის მხრიდან უფრო სასურველის რეალურად წარმოჩენის მცდელობაა, მაგრამ თავად შაბალკინი ამგვარი ინფორმაციის წყაროდ დაღესტნის რამდენიმე მაცხოვრებელს ასახელებს. მისი თქმით, ეს ხალხი სოლიდური ანაზღაურების მიღების იმედით, მებრძოლთა ერთ-ერთ სამთო ბაზაზე შეიკრიბა, მაგრამ უმეტესობამ იქურობა ორ კვირაში დატოვა, რადგან სასტიკ მოპყრობას ვერ გაუძლეს და ამასთანავე მიხვდნენ, რომ დანაპირებ ანაზღაურებას ვერ მიიღებენ.

შაბალკინის თქმით, ამჟამად სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები ამ ხალხთან საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ. **“არც ერთ მათგანს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, რადგანაც დანაშაული არ ჩაუდენიათ და დროულად დატოვეს ბანაკი”**, - აცხადებს შაბალკინი.

# მკაცრი სასჯელი - ბიბლიოთეკაში სიარული

თურქეთის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის კოლეგების მიერ 15 წლის ხულიგნისთვის გამოტანილი განაჩენი. ქალაქ კადინხარის მცხოვრები ბიჭი, რომლის ვინაობას საინფორმაციო სააგენტოები არ ასახელებენ, სამი წლის წინათ თავის მეგობარზე თავდასხმისთვის გაასამართლეს. მან თანატოლი დანით ხელში დაჭრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მცირეწლოვანის ციხეში მოთავსება ისევე მიზანშეუწონელია, როგორც მისი სასჯელის გარეშე დატოვება და მას ალტერნატიული, მაგრამ მკაცრი სასჯელი - არც მეტი არც ნაკლები, კვირაში სამჯერ ბიბლიოთეკაში სიარული მიუსაჯა. ამიერიდან მას ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს წიგნებში ცხვირის ჩაყოფა მოუწევს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილებას დამნაშავის მამა გამოთქვამს. ის ამბობს, რომ მისი ვაჟი მკაცრი წესების დაცვას ფიზიკურად ვერ შეძლებს. საკუთარ მოსაზრებას მამა წიგნებისადმი შვილის გულგრილი დამოკიდებულებით კი არ ხსნის, არამედ ამბობს, რომ მათ ქალაქში ორშაბათობით ბიბლიოთეკები დაკეტილია.

# ადვოკატობა სახიფათო პროფესიაა

## ცნობილი ადვოკატის მკვლელობის მოტივად მისი სამსახურებრივი მოღვაწეობა სახელდება

გუშინწინ ღამით ნოვოსიბირსკში მოკლეს ცნობილი ადვოკატი ალექსანდრე პროზორნოვი. მკვლელობა იმ სახლის სადარბაზოში მოხდა, სადაც 55 წლის ადვოკატი ცხოვრობდა. დაუდგენელი ბოროტმოქმედი სამსახურიდან გვიან ღამით დაბრუნებულ მსხვერპლს სადარბაზოში ჩასაფრებული ელოდა. ნოვოსიბირსკის საოლქო პროკურატურის მონაცემებით, მკვლელმა პროზორნოვს სამჯერ ესროლა, მათ შორის, ერთხელ საკონტროლო – თავში. ეს ფაქტი გამოძიებას საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო, მით უმეტეს, რომ ბოროტმოქმედს მოკლულის დოკუმენტებისა და ძვირფასი ნივთებისთვის ხელი არ უხლია. სამართალდამცველი ორგანოები მკვლელობას ადვოკატის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირებენ. ამჟამად მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული.

მოკლულის ოჯახის წევრების თქმით, პროზორნოვს არავინ ემუქრებოდა და ის არ ჰგავდა ადამიანს, რომელმაც იცის, რომ საფრთხე ემუქრება.

პროკურატურა გამოძიებას, ოპერატიულ მუშაობასთან ერთად, იმით დაიწყებს, რომ შეისწავლის იმ საქმეებს, რომლებზეც ბოლო ხანებში ადვოკატი მუშაობდა. ამის გამო უკვე დალუქულია პროზორნოვის კაბინეტი. გამოძიება მიიჩნევს, რომ ადვოკატის საკონტაქტო წრის სიდიდე, კლიენტთა სიმრავლე და პროფესიული კავშირების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად გაართულებს ძიებას.

ნოვოსიბირსკის პროკურატურაში აცხადებენ, რომ პროზორნოვი თითქმის ყველა გახმაურებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობდა და მსხვილი მეწარმეებისა და ბიზნესმენების ინტერესებს იცავდა. ის იყო ყველა იმ სასამართლო პროცესის მონაწილე, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა. კერძოდ, ის იცავდა ვინმე ვლასოვს, რომელსაც სახელმწიფო ტელერადიო კომპანია “ნოვოსიბირსკის” თავმჯდომარე იაკობ ლონდონზე თავდასხმის მზადება ბრალდებოდა. გარდა ამისა, ალექსანდრე პროზორნოვი იყო ვინმე ზოია აქსიუტინას ადვოკატი, რომელსაც ნოვოსიბირსკის შოკოლადის ფაბრიკის დირექტორის ვერა კოპასოვას მკვლელობის შეკვეთის ბრალდებით ასამართლებდნენ.

მიუხედავად არაერთი ხმაურიანი პროცესისა, ბოლო ხანებში ალექსანდრე პროზორნოვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ მაინც ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე ტიხონოვის დაცვას მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, ტიხონოვს კემეროვოს მხარის გუბერნატორ ამან ტულიევზე თავდასხმის მზადება ბრალდება და ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებს აფარებს თავს.

*24 საათი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61

# "არსებობს კი მთლიანი საქართველო, წარმოვადგენთ კი მართლა ერთს?"

მარინე სხირტლაძე
საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დაძაბულობაც მატულობს. თითქმის მთელი ქვეყანა პოლიტიკურ ჯგუფებად და პარტიებად დანაწილდა. ეროვნული ენერგია ისევ ცალ-ცალკე იხარჯება... ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, ცნობილი ჟურნალისტი ქრისტეფორე რაჭველიშვილი ნაშრომში "საქართველოს საკითხისათვის", შენიშნავდა:

"საქართველოზე ლაპარაკობს არა თვით საქართველო, არამედ ცალ-ცალკე პოლიტიკური ჯგუფები: სოციალისტ-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვა... არსებობს კი მთლიანი საქართველო, წარმოვადგენთ კი მართლა ერთს? ხალხი ვართ თუ ჯერ შემთხვევითი ხროვა, რომელსაც არც წარსული ახსოვს, ვერც აწმყო შეუგნია და არც მომავლის წარმოდგენა აქვს.

მართლაც რა არის ერი? ტერიტორიას, ენას თავი რომ დავანებოთ, ერს საერთო ნებისყოფა ახასიათებს და წარსული ცხოვრების ცხოველი განცდა-მოგონება; და თუ ამ განწირულობის ჟამს საერთო ძახილი ვერ შევძელით და გზააბნეულია ქართველობა - არის რაიმე იმედი მოვიპოვოთ რამე, არის რაიმე სხივი მომავლისაკენ გზას რომ გვინათებდეს?..

შეიგნებენ კი, გაიგებენ კი, ვისაც დღემდე ვერ გაუგია, რომ ამჟამად პარტიის გარდა არსებობს ერიც, დიდ კაცობრიობასთან არის პატარა საქართველოც?" ( ვახტანგ გურგენიძის პირადი ფონდი, საქმე 1233).






**"გეოგრაფიულად და ეთნიურად საქართველო იყო ერთი, ინტელექტუალურად კი..."**

1918 წლის 22 ივნისს გაზეთი "ჩვენი ქვეყანა" საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და მათი მდგომარეობის შესახებ დამაფიქრებელ ინფორმაციას გვაწვდიდა:

"გეოგრაფიულად და ეთნიურად საქართველო იყო ერთი, ინტელექტუალურად კი ოთხი:

სოციალ-დემოკრატების,
სოციალ-ფედერალისტების,
სოციალ-რევოლუციონერების,
და ეროვნულ-დემოკრატების.

თითოეულ მათგანს საკუთარი ტერიტორია ჰქონდა:

რუსულ-ცენტრალისტური,
რუსულ-ფედერაციული,
რუსულ-ოლქობრივ-თემობრივი
და ქართულ სუვერენული.

საკუთარი ხალხი და ჯარი ჰყავდათ:

პროლეტარები,
ინტელიგენტები,
"მიმავალი ეშელონები"
და ქართველები.

... "დიდმა რევოლუციამ" გეოლოგიური კატასტროფა მოახდინა მათს ტერიტორიაზე:

"მთლიანი რუსეთი" პეტროგრადის თავრიდის სასახლეში მოკვდა,
ფედერაცია - სეიმში,
თემები და ოლქები "მიმავალმა ეშელონებმა" თან წაიღეს,
ნამდვილი საქართველო ისევ თავის ალაგას დარჩა.

"რევოლუციის გაღრმავებით" ხალხიც დაკარგეს:

პროლეტარები პეტროგრადის ქარხნებში დარჩა,
ინტელიგენტები ოცნებამ წაიღო,
"ეშელონები უკვე წავიდნენ,"
ქართველები ისევ საქართველოში არიან.

და ამ უკანასკნელთან არიან ეროვნულ-დემოკრატები.

დანარჩენის არსებობის ნიშნათ ჩვენს ისტორიაში იქნება მხოლოდ ნომრები:

№ 1,
№ 3,
და № 6.

15 ივნისის შემდეგ ეს ნომრებიც შეერთდნენ, უმიწა-წყლოდ და უხალხოდ ლტოლვილები შეჯგუფდნენ, შეჯგუფდებიან უთუოდ ნომრებიც, და მაშინ ვიხილავთ ნამდვილ საქართველოს, საქართველოს ერთსა და მთლიანს. მანამდე კი საქართველო კიდევ განიცდიდეს იქნებ ორმაგ ტანჯვას: სოციალისტურსა და არასოციალისტურს. ხანგრძლივი იქნება ეს ტანჯვა, რადგან სოციალისტების უიღბლობაა, მარად ეძებონ და ვერასოდეს ნახონ, მარად ვიდოდნენ და ვერასოდეს მივიდენ.

ქართველი სოციალისტებიც დღეს იმიტომ ეძებენ სამშობლოს, რომ ხვალ ისევ დაკარგონ. ესაა მათი თანდაყოლილი ხვედრი.

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ სამშობლოს თუ ისინი ვერ ნახულობენ, სამშობლო მონახავს მათ, და ეს სოციალისტური უიღბლობა განშორდება საქართველოს საზღვრებს ისე, როგორც გაგვშორდა რუსეთი და რუსის ეშელონები".

**"დეე, ახლა ისტორიკოსებმა იმტვრიონ თავი და არკვიონ არქივის მტვერში ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი"**

"1918 წლის 26 მაისს, ნასადილევს, 4 საათზე და 10 წუთზე გამოცხადდა დამოუკიდებლობა. იშვა ახალი საქართველო... გაერთიანებული ტერიტორიულად, გაერთიანებული სოციალურად, გაერთიანებული ეროვნულად".

ამ ფაქტთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გრიგოლ ურატაძე წიგნში "ნამდვილი და ყალბი ისტორია" (გამოცემული პარიზში 1958 წ.) წერდა: - "თუ წინეთ დიდი დავა და შეხლა-შემოხლა იყო პარტიათა შორის, 26 მაისის შემდეგ დავა გადაეცა ისტორიის არქივს. დეე, ახლა ისტორიკოსებმა იმტვრიონ თავი და არკვიონ არქივის მტვერში, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი?"

გრ. ურატაძისვე ცნობით, "1918 წლის სექტემბერში ე.ი. დამოუკიდებლობის მიღებიდან 3 თვის შემდეგ "ეროვნულ-დემოკრატების პარტიიდან და მისი ფრაქციიდან გავიდა ექვსი წევრი და დააარსა საბჭოში ცალკე ფრაქცია "დამოუკიდებელი ეროვნული" ფრაქციის სახელწოდებით".

სამი თვის მეტი ვერ გაძლეს თავის საკუთარ პარტიაში და რა გასაკვირია თუ ასეთი პირები სხვა ჯგუფებისადმი მტრობას და გაუტანლობას იჩენდნენო, შენიშნავს ავტორი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი გიორგი გვაზავა, წერილში "საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", ახალ ფრაქციას ასეთ შეფასებას აძლევდა:

"პარიზში დაარსდა ახალი ჯგუფი... გამოვიდა მისი ბეჭდვითი ორგანოც "სამშობლო", ჯგუფი ებრძვის მთლიან ფრონტს და ამტკიცებს, რომ ქართველ სოციალისტებთან თანამშრომლობა შეუძლებელია, ... ეს ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" ეძახის, არც ეროვნულია და არც დემოკრატიული. არ არის ეროვნული, რადგან ... შეაქვს განხეთქილება ქართველობაში. არ არის დემოკრატიული, რადგანაც "დემოსი" იმას მხოლოდ თავის თავი ჰგონია და არა ერი, ... ამისთანა "პარტია" ჩვენთვის ახალია, იმას არც წარსული აქვს და მომავალიც არ ექნება".

ამ ჯგუფის გაზეთი "სამშობლო" წერს: "მენშევიკებმა ერი კი არ გამოაცხადეს სახელმწიფოდ, არამედ პარტიაო.

თუ ეს პოეტური სტილია, სჯობია ავტორმა ამისთანა სტილი თავისთვის შეინახოს და გარეთ არ გამოაჩინოს, თუ ეს სერიოზული სიტყვაა, ის ეწინააღმდეგება ფაქტს, ... თუ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული პარტია და არა ერი, მაშინ სახელმწიფოც არ ყოფილა, და თუ სახელმწიფო არ იყო, მაშინ რაღა უნდა ვუსაყვედუროთ რუსეთს?! სად არის მაშინ მისი საერთაშორისო დანაშაული?! სად არის შელახვა საქართველოს სუვერენულ უფლებათა?!"

ასე გამოექომაგა მაშინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მეთაური მენშევიკებს, თუმცა თავადაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა მენშევიკებთან და მათი მთავრობის მეთაურთან ნოე ჟორდანიასთან.

## "საიმდროვო" კუპლეტები" ნოე ჟორდანიასა და გიორგი გვაზავას საპარლამენტო ურთიერთობიდან

1919 წელს ნოე ჟორდანიასა და გიორგი გვაზავას საპარლამენტო ურთიერთობას თავისებურად ასახავს გაზეთი "ახირებული" შალვა შარაშიძის (თაგუნა) ლექსით - "პეპელა":

"დეპუტატმა გვაზავამ ... სახელი დამავიწყდა...
გიორგი თუ ილია...
ჟორდანიას უყვირა პარლამენტის სხდომაზე:
"შენ სცრუობ, ტყუილია!"
ტრიბუნაზე აიჭრა და მიმართა ნოესა
"მე შენ ცილი დამწამე!
პარლამენტმა გაგვსაჯოს: თუ ოქმი გამამტყუნებს...
თუ ფაქტებმა გამცა მე,
პატიოსან სიტყვას ვდებ: პოლიტიკურ ასპარეზს
ხელს ავიღებ სრულიად,
ოღონდ აგრევ მოიქცეს ნოეც, თუ არ გამართლდეს
მისი სიტყვა მტრულია!"
ეს თქვა და ჩამოფრინდა უზრუნველი პეპელა
ჟორჟ დე-პარი გვაზავა,
რომელმაც ოსმალეთთან სტამბოლში და ბათუმში
ჩვენ ტკბილათ გაგვაზავა...
არჩევანზე რომ მიდგეს ორში ერთის დათმობა:
გვაზავას თუ ნოესი,
ისევ ნოე გადადგეს - უფრო კარგი იქნება
და უსარწმუნოესი.
ჟორდანიას ბადალი სხვაც ბევრი იშოვება,
ხოლო ჟორჟის ჭკუისა,
თუ სხვა დაგისახელოს კიდევ ვინმემ მოღვაწე,
მიჰქარავს და სტყუისა.
ასე ვსჯიდით ჩვენ, მაგრამ გაამტყუნა გვაზავა
და დატუქსა ნოემ ის.
რა ჰქნას ახლა? ბერანჟეს თარგმნა იწყოს მეგრულათ
ლექსების და პოემის,
და პირობის თანახმად პოლიტიკას გაშორდეს
მწარე ცრემლით ნამული,
პირად პატიოსნებას ერის ბედი ანაცვლოს, საქართველო
მამული?!
არასოდეს!.. და ისევ პარლამენტში დასკუპდა ფრთა-ფარფატა
პეპელა
...
ყველგან უწინდებურად დანავარდობს, დაფრინავს:
სასახლეში, გარეც კი,
მხოლოდ ერთი კარია, სადაც ვეღარ შებრძანდა
ეს ჩვენი "ზაგარეცკი"..."

**"კმარა! აკმარეთ სამშობლოს ტანჯვა..."**

"ჩვენისთანა უცნაური ხალხი - მეორე არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ, - წერდა ვახტანგ გარრიკი (თეატრალური მოღვაწე და კრიტიკოსი ვახტანგ ვაჩნაძე) გაზეთ "სახალხო ფურცელში" 1917 წელს, - გასაკვირველია ჩვენი საქმე! რაღა ჩვენ უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს? რაღა ჩვენში დაიბადნენ ულირსი კოსმოპოლიტები?..

ყველგან შეერთებული მძლავრი ხმა გაისმის... და მხოლოდ ერთი ქართველი ერი ჩამორჩა, მხოლოდ ერთ ქართველ ერში ჩამოვარდა განხეთქილება, მხოლოდ ერთ ქართველ ერს არ უნდა თავის მიწა-წყალს თვითონვე მოუაროს...

ასე იყო უწინ და, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ასეა დღესაც. კმარა! აკმარეთ სამშობლოს ტანჯვა,.. ნუღა გააკრავთ ჯვარზედა!"

რეცეპტი მშვიდი ცხოვრებისათვის




გლობალიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ინსტიტუტი
მიმართვა
პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიას, მათ, ვისაც მომავალზე ზრუნავს

ჩვენი ტელეფონი: 99 01 89 ელ. ფოსტა: info@newglobalization.com ვებ გვერდი: newglobalization.coms

ნოდარ ლადარია

10 ოქტომბრის "24 საათმა" გვამცნო, რომ ვიღაც ჰოლანდიელმა მიიღო ალტერნატიული ნობელის პრემია იმისთვის, რომ აღმოაჩინა და აღწერა ჰომოსექსუალური ნეკროფილიის მოვლენა იხვებში. სამწუხაროდ, ჩემს აღმოჩენას სულ სხვა ბედი უწერია - ალბათ, მეორედაც შეუმჩნეველი დარჩება, თუმცა კი მემარცხენე რადიკალური ნეკროფილიის შემთხვევა ქართველ ჟურნალისტთა შორის არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, გაზეთის ერთგული მკითხველი უკვე ხვდება ჩემი აზრების მიმართულებას: 9 ოქტომბერს **ანა კორძაია-სამადაშვილმა** უკვე ვინ იცის მერამდენედ დაასველა ცრემლებით საგაზეთო გვერდი კუბელი ექსტრემისტის, **ჩე გევარას** სიკვდილის გამო. ეს უკანასკნელი მშვიდობიანად აღსრულა რევოლუციონერთა პროფესიული დაავადებით — დახვრეტით. გეთანხმებით, საკმაო საბაბია იმისათვის, რომ მსუბუქად ირონიული სტრიქონები ვუძღვნათ კომანდანტე ჩეს პორტრეტით მკერდდამშვენებულ გოგო-ბიჭებს, მაგრამ რა შეფასება უნდა მივცეთ იმ გარემოებას, რომ XXI საუკუნის საქართველოში, რომლის საუკეთესო შვილები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ხალხს თავს აწონებენ ფიდელ კასტროს საძულველი მტრისადმი სიყვარულით ("ძია სემ, მიგვიღე რა, ნატო-ში!"), ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გაზეთში ყოველგვარი ირონიის გარეშე იბეჭდება კუბელი ფოტოგრაფის, დიას კორდას შემდეგი სიტყვები: "**მე მშვენიერ ქვეყანაში ვცხოვრობ, რომელშიც მშვენიერი რევოლუცია მოხდა. მისი წყალობით, აღარც მშიერი ბავშვები არსებობენ, აღარც უქმოდ დარჩენილი ავადმყოფები და აღარც წერაკითხვის უცოდინარნი**".

ვიყოთ ლმობიერნი საკუთარი ერის მიმართ: ხომ შეიძლება საარჩევნო ციებ-ცხელებით გაბეზრებულმა და დაბნეულმა საშუალო ქართველმა იფიქროს, თითქოს **დავით გამყრელიძისა** და **პანტელეიმონ გიორგაძის** პროგრამები არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თავის დროზე, მახსოვს ბევრი ვეჩიჩინე ანა კორძაია-სამადაშვილს, ბიბლიური სიბრძნეც გავახსენე — ცოცხალი ძაღლი რომ ჯობია მკვდარ ლომს, — მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერი გავაწყე. შენ მაინც მიუტევებ, მკითხველო, ვიცი, გულჩვილი და გულმოწყალე ხარ, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართველი ხარ და არაფრად მიგაჩნია პოლიტიკურ დისკურსთა ფაქიზი ხვეულები, თანაც საუკუნოვანი გამოცდილება და ტრადიცია გკარნახობს, როგორ უნდა წაუყრუო დედაკაცის ახირებას...

ახირებული დედაკაცები კი, იცოცხლე, ბევრი გვყოლია. აი, კიდევ ერთი მათგანი: არ დაიშალა ლამაზმა შავი პიარის ფრიალი. ადვილი მისახვედრია, ვისაც ვგულისხმობ.

გასული კვირის განმავლობაში ოთხჯერ (ორჯერ მარშრუტკაში, ერთხელ ერთი პატივცემული დაწესებულების დერეფანში და ერთხელაც ისნის ბაზრობაზე) ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანებისაგან გავიგონე ერთი შეკითხვა, რომელსაც ჩვენი ხალხისთვის ჩვეული უშუალო და ამავე დროს მეტაფორული ფორმით უცვლელად გადმოვიტან გაზეთის ფურცელზე: "ნეტა, რა ადგილით ჰყავს დაჭერილი ედიკას სარიშვილი?!". მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ხალხი ბრძენია!

აქ კი ნამდვილად კმაყოფილი დავრჩი ჩვენი გაზეთით. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ადვილ ცდუნებებს სძლევ და იმის მაგიერ, რომ ხმაური და ვაი-ვიში ატეხო (ასე მოუვიდა ჩვენს ელექტრონულ მედიას), გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში მოკრძალებული ზომისა და მწკლარტე შინაარსის სათაურს ათავსებ: *ფანტაზიის უტყუარი დეფიციტი* (**სოფო ბუკია**, 9 ოქტომბერი). საქმე კი რას ეხება? — ირინა სარიშვილს განუცხადებია 8 ოქტომბერს პრესკონფერენციაზე: "**უტყუარ ინფორმაციას ვფლობ იმის შესახებ, რომ მოსკოვში ყოფნისას საქართველოს მეორე პირი, ნინო ბურჯანაძე დანაშაულებრივ კონტაქტში შევიდა რუსეთის სპეცსამსახურებთან**". ზედსართავებიც რა გემოვნებითაა შერჩეული: ინფორმაცია უტყუარია, კონტაქტი კი დანაშაულებრივი. მართლაც რომ ორლესული სიტყვებია, გულამდეც აღწევს და ხაბურძანიას კაბინეტამდეც! ერთია საკვირველი, ეს დალოცვილი უშიშროების მინისტრი ამ რამდენიმე დღის განმავლობაში რატომ ვერ ამჩნევს, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს?

მაგრამ ვიყოთ თანმიმდევრულნი, თუმცა კი ინციდენტი ამას არ იმსახურებს.

მართლაც, ყველაზე აშკარად ამ ისტორიას ის ეტყობა, რომ გასახმაურებლადაა გამიზნული. დავანებოთ თავი იმ "უტყუარი ინფორმაციის" შინაარსს, სასირცხვილოდ და თავის მოსაჭრელად ისიც გვეყოფა, რომ ახალი საქართველოსათვის მებრძოლი **ირაკლი გოგავა**, სადაც კი ტელეკამერას დაინახავს, ყველგან გაზეთ "იზვესტიას" აფრიალებს: რუსები მხარს უჭერენ ბურჯანაძე-დემოკრატებს. ნეტა, ამ გაზეთსაც საქმეში ჩააკერებს ხაბურძანია? ესეც ხომ ფინანსთა მინისტრი არაა, ახლა რომ დაიწყოს თავისი საქმის სწავლა!

ჩვენ "უტყუარი ინფორმაციის" შინაარსი არ გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ მას მაინც არ უწერია გამოქვეყნება. ჩვენ არც ის გვაინტერესებს, რა დარჩა "საშპიონო" ამ ქვეყანაში, რომელიც უკვე კარგა ხანია თავის სახელზე გაიფორმა **ჩუბაისმა**. ტაქტი და სიდარბაისლე არც იმის გახსენების უფლებას მოგვცემს, რომ ამგვარი "უტყუარი ინფორმაცია" ირინა სარიშვილის ჩვეული იარაღია (ხან ათეულობით თუ ასეულობით ვიდეო-კასეტაზე ლაპარაკობს, ხანაც დიდი მეხსიერების კომპიუტერულ კარტაზე). ჩვენ სულ სხვა რამის გაგება გვწადია: ნუთუ არავის ადარდებს ასეთი ყბადაღებული გამოაშკარავება იმისა, რომ საქართველოში უშიშროების სამინისტრო მხოლოდ უსუსური ინსტრუმენტია საერთო ინტერესებით გაერთიანებული მცირერიცხოვანი ჯგუფის დასაცავად. ამ ვითარების სიცხადე თვალისმომჭრელია.

ამ შუქზე აუცილებლად ჩნდება ეჭვი, რომ ნავთობის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ თვალის ახვევაა. აი, რა კითხვა დაუსვა ვალერი ხაბურძანიას **ინგა ალავიძემ** (6 ოქტომბერი, *"საქართველოში კორუფცია გაიაფდა, სახელმწიფო მოხელეები შაურად იყიდებიან"*) : "**ბატონო ვალერი, თქვენი უწყების მიერ გაჩაღებული ანტიკორუფციული ბრძოლის დასასრული სერიოზული პრეზენტაციით აღინიშნა, თუმცა, თქვენ მაინც არ დააკონკრეტეთ ნავთობის კონტრაბანდისტთა ვინაობა...**". ასეთი კითხვის პასუხს კი არა, მის ბოლოსაც უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისედაც ადვილად მივხვდებით ყველაფერს.



# მომავალ ორშაბათამდე



ნურც ის გაგვიკვირდება, რატომ არ კითხულობს ქართველი ხალხი, რითა ჰყავს დაჭერილი ედიკას ხაბურძანია, — სარიშვილისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ხომ პასუხი გაცილებით უფრო ცალსახაა.

რაც შეეხება, ნახსენებ მცირერიცხოვან ჯგუფს, მისი წარმომადგენლების უნიჭობა უკვე იმითაა დადასტურებული, რომ საარჩევნო სიებით მანიპულირება გადაუწყვეტიათ და ამასაც საოცრად ულაზათოდ აკეთებენ: **გიორგი ასანიშვილმა** გვამცნო, რომ საარჩევნო სიაში შეყვანილი არაა არც ნინო ბურჯანაძე და არც მისი ოჯახის წევრები (9 ოქტომბერი, *საგანგებო საარჩევნო რეჟიმი*). საინტერესოა, რომ სახელისუფლებო ბლოკი ასე ადვილად ხსნის საშინელი "ფე-ეს-ბეს" საიდუმლოებებს, მაგრამ ამავე დროს ასეთი ანეგდოტური "პრაკოლები" მოსდის, როცა ის უნდა გააკეთოს, რაც კატასაც კი არ ეშლება: ხომ გინახავთ, რა ზუსტად მიაყრის ხოლმე ქვიშას უკანა თათებით.

აქ კი გასული კვირის საკვანძო პუბლიკაციასაც მივადექით. ვგულისხმობ **გოგა ოქროპირიძის** სტატიას *პიროსის აგონია* (5 ოქტომბერი). სტატია თავისი შინაარსით ანალიზური და მამხილებელია, რაც ჩვენს დღევანდელ პირობებში ერთი და იგივეა. აქ ერთი მარტივი და ნათელი აზრია გამოთქმული: "**საქართველო არც თუ ნელი ტემპებით არშემდგარი სახელმწიფოს ნიშნებს იძენს**". თუმცა, ეს სიმარტივე ხშირად მიუღწეველი სიმაღლეა ჩვენთვის, რადგან მის შესამეცნებლად და გასააზრებლად ისტორიული აზროვნებაა საჭირო, რასაც თითქმის სრულიად მოკლებულია ჩვენი ეროვნული მენტალობა. აი, იქვე, 5 ოქტომბრის ნომერშია მოცემული ამის ნათელი მაგალითი (*უძველესი ქალაქის 55 წლისთავი*): "**ბევრ ძირძველ რუსთაველს სწყინს, როცა ეუბნები, რომ ის საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქში ცხოვრობს. ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი უძველესიაო, ამბობენ**". ღირებულებათა ეროვნულ შკალაზე ახალი ძველთან შედარებით ყოველთვის უფრო დაბლა დგას. გოგა ოქროპირიძე კი თავის სტატიაში 1995-2003 წლებით შემოსაზღვრულ პერიოდს განიხილავს: ეს დროითი საზღვრები ყოველთვის ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება, რადგან ეს ყურადღება მთლიანად ეთმობა უკვე მითოლოგიზირებულ დავითსა და თამარს. ამავე დროს, არც უნარი გვყოფნის და არც სურვილი არა გვაქვს, დავინახოთ, რომ 1995 წლის დასაწყისსა და 1998 წლის დასასრულს შორის ნამდვილი უფსკრული გაჭიმულა — უფსკრული, რომლის "არდანახვა", თუ შევარდნაძის საყვარელ რიტორიკულ ფორმას გამოვიყენებთ, ნამდვილად, დაუშვებელია. ამ უფსკრულმა (მის გაჩენას ავტორმა სამართლიანად დაუკავშირა ფინანსთა მინისტრის, **დავით იაკობიძის** გადაყენება) ქართული წესრიგის დედად ნელ-ნელა აქცია კორუფცია.

აქ კი სტატიის ტექსტი ჩვენი სინამდვილის ერთი, მძიმე შედეგზე მიუთითებს. ვკითხულობთ: "**რაც უნდა პარადოქსული იყოს, დღევანდელი სახელისუფლო ვერტიკალის სიმტკიცეს კორუფცია განსაზღვრავს. მარცხენა შემოსავლების ფაქტობრივი ლეგალიზება ბუნებრივად იწვევს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების ინტერესების გაერთიანებას არსებული რეჟიმის შესანარჩუნებლად. ამდენად, დღეს შეუძლებელია, ხელისუფლება რეალურად ებრძოლოს კორუფციას, რადგან იგი მისი ცხოვრების წესია**". რამდენიმე კვირის წინ "24 საათში" გოგა ოქროპირიძე წერდა, რომ საქართველოში ვერ იქნა და ვერ ჩამოყალიბდა თითოეული სახელმწიფოს დასაყრდენი, ანონიმური და უპიროვნო ძალა, დაბალი და საშუალო რანგის პროფესიული ბიუროკრატია. მართალია. მაგრამ მოყვანილი ციტატის შუქზე ბიუროკრატიის ეს ჩამოუყალიბებლობა სიკეთედ გვევლინება. განვაგრძოთ კითხვა: "**კორუფციის მასშტაბების შემცირების ერთადერთი გზა სხვადასხვა სფეროში რეფორმების კომპლექსური ჩატარებაა**". გასაგებია, რომ რეფორმების კომპლექსური ჩატარება შეუძლებელია პროფესიონალთა არმიის გარეშე. ეს არმია არ არსებობს და კიდევ კარგი რომ არ არსებობს, რადგან შექმნილ ვითარებაში მისი ცხოვრების წესიც კორუფცია იქნებოდა და მაშინ თუნდაც დემოკრატიულად და პატიოსნად ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლების ნომინალური შეცვლა რეალურად ვერაფერს გვიშველიდა.

ჩვენი სახელმწიფოს "არშემდგარობა" დღევანდელ პირობებში ლამის ისტორიულ საჩუქრად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ცარიელ ადგილას ახლის აშენება თეორიულად მაინც შესაძლებელია. მთავარია, არჩევნების შედეგად მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ (ეჰ, ესეც ხომ ილუზიაა!) საბოლოოდ უარი თქვას იმ შეხედულებაზე, თითქოს ის რაღაც გზას განაგრძობს. ეს ახალი ხელისუფლება ისეთივე დანგრეულ და საკუთარი გაუმართლებელი ამბიციების ბრმანაწლავში გაჭედილ საქართველოს მიიღებს მემკვიდრეობად, როგორიც შევარდნაძემ მიიღო 1991 წელს.

მაშინ საკუთარი "არშემდგარობის" შეგნება ტელევიზიის წინ დგომითა და, რაც მთავარია, დანგრეული რუსთაველის პროსპექტითა და თავისუფლების მოედნით იყო განმტკიცებული. დღეს? — ნუთუ აუცილებლად გვჭირდება თვალსაჩინოება? ნუთუ თავისუფლების მოედნის ირგვლივ აშენებული მაღალი სახლები საბოლოოდ დაფარავს ჩვენი პოლიტიკური რეალობის ჰორიზონტს და ვერასოდეს მივხვდებით, რომ შევარდნაძის რეჟიმი კი არა, შევარდნაძის საქართველოა გადასაგდები. როგორც არ უნდა გვძულდეს არსებული ხელისუფლება, როგორი დაბალი არ უნდა იყოს მისი რეიტინგი ამომრჩეველთა შორის, წინასაარჩევნო ბრძოლის ქარ-ცეცხლში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ასეთი საქართველო არსებობს და ის მოსასპობია. სადღაც, გულის სიღრმეში, ენის მუდმივი და ცნობიერებისათვის უხილავი ქმნადობის დონეზე თვით ხელისუფლებაც გრძნობს ამ დამდგარ და სასიცოცხლო საჭიროებას, მაგრამ სწორედ ამ საჭიროების უკან ცდილობს დამალვას და საკუთარ განწირულ მცდელობას სწორედ ამ საჭიროების სახელს არქმევს: "ახალი საქართველოსთვის".

უნდა გვეყოს უნარი, დავინახოთ, რომ ამ არა მარტო სანუკვარ, არამედ აწ უკვე სასიცოცხლო მოწოდებას ულირსი ხელი დაეპატრონა. სიტყვების ჟღერადობამ არ უნდა დაჩრდილოს სინამდვილის სავალალო სანახაობა.

სამწუხაროდ, ჩვენში ძალიან ხშირად სწორედ ასე ხდება. დასამტკიცებლად კი მე ჩვენი ეროვნული თამაშის წესები უნდა დავარღვიო და ორი ცოცხალი ადამიანის გამონათქვამი შევადარო ერთმანეთს...

"24 საათის" B-ბლოკი უკვე დიდი ხანია, რაც აქვეყნებს რუბრიკას "კითხვარი". ჩვენი კულტურის მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო წარმომადგენლებს უსვამენ სამ ერთსა და იმავე კითხვას. დღეს ორი ასეთი "კითხვარი" მინდა განვიხილო. მით უმეტეს, რომ რესპონდენტები ექსპერიმენტის საწყის პირობებს სავსებით აკმაყოფილებენ, რადგან მათი მდგომარეობა ქართული სოციუმის წიაღში დაახლოებით ერთნაირია: **რეზო თაბუკაშვილი** (რევაზ თაბუკაშვილის შვილიშვილი) და **ლაშა ბაქრაძე** (აკაკი ბაქრაძის ვაჟი). ჩემი ერთგვარი თავხედობა იმითაა გამოწვეული, რომ რაც სხვისთვის მხოლოდ ანაგრაფიული მონაცემია, ქართველისთვის მნიშვნელოვან ცდუნებას წარმოადგენს. ცოტა ხანში დავინახავთ, რომ მიუხედავად თითქმის იდენტური საწყისი პირობებისა, ეს ორი რესპონდენტი სულ სხვადასხვა შედეგს იძლევა. არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის მხოლოდ პირველ ორ კითხვას აქვს.

მაშ ასე, კითხვა პირველი: "*რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისათვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?*".

რეზო თაბუკაშვილი: "**საზოგადოება და ადამიანი ერთმანეთთან გადაბმულია, თუმცა რაიმეს შექმნა საზოგადოების კარნახით არ უნდა ხდებოდეს... როცა ხელოვანი რაიმეს შექმნას ცდილობს, ის აუცილებლად ჯაჭვურ რეაქციაში იმყოფება იმ გარემოსთან, რომელშიც მას უწევს ყოფნა**". ნუ მივაქცევთ ყურადღებას გამოთქმული აზრების ბანალობას, ნურც იმას, რომ ტერმინი "ჯაჭვური რეაქცია" უმართებულოდაა გამოყენებული (იგი ორ რეაგენტს შორის კავშირს კი არ გულისხმობს, არამედ პროცესში მონაწილე ობიექტების რიცხვის გეომეტრიული პროგრესიით ზრდას). ეს ყველაფერი არაა ახლა არსებითი. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ რესპონდენტი იმწამსვე, ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე აიგივებს კულტურასა და ხელოვნებას, ხელოვნებასა და პრივილეგირებულ სოციალურ სტატუსს, პრივილეგირებულ სოციალურ სტატუსსა და საკუთარ თავს: კულტურის აქტივობის პირობა ისაა, რომ საზოგადოება არ უნდა კარნახობდეს ხელოვანს, ესე იგი, არ უნდა მკარნახობდეს მე.

ლაშა ბაქრაძე: "**ქუჩაში გასვლაა მხოლოდ საჭირო იმისთვის, რომ კულტურამ გამოწვევა მიიღოს. არა, შინიდან გამოუსვლელადაც შეიძლება — თუ სინათლე გაქვთ, ჩართეთ ტელევიზორი — განა ტელევიზია არ არის კულტურის გამოწვევა? თუ არა და უსინათლობაც გამოწვევაა. თქვენ ტერმინ კულტურას ვიწრო და მხოლოდ პოზიტიური გაგებით ხმარობთ**". როგორც ვხედავთ, ეს რესპონდენტი არ ეპუება სიტყვების ხიბლსა და საკუთარი წარმოშობის ცდუნებას. მის პასუხში არაა ადგილი მისი პიროვნებისთვის, სამაგიეროდ, ყველა ჩვენგანი ხედავს საკუთარ ადგილს და აშკარა ხდება ჩვენი საერთო უკულტურობა: საბერძნეთში, მაგალითად, შეიძლება მოსახლეობა გამოვიდეს ქუჩაში საბიუჯეტო პრობლემების გამო, რადგანაც ამ მართლმადიდებელ ქვეყანაში ჯერ არ დაუკარგავთ იმის შეგნება, თუ რა არის არსებითი. ჩვენში იგივე რეაქცია მხოლოდ ვატიკანის დელეგაციამ შეიძლება გამოიწვიოს, რადგან სიმართლის მადიდებლობამ სიმართლე დაჩრდილა. და კიდევ ვიტყვი: ერთ-ერთი ქართული ბანკის რეკლამა იმით გვიზიდავს, რომ ყოველი მეორასე მეანაბრე საჩუქრად მიიღებს გენერატორს. ამ კულტურულ ფენომენში მე უკიდურეს სოციალურ სასოწარკვეთილებასა და უუნარობას ვხედავ. ამგვარი რეკლამა მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც უშუქობა მარადიულ ფენომენადაა შერაცხული, ხოლო საზოგადოებრივი შეგნების დონეს ნულს ქვემოთ დაიწია.

ახლა კი მეორე შეკითხვა: "*შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე?*".

ამჯერად ლაშა ბაქრაძით დაივიწყოთ: "**სინამდვილეში, თუ განვაზოგადებთ, არაფერი შეცვლილა. დიდი გარდატეხა, რომელიც ასე სასურველი იქნებოდა, არ მომხდარა. რაღაც-რაღაც უმნიშვნელო მოვლენებს, მოდით, ნუ გავიხსენებთ. ნეტა, სხვები რას იხსენებენ? გამონაკლისები ამინდს ვერ ქმნიან... მე ყველაფერ ამას შეიძლება ზედმეტად კრიტიკულად ვუყურებ, მაგრამ კარგი გული ხომ მაშინვე ცნობს — "ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია"**. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ეს პასუხი ერთ შეკითხვასაც შეიცავს: ნეტა, სხვები რას იხსენებენო. აბა, ვნახოთ:

რეზო თაბუკაშვილი: "**რასაკვირველია, შეიცვალა. აქაც იგივეა — განყენებულად ხელოვნება არ არსებობს. ერთ რიტმში, ერთი ხახუნის ძალით ტრიალებს ხელოვანიც და ისიც, ვინც მის გარშემო ცხოვრობს. ბოლო ათწლეული საკმაოდ დატვირთული იყო მოვლენებით. მათი ცვლილებების სისწრაფე ერთიათად გაიზარდა, რაც ხელოვნებასაც დაეტყო. ის ცოცხალი ორგანიზმია. ხშირად ხელოვნება ერთი ნაბიჯით უსწრებს დროს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ესეც ნაშრომის დამოუკიდებელი ენერგიის დამსახურება უფრო უნდა იყოს, ვიდრე შორსმჭვრეტელობით გაპრანჭული ავტორისა. კულტურა ხანდახან ცდილობს, გაასწროს დროს და ამით დაეხმაროს ხალხს არჩევანის გაკეთებაში. ვფიქრობ, თანამედროვე ქართული კულტურა მისთვის ორგანულ რიტმს ინარჩუნებს**".

ესეც ასე — რას იხსენებს რეზო თაბუკაშვილი, რომლის პასუხი მთლიანად მოვიყვანე? რას და არაფერს, დიდი-დიდი საკუთარ თავს. დანარჩენი უბრალოდ ზოგადი საუბარია, ანუ, უფრო დახვეწილად რომ ვთქვათ, "რიჟა ბაზარია" ქართული კულტურის მოუხელთებელი ცნების გარშემო. ძალიან ჰგავს ფრაგმენტს საშუალო სკოლის ნიჭიერი მოსწავლის თავისუფალი თემიდან. ერთადერთი, რაც ყურადღებას იპყრობს, "შორსმჭვრეტელობით გაპრანჭული ავტორი" და ამ ავტორსა და ხალხს შორის მოქმედი "ხახუნის ძალაა" — ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი?

როგორც ვხედავთ, ამ ორი ფორმალურად ერთნაირი საწყისი პირობების მქონე ადამიანის პასუხები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მამა-პაპათა დატოვებული და ჩვენს ხელთ მყოფი ჩვეული კრიტერიუმები უკვე აღარაა საკმარისი სინამდვილის შესაფასებლად? რომ აუცილებლად უნდა გავერკვეთ სიტყვების ვერაგ ბუნებაში? უეჭველია, თორემ ამ ორ ადამიანს შორის განსხვავება კი არა, ახლა უკვე ჩვენი სანუკვარი სამშობლოს ბედი სწორედ რომ ბეწვზე ჰკიდია.

# პოპ-კორნი და "პრომეთე"

სალომე კიკალეიშვილი

კინოფესტივალი "პრომეთე", რომელიც ოთხი დღის მანძილზე მასმედიისა თუ ტელეარხების მთავარი სამიზნე გახლდათ, უდავოდ, სექტემბერ-ოქტომბრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ორ კინოთეატრში: "ამირანსა" და კინოს სახლში, ერთდროულად, ძალზედ საინტერესო პროგრამა იყო წარმოდგენილი, არჩევანის გასაკეთებლად, მშვენივრად გაფორმებულ ბუკლეტში ერთიმეორეს მიყოლებით დიდ რგოლებში ვათავსებდი ჩემთვის საინტერესო ფილმებს. ამჯერად ფესტივალს სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია - "ბოროტი" რუსი მებაჟეების გამო, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფილმი ვერ ვნახეთ, და ჩემ საგულდაგულოდ შემოხაზული



ჟიური გამარჯვებულ დიტო ცინცაძესთან ერთად

რგოლებს გვერდზე პატარა ასოებით "არ ჩამოვიდა" მიემატა. ფესტივალის გამარჯვებული - დიტო ცინცაძის ფილმი, რომლის ფირიც დაგვიანებით ჩამოვიდა, პროგრამაში აღნიშნულ დღეს კინოს სახლში ვიდეოზე აჩვენეს. ხოლო "ამირანში" საგანგებოდ გამოპრანჭულ საზოგადოებას, ცინცაძის მაგივრად, ანდრეი კონჩალოვსკის "სულელთა სახლი" დახვდა. მოკლედ, ამგვარი პერიპეტიები ფესტივალს ნამდვილად არ აკლდა.

საბოლოო ჯამში, ფესტივალი, რომელმაც ზოგი კმაყოფილი, ზოგიც უკმაყოფილო დატოვა, ასეა თუ ისე, შედგა. კინოკინოფესტივალზე კინომცოდნეს ქალბატონ მარინა კერესელიძეს გავესაუბრე:

**- ფესტივალთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსულმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, - დიდი იმედი მაქვს ჩემი კოლეგების, რომლებიც ფესტივალს ნამდვილი ზეიმის სახეს მისცემენო. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლდა მისი სიტყვები და, საერთოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფესტივალს ჩვენი კინემატოგრაფიისათვის?**

- ის, რომ ფესტივალი უკვე მეოთხედ, "ჩავარდნის" გარეშე ჩატარდა, მის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს, რაც ფესტივალის ორგანიზატორების და მხარდამჭერების დიდი დამსახურებაა. ხუთი დღის მანძილზე, 50-ზე მეტი მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის საშუალებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის კულტურებთან ზიარების შესაძლებლობა, უდავოდ, დიდი საჩუქარია. რაც შეეხება მის მნიშვნელობას, საერთაშორისო ფესტივალი მასპინძელი ქვეყნის კინემატოგრაფის მხარდაჭერისა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი გამოყვანის ერთ-ერთი საშუალებაა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კინოსთვის, რომელიც დღევანდელ ვითარებაში ყოველგვარი კონტაქტებიდან ამოვარდა. ფესტივალის ამოცანაა, შექმნას გარკვეული კულტურული ველი, საიდანაც რაღაც ახალი უნდა დაიბადოს.

**- რით განსხვავდებოდა წლევანდელი "პრომეთე" წინამორბედისგან?**

- უკეთეს პოლიგრაფიულ დონეზე მომზადდა ფესტივალის კატალოგი და პროგრამა. სხვა მხრივ, ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს, ფესტივალი "დაიღალა". წინა ფესტივალის საკონკურსო პროგრამაც და პანორამაც გაცილებით მრავალფეროვანი იყო - ტარდებოდა საინტერესო შეხვედრები უცხოელ კინემატოგრაფისტებთან; დამწყები პროფესიონალებისათვის მეტად საჭირო სემინარები უცხოელი პროდიუსერების მონაწილეობით. წლევანდელი პროგრამა კი მხოლოდ ფილმების ჩვენებით შემოიფარგლა. რა თქმა უნდა, მისი მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მისიაა პროფესიონალთა შეხვედრების, ინტელექტუალური და ადამიანური ურთიერთობებისათვის კონსტრუქციული გარემოს შექმნა. ფესტივალი უნდა იძლეოდეს ახალი შემოქმედებითი, კომერციული თუ საქმიანი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნით, ფესტივალზე უნდა ფუნქციონირებდეს პროფესიული კლუბი (როგორც სხვა ფესტივალებზე ხდება). გარდა ამისა, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ფესტივალს ახლდეს მისი ყოველდღიური მუშაობის ამსახველი პერიოდული გამოცემა (ფესტივალის ბიულეტენის ან სხვა სახით), რომელსაც პროფესიონალი კინომცოდნეები და ჟურნალისტები მოამზადებენ. ეს პროფესიულ სახეს შესძენდა ფესტივალის მუშაობას.

**- საკონკურსო ფილმებზე რას იტყოდით - რომელ ფილმს აღნიშნავდით პროგრამიდან?**

- რაც შეეხება კონკურსს, იგი ჩემთვის მეტად ულიმღამო იყო. ახალი სახელების "აღმოჩენაზე" ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საერთაშორისო ფესტივალებზე ვნებათა ღელვა, ჩვეულებრივ, საკონკურსო ფილმებს ახლავს, ჩვენთან კი მაყურებელთა ემოციები და აქტიურობა უფრო გახსნა-დახურვის ცერემონიალზე მოსაწვევების მოპოვებისკენ იყო მიმართული. გარდა ამისა, ერთგვარი მოლოდინის, "დეტექტიურობის" მომენტი საკონკურსო პროგრამასთან დაკავშირებით იმთავითვე დაიკარგა, როცა ცნობილი გახდა, რომ საკონკურსი პროგრამის გერმანულმა ფილმმა – დიტო ცინცაძის "გასროლის შიშმა" სან სებასტიანის ფესტივალის მთავარი პრიზი მოიპოვა. მას შემდეგ ეჭვი არავის შეპარვია, რომ თბილისის ფესტივალის ტრიუმფატორი სწორედ ეს ფილმი გახდებოდა. ეს, მართლაც, სასიხარულოა. დიტო ცინცაძემ შესანიშნავი ფილმი გადაიღო, რაც, მინდა მწამდეს, იმის მანიშნებელია, რომ ქართული კინოს შემოქმედებით პოტენციალს სათანადო სამუშაო პირობებში წარმატების შანსი აქვს. ხოლო, რაც შეეხება ფესტივალის პროგრამას, აღვნიშნავდი ლარი კლარკის "კენ პარკს", კიმ კი-დუკის "ცუდ ბიჭს", მოჰსენ მაჰმალბალფის "ყადაარს" და ბახტიარ ხუდოინაზაროვის "შიკს". გარდა ამისა, არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლობა არ ვუთხრა ფესტივალის ორგანიზატორებს მიხეილ კალატოზიშვილის "მე - კუბას" ჩვენებისათვის. ფესტივალის ყველაზე დიდი აღმოჩენა, ალბათ, ეს ფილმი იყო.

**- და ბოლოს, რას უსურვებდით "პრომეთეს"?**

- ძალის მოკრებას, პროფესიული დონის ამაღლებას, საკუთარი სახის, საკუთარი ფილმების კორპუსის ჩამოყალიბებას - ანუ პროგრამის ისეთი კულტურული ღირებულებების მქონე ფილმებით დაკომპლექტებას, რომლებიც, მათი არა კომერციულობის გამო, ვერასოდეს მოხვდებიან ჩვენს გაქირავებაში.

**P.S.** ვისურვებდი, რომ მომავალში ფესტივალი უფრო მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, და არა მარტო ლამაზი ბუკლეტებით, არამედ უფრო კარგი ფილმებით დაკომპლექტებული, რომელსაც "ბოროტი" მებაჟეები ვერაფერს დააკლებენ. ხოლო, დარბაზში ისეთი პუბლიკა შეკრებილიყოს, რომელიც კინოფესტივალის გახსნასა თუ დახურვას პოპ-კორნის ღეჭვით არ შეხვდება.



ოთარ იოსელიანი

# "ოდა სიხარულისთვის" - იუბილარი ორკესტრისაგან

## "შემოდგომის თბილისის" დახურვა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის იუბილე ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიით აღინიშნა

მადი სერებრიაკოვა

"შემოდგომის თბილისი" უკვე საკმარისი მიზეზია ზეიმისთვის. თბილისის საკმაოდ ულიმღამო ფილარმონიულ ცხოვრებას დროებით მაინც ახალისებს შესანიშნავი ქართველი თუ გასტროლიორი მუსიკოსების კონცერტები. წლევანდელი ფესტივალი კიდევ ერთი თარიღის გამო გახდა უფრო მნიშვნელოვანი: ფესტივალის მასპინძელი თბილისის სიმფონიური ორკესტრი წელს 10 წლის გახდა. იუბილე ორკესტრმა "შემოდგომის თბილისის" დამაგვირგვინებელი ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის შესრულებით აღნიშნა. ორკესტრს პარტნიორობა ამჯერად აჭარის სახელმწიფო კაპელამ და სოლისტებმა: თემურ გუგუშვილმა, გია ასათიანმა, ირმა ბერძენიშვილმა და ქეთევან ქემოკლიძემ გაუწიეს.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი 10 წლის წინათ ცნობილმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ დააარსა. ორკესტრმა მაესტროს სიცოცხლეშივე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო მასშტაბით; გასტროლები გამართა საფრანგეთში, შვეიცარიაში, თურქეთში, გერმანიაში, ლუქსემბურგში. ორკესტრი მასპინძლობდა ისეთ გამოჩენილ დირიჟორებსა და სოლისტებს, როგორებიც არიან - გენადი როჟდესტვენსკი, ოდისეი დიმიტრიადი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, გიდონ კრემერი, ნატალია გუტმანი, ელისო ვირსალაძე, იან გარბარეკი, ალექსანდრე კორსანტია, ლადო ათანელი, ნუგზარ გამგებელი, ბადრი მაისურაძე, ზურაბ სოტკილავა, ედუარდ ბრუნერი და სხვები. ორკესტრს ჩაწერილი აქვს 150-ზე მეტი ნაწარმოები, რომელთაგან ზოგიერთი გამოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი რეკორდ-კომპანიების მიერ, როგორიცაა Sony Classical.

სახელოვანი მამის გარდაცვალების შემდეგ თბილისის სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორი და კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე ხელმძღვანელობს. მისივე თაოსნობით იმართება ფესტივალი "შემოდგომის თბილისი", რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს იუბილარი ორკესტრი. გასულ წელს, როდესაც ფესტივალს 10 წელი შეუსრულდა, არაერთხელ აღინიშნა ორკესტრის წინსვლა. წელს უკვე საკუთარი იუბილეს აღსანიშნად ორკესტრი კიდევ უფრო მობილიზებული და დახვეწილი წარუდგა მსმენელს. თბილისის სიმფონიური ორკესტრის წარმატებები განსაკუთრებით თვალშისაცემი და დასაფასებელია იმ ფონზე, როდესაც, ფაქტობრივად, სავალალო მდგომარეობაში არიან ისედაც თითზე ჩამოსათვლელი სხვა თბილისური საორკესტრო კოლექტივები. **"ორკესტრი შესანიშნავად მუშაობს,** – აღნიშნა წლევანდელი ფესტივალის უმნიშვნელოვანესმა სტუმარმა, ცნობილმა დირიჟორმა გენადი როჟდესტვენსკიმ, – **იგი მზად არის, გადაჭრას ყველაზე რთული მხატვრული პრობლემები".** ორკესტრით კმაყოფილება გამოთქვეს წელს ჩამოსულმა სხვა მუსიკოსებმაც: **"მადლობა ორკესტრს,** – აღნიშნა პიანისტმა გიორგი ვაჩნაძემ, **- ძალიან მაღალი დონე აქვთ და ჩვენ შორის საოცარი ურთიერთშეთანხმება შედგა".**

გუშინდელი იუბილე ორკესტრმა განსაკუთრებული პროგრამითაც აღნიშნა. ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია, რომელიც თავის დროზე კომპოზიტორმა სიმფონიური ორკესტრის ფარგლებშიც ვერ მოათავსა და გუნდითა და სოლისტების ანსამბლით შეავსო, იშვიათი და, ამასთან, ძვირი სიამოვნებაა. სპეციალურად ამ კონცერტისთვის ბათუმიდან 120 მუსიკოსისგან შემდგარი აჭარის სახელმწიფო კაპელა ჩამოვიდა. აჭარის კაპელამ მე-9 სიმფონია თავდაპირველად 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა. თბილისელმა მსმენელმა კი კაპელა საერთაშორისო საოპერო ფესტივალ "ბრავოს" მსვლელობისას გაიცნო. გუშინ ორკესტრისა და დირიჟორის შესანიშნავ გამოსვლასთან ერთად კონცერტის წარმატება, ბევრწილად, სწორედ კაპელამაც განაპირობა.

როგორც აღინიშნა, თბილისის სიმფონიური ორკესტრის იუბილეს ოპერის თეატრის სოლისტებიც შეუერთდნენ. განსხვავებული იყო სოლისტების ასაკობრივი თუ პროფესიული კატეგორია: უფროსი თაობიდან გია ასათიანი და თემურ გუგუშვილი წარდგნენ. გია ასათიანის შესახებ გამოჩენილი მომღერალი, ლა-სკალაში სტაჟირებისას მისი პედაგოგი, კარლო ბერგონცი აღნიშნავდა: **"გია ასათიანს ფენომენური ძალისა და ტემბრული შეფერილობის ხმა აქვს".** ტენორის პარტიას ოპერის თეატრის ამჟამინდელი მუსიკალური ხელმძღვანელი, ცნობილი მომღერალი, თეიმურაზ გუგუშვილი ასრულებდა.

მათთან ერთად მე-9 სიმფონიის ფინალი თეატრის ახალგაზრდა სოლისტმა ირმა ბერძენიშვილმა და კონსერვატორიის სტუდენტმა, ოპერის თეატრის სტაჟიორმა ქეთევან ქემოკლიძემ შეასრულეს. ირმა ბერძენიშვილი "შემოდგომის თბილისის" შარშანდელი სტუმარიც იყო. ლადო ათანელთან ერთად მან, ფაქტობრივად, "მაკბეტის" პრემიერა შეასრულა (საკონცერტო შესრულებით). დღეს ლედი მაკბეტის სახე საოპერო თეატრშიც ირმა ბერძენიშვილთან ასოცირდება. ქეთევან ქემოკლიძე წელს ორჯერ გამოვიდა ფესტივალზე. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ განსაკუთრებული მუსიკალური ალღოსა და ანსამბლის დახვეწილი შეგრძნების მქონე მომღერალმა ფესტივალის ერთ-ერთ პირველ კონცერტზე პერგოლეზის Stabat mater მიშელინა ქობალიანთან, მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდთან და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა.

საბოლოო ჯამში, ორკესტრის იუბილე, მართლაც, ღირსეულად ჩატარდა. პომპეზურობა და ბრწყინვალება სწორედ ის ეპითეტებია, რომლითაც სიმფონიურ ცენტრში გამართული კონცერტი შეიძლება აღიწეროს. იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში ეს სრულიად მისაღები და ბუნებრივიც იყო. გუშინდელი კონცერტით კი დედაქალაქში კიდევ ერთხელ დასრულდა "შემოდგომის თბილისი". ორკესტრსა და ფესტივალთან დროებით გამოსამშვიდობებლად კი გამოდგება გია ყანჩელის სიტყვები, რომელიც კომპოზიტორმა ჯერ კიდევ ფესტივალის გახსნისას წარმოთქვა: **"ფესტივალი ძალიან კარგია, მაგრამ ვუსურვებ ორკესტრსაც და ქართველ მსმენელსაც, რომ თბილისი კვლავ ტრადიციულ ფილარმონიულ ცხოვრებას დაუბრუნდეს, როცა ასეთი კონცერტები მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა და არა - მხოლოდ ფესტივალის დროს."**



ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" დასრულდა

# "მინდა, მუსიკა იუმორთან დავაკავშირო"

## ბობ სინკლერის ფრანგული ჰაუსის თავისებურებანი

*ფრანგი დი-ჯეი ბობ სინკლერი არ მოელოდა, მოსკოვში გამართული მისი საღამო ასეთი წარმატებული თუ იქნებოდა, მაგრამ იმას, რაც თბილისში დახვდა, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა. ფრანგული ჰაუსის მამამთავარმა თბილისში თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმია აღმოაჩინა. "აჭარა მიუზიკ ჰოლმა" თბილისელ კლუბერებს დაუვიწყარი საჩუქარი შესთავაზა.*

ვერა ნეფარიძე

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" ბობ სინკლერის დაგეგმილმა კონცერტმა თავიდანვე განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია საკლუბო მუსიკის მოყვარულებს შორის. ასეთი მოლოდინი ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ ფრანგი დი-ჯეის პოპულარობას. მაგრამ, ეს პროექტი კიდევ ერთი ფაქტორის გამოც იყო მნიშვნელოვანი - ამჯერად თბილისური კლუბი კიდევ ერთხელ შეეცადა, აქტუალური მუსიკის ეპიცენტრში მოხვედრილიყო და ისეთი შემსრულებელი მოეწვია, რომელიც პოპულარობის ზენიტშია. ამ შემთხვევაში ბობ სინკლერზე შეჩერებულმა არჩევანმა გაამართლა – გუშინწინდელ საღამოზე კლუბი გადაჭედილი იყო. ალბათ, სწორად დაგეგმილმა მენეჯმენტმაც თავისი როლი შეასრულა – ბილეთის ღირებულება 30 და 35 ლარი, სასურველი მუსიკის მოსასმენად სრულიად რეალური აღმოჩნდა თბილისელი ახალგაზრდობისთვის.

თავად ფრანგი დი-ჯეი ასეთ ინტერესს არ მოელოდა. ბობ სინკლერი თავისი ტურნეებით აუთვისებელ აღმოსავლეთში ერთგვარი "დაზვერვის" მისიით ჩამოვიდა (დი-ჯეის თან ახლდა ტურნეს მენეჯერი). თბილისამდე სინკლერის საღამო მოსკოვის "ცეპელინ" კლუბში გაიმართა. "როდესაც კლუბში ჩემი ორი ჰიტი - Kiss My Eyes-სა და Beat Goes On გაისმა, მთელი დარბაზი ამღერდა", - სიამოვნებით იხსენებდა ფრანგი სტუმარი თბილისური კონცერტის დაწყებამდე და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე საათში ზუსტად იგივე "აჭარა მიუზიკ ჰოლში" განმეორდებოდა. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა, "მიუზიკ ჰოლის" პოპულარულ სტუმარს ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა. ფრანგი დი-ჯეი, სპილერისგან განსხვავებით (რომელმაც კატეგორიული უარი თქვა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე), ამ მხრივ დაუზარელი აღმოჩნდა და ყველა შეკითხვას ხალისით, ზომიერი იუმორით პასუხობდა.

საერთოდ, კრისტოფერ ლოფრიაი, იგივე ბობ სინკლერი (მისი სასცენო ფსევდონიმი) იუმორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. "მინდა, მუსიკა იუმორთან დავაკავშირო", - გვითხრა კრისტოფერმა საკუთარ შემოქმედებაზე საუბრისას. მისი სასცენო ფსევდონიმიც, რომელიც კოლექტიური იმიჯის (ასოცირდება პორნო-ვარსკვლავთან, სუპერ ჯაშუშთან და დისკოს მოცეკვავესთან) შესაქმნელად დაირქვა, ხომ იუმორითაა შერჩეული. შეკითხვაზე, - ხომ არ გადაიღებს ჰოლივუდის ვარსკვლავებს საკუთარ კლიპებში, - მუსიკოსმა გვიპასუხა: "არა, რატომ, მეტს რაღას უნდა მივაღწიო?" როგორც ცნობილია, ბობ სინკლერის ვიდეოკლიპმა სიმღერაზე Kiss My Eyes სწორედ იმითაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება, რომ მასში ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან-კლოდ ვან დამი უჩვეულო ამპლუაშია - ტანგოს მოცეკვავეს განასახიერებს. "ჩემი აზრით, ამ კლიპში ძალიან მნიშვნელოვანია იდეა; რაც შეეხება ვან დამს, მგონი, ძალიან კარგი მსახიობია", - თქვა სინკლერმა აღნიშნული ვიდეოკლიპის შესახებ.

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" სინკლერმა ჩვენთვის ცნობილი ჰიტები საღამოს მეორე ნაწილში შემოგვთავაზა, თუმცა აუდიტორიის აქტიურობა მანამდე დაიწყო - თბილისელი "კლუბერები" დი-ჯეის სცენაზე გამოჩენისთანავე აჰყვნენ. თავად სინკლერმა კი ამ კონცერტით დაამტკიცა, რომ მას ისეთივე წარმატებით შეუძლია დი-ჯეის პულტთან მუშაობა, როგორც თანამედროვე საცეკვაო ჰიტების შექმნა. "აჭარა მიუზიკ ჰოლისა" და საკლუბო მუსიკის ერთგულებს კი ამ საღამოს შემდეგ შეუძლიათ განიტვირთონ და მორიგი ევროპელი ვარსკვლავის დასახვედრად მოემზადონ (უფრო ფინანსური თვალსაზრისით). ოთხ ნოემბერს კლუბში იტალიელი შემსრულებლის In Grid-ის კონცერტია დაგეგმილი - ოდნავ მოგვიანებით მასზეც ვისაუბრებთ.



# ველური დასავლეთის ქართველი მხედრები

*წიგნის "ველური დასავლეთის ქართველები" თანაავტორი ირაკლი მახარაძე რამდენიმე ხნის წინ ამერიკიდან დაბრუნდა. მან ჩამოიტანა "ველური დასავლეთის" შოუში მონაწილე გურული მოჯირითეების ახალი გვარები, მათი დღემდე უცნობი ფოტოები, შოუს დროს გაკეთებული ჩანახატების ასევე უცნობი ასლები, საგაზეთო მასალები... ერთი სიტყვით, კიდევ უფრო შეივსო და დაიხვეწა საქართველო-ამერიკის პირველი ურთიერთობის ამსახველი ისტორია, რომელზეც "24 საათი" ადრეც ბევრჯერ წერდა. ამ ახალი აღმოჩენის შესახებ კი ადგილობრივი ამერიკული პრესა იტყობინებოდა: "ფარდა აეხადა 111 წლის საიდუმლოს"...*
*ირაკლი მახარაძე საკუთარი თვალით ნანახი ველური დასავლეთის შესახებ გვიამბობს.*

თამარ ბაბუაძე

## ქართველი ველურ დასავლეთში

ამერიკელები, ანუ თავისიანები – ქავბოის ჩექმით, ჯინსითა და აშშ-ს მოქალაქეობით – უილიამ ქოუდის, იგივე "ბაფალო ბილის" მიერ დაარსებულ პატარა ქალაქ ქოუდიში გარლოუს გრანტით, როგორც წესი, ასეთები ჩადიან ხოლმე (გრანტი ბაფალო ბილის სიძის, ფრედ გარლოუს სახელობისაა).

ისინი იძიებენ ველური დასავლეთის ისტორიას, ერთმანეთზე აკოწიწებენ წარსულს და იმაღლებენ ეროვნული სიამაყის ხარისხს; თან, რა თქმა უნდა, არც გულუხვად შემოთავაზებულ ლუდზე ამბობენ უარს.

წელს კი ქოუდიში სრულიად უცნაური კაცი ჩავიდა. მართალია, ისიც ჯინსითა და ველური დასავლეთისადმი ინტერესით სავსე, მაგრამ ჩავიდა არა ამერიკის, არამედ შორეული ჯორჯიიდან, რომელსაც ამერიკისგან ჯერ ოკეანე და მერე მთელი ევროპა ჰყოფს. ამიტომაც, ირაკლი მახარაძე უმალ იქცა მთელი ქალაქის დროებით ღირსშესანიშნაობად.

"ჩემი მონაცემები რამდენიმე მუზეუმში დავაგზავნე. როგორც ჩანს, **"ბაფალო ბილის ისტორიულ ცენტრში" ძალიან გაუკვირდათ, ველური დასავლეთის ისტორიის კვლევით მე, არაამერიკელი რომ ვიყავი დაინტერესებული. გრანტის საორგანიზაციო საბჭო გამარჯვებულებს, როგორც წესი, არ ხვდება ხოლმე. მე კი ყველა შემხვდა, იმდენად დიდი იყო გაოცება. ჩემი წიგნიც მათთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. საქართველოს შესახებ არაფერი იცოდნენ და, მით უმეტეს, არც გურული მხედრების შესახებ – მათ ისინი კვლავაც რუსი კაზაკები ეგონათ",** - იხსენებს ირაკლი მახარაძე.

"ქართველების შესახებ არაფერი იციან", - ეს ფრაზა, შესაძლოა, ზოგს ეხამუშოს. მაგრამ გასაკვირი და შეურაცხმყოფელი აქ არაფერია. სხვების კულტურის არცოდნა ხომ სუპერ-სახელმწიფოს რიგითი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი თვისებაა – მათი ქვეყანა იმხელაა, რომ ხშირად გარესამყაროს შეცნობას ვეღარ ასწრებენ;

მით უმეტეს, ეძნელებათ ამერიკელებს საქართველოს დამახსოვრება, რომელიც სახელს დროდადრო თუ ითქვამს ხოლმე: გლობალურ დონეზე ეს ხდება CNN-ზე გადაცემული პოლიტიკური ცემა-ტყეპით (ბოლნისის ამბებმა მახარაძეს ქოუდიში მოუსწრო), კერძო ურთიერთობების დონეზე კი – ქვეყანაში ტურისტული ვიზით შეპარული არალეგალური ემიგრანტების სიმრავლით.

სწორედ ამ გეოპოლიტიკურ ფონზე გაარკვიეს ქოუდის მაცხოვრებლებმა, რომ, თურმე, ბაფალო ბილის მუზეუმში დაცული უნაგირი, ხმალი, სურათები რუსეთის მეფის არმიის კაზაკებს კი არა, ქართველ მხედრებს ეკუთვნით და მაშინვე გადაწყვიტეს, რომ ყველა ექსპონატსა და პლაკატზე შეცვალონ წარწერები – "რუსი კაზაკები", "იდუმალი აკრობატები", "ბობოქარი ცხენოსნები რუსული სტეპებიდან"; ანუ, ისტორიულ ფაქტებს ნამდვილი სახელი დაარქვან.

მახარაძის ქოუდიში ვიზიტის დროსვე ქალაქის მერიის შენობაში ლანჩხუთისა (აქედან იყო ქართველი მხედრების უმრავლესობა) და ქოუდის დაძმობილების ცერემონიალიც გაიმართა.

დოკუმენტი სიმბოლურად ძველი თარიღით – 4 ივლისით გააფორმეს და ის აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს დაამთხვიეს. საქართველოს ელჩმა ლევან მიქელაძემ ქოუდიში ღვინო და ოფიციალური წერილი გააგზავნა. მისი და ჩემი ძველი ნაცნობის, უილიამ მაკქოლის დახმარების გარეშე არაფერი გამოვიდოდაო, აცხადებს მახარაძე.

და მართლაც უილიამ მაკქოლი მთელი ამ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. მისი მამა ბაფალო ბილის მუზეუმის არქიტექტორი იყო. კაზაკი მოჯირითეების ქართული წარმომავლობის შესახებ მაკქოლმა წლების წინ გაიგო, დაუკავშირდა მახარაძეს და დღეს მას "საქართველოში ბაფალო ბილის საკითხების ყველაზე დიდ მცოდნეს" უწოდებს.

ცერემონიალის დასრულების შემდეგ გაიმართა საზეიმო სუფრაც, რომელზეც ისედაც ჭეშმარიტმა ქავბოებმა – ქოუდელებმა კიდევ ერთი ვაჟკაცური წესი – ღვინის ვახტანგურად სმა ისწავლეს. ასე გახდა ირაკლი მახარაძე ქოუდელებისთვის 111 წლის წინ დამარხული საიდუმლოს მხიარულად გახსნის მიზეზი.

## ქოუდი-ლანჩხუთი

უკვე მეორე დღეს ქოუდის გაზეთები საზოგადოებას ახალ ამბავს ამცნობდნენ და თან ქართველი ელჩის კომენტარს იმოწმებდნენ: **"ეს საქართველო-ამერიკის ურთიერთობის უძველესი პრეცედენტია".** იმეორებდნენ ირაკლი მახარაძის სიტყვასაც: **"მხედრები საქართველოდან, გურიიდან გახლდნენ – მათ ცხენოსნობა საგანგებოდ არსად უსწავლიათ, უბრალოდ ეს მათ სისხლში ჰქონდათ გამჯდარი. როგორც ჩანს, კაზაკები გურულებს შოუსადმი ყურადღების მიპყრობის მიზნით დაარქვეს. ორგანიზატორები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთის მეფის სამხედრო სამსახურში მყოფი პირების ნახვა შოუსადმი ცნობისმოყვარეობას გაზრდიდა".**

და მართლაც, როგორც ირაკლი მახარაძემ გვიამბო, 1892 წელს, უინძორში გამართულ შოუზე დასწრება დედოფალ ვიქტორიას სწორედ იმიტომ მოუნდომებია, რომ რუსი კაზაკების საკუთარი თვალით ხილვა სურდა. არადა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წინაშე თავბრუსდამხვევ ტრიუკებს ცხენზე გურული გლეხები ასრულებდნენ და არა მეფის არმიაში საგანგებოდ გაწვრთნილი ცხენოსნები...




ახალმა ამბავმა პატარა ქოუდიში ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ ირაკლი მახარაძის წიგნის პრეზენტაციაც მოაწყვეს. წინა დღეს ანონსი გაზეთებშიც დაბეჭდეს. ავტორი მაგიდასთან იჯდა, ავტოგრაფებს გასცემდა და თან მოთმინებითა და ვრცლად პასუხობდა ერთ სტანდარტულ ამერიკულ კითხვას: "სად არის ეგ ჯორჯია?"



რაც შეეხება ლანჩხუთს, უცნობია, იქაურებმა იციან თუ არა ჯერ ქოუდისთან დაძმობილების ამბავი. მახარაძე იქ ჩასვლასა და გაზეთის რედაქტორთან გასაუბრებას აპირებს – ყველას რომ მიაწვდინოს ხმა. ქოუდისთან მეგობრობა ხომ კულტურულ ღონისძიებებს, მხატვრების ნამუშევართა ამერიკაში ჩატანას, მოკლედ სერიოზულ კონტაქტებს გულისხმობს. მანამდე კი, სანამ ლანჩხუთელები დამეგობრების ამბავს გაიგებდნენ, ქართველები ქოუდიში "შორიდან" უყვართ.

## ქავბოური ადათები და ამერიკული "ჰაი თექი"

საერთოდ ვაიომინგი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ დასახლებული შტატია – სულ 480 ათასი მოსახლეით. თუმცა, "იელოუსთოუნის" ნაციონალური პარკისა და ველური დასავლეთის დროინდელი ისტორიული ადგილების გამო იქაურობას ტურისტები არ აკლია. ქოუდისაც, მიუხედავად იმისა, რომ სულ 10 ათასიანი ქალაქია, მუდამ ჰყავს დამთვალიერებელი, ხუთი მუზეუმისგან შემდგარ ბაფალო ბილის ცენტრს კი სეზონზე დღეში 3 ათასი სტუმარიც ჰყავს, - გვიამბობს ირაკლი მახარაძე, რომლისთვისაც ქოუდისა და "იელოსთოუნის" პარკის დათვალიერება, ალბათ, უკან – წარსულში მოგზაურობას უფრო ნიშნავს:

**"ქოუდში ვერ იგრძნობ, რომ საოცრად განვითარებულ ქვეყანაში იმყოფები. იქ ველური დასავლეთის სული დღემდეა შენარჩუნებული. ეს ისეთი ადგილია, სადაც ხელით შეგიძლია, შეეხო ისტორიას; იმ დროს, როდესაც ველურ დასავლეთში ბაფალო ბილი და მისი ამფსონები დაჯირითობდნენ. ქოუდიში შეგიძლია ნახო ის სახლი, სადაც ბუჩ ქესიდი და სანდენს ქიდი იმალებოდნენ, ის დუქანი, სადაც სვამდნენ; ბარი "ირმა" – რომელსაც ბაფალო ბილის ქალიშვილის სახელი ჰქვია, იქ დგას ძველისძველი, ორჯერ ნატყვიარი მერხიც...**

ქოუდიში დღემდე ისე აცვიათ, როგორც ძველად – დიდი ქუდი, ჩექმა, ჯინსი. ყოველდღიური ცხოვრების ეტიკეტიც კი შენარჩუნებული აქვთ, ფილმებში რომ გვინახავს: ქუჩაში მიდის ქავბოი, დაინახავს მანდილოსანს და თითის წვერით ოდნავ აიწევს ქუდს – პატივისცემისა და მისალმების ნიშნად.

როგორც წინათ, ახლაც მათთვის ქუდი ძალზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია. შედიხარ სასადილოში და ხედავ: ზის უამრავი ქავბოი, სადილობს, ქუდი კი თითქმის ყველას სკამის ქვეშ აქვს შენახული – საოცარი სცენაა.

**მგონი, მანქანები რომ არ ყოფილიყვნენ, ვიფიქრებდი, რომ ძველ ველურ დასავლეთში ვარ".**

რა გასაკვირია, რომ ასეთ ქალაქში უცხოელი სტუმარი დიდი პატივისცემით მიიღეს. "ერთხელ წამიყვანეს ოჯახში, რომლის დიასახლისიც არაჩვეულებრივი ცხენოსანი იყო. მისმა მეუღლემ კი ვერ მოითმინა, პატივისცემის ნიშნად იქვე, ეზოშივე გამოიტანა არაყი და სადღეგრძელო წარმოთქვა – ხანდახან თავი მართლა საქართველოში მეგონა".

## ინდიელი ბელადები და ახალი აღმოჩენები

როგორც ირაკლი მახარაძე აცხადებს, საქართველოში უამრავი მასალა ჩამოიტანა. აქამდე უცნობი ფოტოების ასლები, საგაზეთო წერილები, გვარები, უცნობი გურულების ნახატები, რომელთა ვინაობის დადგენასაც მახარაძე ახლა შეეცდება. ამ ფოტოებზე ერთ-ერთი ქალი-მოჯირითეც გახლავთ. ეს კი გურულთა ამერიკულ ვოიაჟს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ირაკლი მახარაძეს სურს, იმ ქართველთა ვინაობაც დაადგინოს, რომლებიც ველურ დასავლეთში მოგზაურობის შემდეგ ამერიკაში დარჩენილან: "მითხრეს, მონტანაში ცხოვრობდა ერთი წვერ-ულვაშიანი კაციო, ხმალი ჰქონდა და მეტსახელად "რაშენს" (რუსს) ეძახდნენო. სავარაუდოდ, ის გურულების რაზმის წევრი უნდა ყოფილიყო".

**"საერთოდ "ველური დასავლეთის შოუზე" დაცულ მასალებში ყველაზე დიდი ადგილი ინდიელებზე დოკუმენტებს უჭირავს. უცხოელი ცხენოსნებისგან კი ყველაზე ხშირად სწორედ "რუს კაზაკებზე" წერენ. მეტიც, ცნობისმოყვარეობა მათ მიმართ იმხელა იყო, რომ ხშირად იმდროინდელ გაზეთებში "კაზაკების" ჩაცმულობასაც დეტალურად აღწერდნენ ხოლმე და, ვინ იცის, შემდეგ ბაძავდნენ კიდეც",** - გვიყვება ველური დასავლეთის ქართველი ექსპერტი.

ქოუდიში მოგზაურობის დროს ირაკლი მახარაძემ ინდიელთა ცნობილი ტომის ქროუს ახლანდელი ბელადი უილიამ ბიგდეიც გაიცნო. "ერთხელ მას მოვუყევი: არსებობს მოსაზრება, რომ ინდიელები ამერიკაში კავკასიიდან წავიდნენ და ესე იგი, შესაძლოა, მე და შენ ერთი ძირიც გვქონდეს-მეთქი და ატირდა.

თურმე, ძველი დროიდან ბევრი რამ შეიცვალა. თეთრკანიანები ახლა ნანობენ ძველ ამბებს და პატიებს ითხოვენ ინდიელთაგან. თუმცა, როგორც ბიგდეიმ მიამბო, თურმე, მათ არ აქვთ უფლება, ინდიელთა რეზერვაციაში მიწა იყიდონ...

მერე ვამშვიდებდი, რომ ჩვენ, ქართველებიც, გარკვეულწილად ინდიელები ვართ – რუსებისთვის...", - იხსენებს რეჟისორი.

## რა იქნება შემდეგ

ახლა, როდესაც ისტორიული სინამდვილე, როგორც ჩვენთან, ისე ამერიკაში აღდგენილია; როდესაც ბაფალო ბილის ქალაქი – ქოუდი გურული მოჯირითეების მშობლიურ ლანჩხუთთან მეგობრობს, ალბათ, უფრო დიდი შანსია იმისა, რომ "საქართველო-ამერიკის ურთიერთობის ეს უძველესი პრეცედენტი" მართლაც გახდეს სათანადო ყურადღების ღირსი.

სწორედ ამ მიზნით ირაკლი მახარაძეს სურს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ერთი ოდა აიღოს და ის მთლიანად ველურ დასავლეთში გურულთა მოგზაურობას მიუძღვნას – ფოტოებისა და ნახატების ასლებით, ინდიელთა და გურულთა რეალური ზომის მანეკენებით – ერთი სიტყვით, სრულყოფილი ვიზუალური და წერილობითი მასალით.

მახარაძეს ამ ახალი აღმოჩენების შემდეგ წიგნის გადახალისება და ფილმის გადაღებაც სურს (მისი პირველი დოკუმენტური ფილმი ველური დასავლეთის მხედრებზე 1997 წელსაა გადაღებული).

მე კი, იმედი მაქვს, რომ ირაკლი მახარაძე შეძლებს სურვილების რეალობად ქცევას. კიდევ იმის იმედიც მაქვს, რომ ეს ოდა საქართველოში სერიოზული ტურიზმის ბიზნესის დასაწყისი გახდება; ბიზნესის, რომელსაც ჩვენთან ჯერჯერობით წარმატებით ჯაბნის გაუმაძღარ კუჭებზე გათვლილი და მომენტალური მოგების მომტანი საზოგადოებრივი კვების პუნქტები.



დ. ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორი




თბილისი, ვ. გორგასლის 93 (ორთაჭალა, ციხეების შემდეგ) ტელ: 26 22 11, 75 26 98, ტელ/ფაქსი: 75 21 56

# ფრანკფურტი, წმ. პავლეს ტაძარი, 12 ოქტომბერი, 2003 წელი

## მშვიდობის პრემია სიუზენ სონტაგისთვის

ანა კორძაია-სამადაშვილი

"სიუზენ სონტაგის სახით პატივს მივაგებთ მწერალს, რომლის შემოქმედებაც, როგორც მთხრობელისა და ესეისტისა, დასავლური კულტურის არსისა და ფასეულობის კვლევასა და დაცვას ეძღვნება. სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ის დიდი ანალიტიკური სიმძაფრით აღწერდა დინამიური ყოველდღიურობის მოთხოვნებს და მათ მნიშვნელობას ჩვენი თანამედროვეებისა და თავისუფლების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. მისი ნამუშევრებით, რომლებშიც არასოდეს ივიწყებდა ევროპულ მემკვიდრეობას, ის ორ კონტინენტს შორის ყველაზე ღირსშესანიშნავ ინტელექტუალ შუამავალთა რიცხვს მიეკუთვნება. სახეცვლილი ხატებისა და დაცემული ჭეშმარიტების სამყაროში ის თავისუფალი აზროვნებისთვის იბრძოდა".

ასე დაასაბუთა გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანებამ თავის არჩევანი. გუშინ კი ფრანკფურტის წმინდა პავლეს ტაძარში მშვიდობის პრემია სიუზენ სონტაგს გადაეცა.

დაიბადა 1933 წელს ნიუ იორკში;

სწავლობდა ფილოსოფიას, ლიტერატურატმცოდნეობას და თეოლოგიას, ნაწილობრივ, ჰარვარდის უნივერსიტეტშიც, სადაც შემდგომ ამავე საგნების ლექტორი იყო;

1959 – გაზეთ Commentary-ს თანაგამომცემელი;

60-იანები – ინგლისურისა და ფილოსოფიის პედაგოგი;

1963 – The Benefactor;

სარეჟისორო საქმიანობა;

ესსები, მოთხრობები და კრიტიკული წერილები;

2000 – ეროვნული ჯილდო წიგნისთვის "ამერიკაში";

2003 – "ასტურიის პრინცის ჯილდო";

2003 – ტიუბინგენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი;

2003 - მშვიდობის პრემია.

იმ ფაქტმა, რომ მას გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანების მშვიდობის პრემიას ანიჭებენ, ქალბატონ სონტაგს ფრიად არეული ემოციები მოჰგვარა. შაბათს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმრებს სიუზენ სონტაგმა უამბო, რომ ამ ცნობის მიღების შემდეგ ის, პირველ რიგში, თავის "წინამორბედთა" სიას გაეცნო და იფიქრა: "უნდა მოკვდე. თუ ჯილდო გადმოგცეს, ეს იმის ნიშანია, რომ ყველაფერი დამთავრდა. ეს ჯილდო ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდებულმა ქალებმა და მამაკაცებმა მიიღეს, და მე საკუთარ თავი ასეთად არ მიმაჩნია". ასეთი უჩვეულო თავმდაბლობა გამოიჩინა 70 წის მწერალმა, რომელსაც "ამერიკის ზნეობრივ ცნობიერებად" მოიხსენებენ ხოლმე.

მოკლედ

## "ინტერის" ყოფილი ექიმი მიიჩნევს, რომ ფადიგა შეიძლება მოკვდეს

ამ დღეებში "ინტერის" ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა კარდიოლოგი ბრუნო კარუ, რომელიც კლუბის სამედიცინო კომისიაში შედიოდა. გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა მარკო ბრანკამ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ მომავალში კლუბი სამსახურისთვის აღარ მიმართავს კარუს, რომელიც იტალიის საუკეთესო კარდიოლოგთა რიცხვში შედის.

დირექტორმა მყისიერი რეაგირება მოახდინა და საზოგადოებას ჰალილუ ფადიგას ტრანსფერთან დაკავშირებით რამდენიმე დეტალი ამცნო. ფადიგას გულთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. "მათ მართლაც გამათავისუფლეს? მე გაოცებული ვარ, რადგან ამის შესახებ ჩემთვის არავის უთქვამს. ნებისმიერ შემთხვევაში "ინტერს" მე ვჭირდები და არა პირიქით. მე ჩემთვის ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ", - დაასკვნა "ინტერის" ყოფილმა ექიმმა.

შემდეგ კარუ მოყვა თავისი გათავისუფლების ნამდვილ მიზეზებს. "როცა ფადიგას ჯანმრთელობის შესახებ საზოგადოებამ გაიგო, ფეხბურთელის აგენტმა მთხოვა, კონფიდენციალურად შევხვედროდი. მე უარი ვუთხარი. შესაძლოა, აგენტს უნდოდა, გაეგო, შეიძლებოდა თუ არა, ფეხბურთელი სხვა გუნდში ისე გაყიდულიყო, რომ ასეთი დეტალური გამოკვლევისგან გათავისუფლებულიყო", - განაცხადა ექიმმა.

"ინტერში" ჩემი მიზანი იყო როგორც ფეხბურთელთა ჯანმრთელობის, ისე კლუბის ინტერესების დაცვაც. დარწმუნებული ვარ: თუ ფადიგა მინდორზე გამოვა, ის საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებს. მე არ ვამტკიცებ, რომ განკურნება შეუძლებელია. ჩემს ხელში ანალოგიური პრობლემების მქონე რამდენიმე ფეხბურთელმა გაიარა და ისინი დიდ ფეხბურთს დაუბრუნდნენ. ოღონდ ამისთვის ფადიგამ მკურნალობის სრული კურსი უნდა ჩაიტაროს და ამისთვის, სულ ცოტა, ერთი სეზონი გამოტოვოს", - დაასკვნა კარუმ.

## "ვირტუსი" ევროლიგიდან მოკვეთეს

გუშინ ბარსელონაში ევროლიგის დირექტორთა საბჭომ ბოლონიის "ვირტუსის" 2003-2004 წლის გათამაშებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. შეგახსენებთ, რომ ბოლონიურ კლუბთან დაკავშირებით გაურკვევლობა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ზაფხულში იტალიის კალათბურთის ფედერაციამ გუნდი ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშებიდან მოხსნა. დისკვალიფიკაცია გამოიწვია კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მოთამაშეთა მიმართ საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობამ.

გადაწყვეტილების თანახმად, "ვირტუსის" ადგილს ევროლიგაში შარშანდელი "ოთხთა ფინალის" მონაწილე იტალიური კლუბი "მონტეპასკი სანა ბასკეტი" (სიენა) დაიკავებს. 5 ნოემბერს, პირველ მატჩში, "მონტეპასკი" მოსკოვის ცსკას შეხვდება.

## მილარი პირველია

კანადის ქალაქ ჰამილტონში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში. ხუთშაბათს, თბილისის დროით გამთენიისას, გათამაშდა მედლები ინდივიდუალურ რბოლაში.

რბოლა დამაჯერებლად მოიგო ინდივიდუალური რბოლის ოსტატმა, ბრიტანელმა დევიდ მილარმა. მან წუთნახევრით გაუსწრო ავსტრალიელ მაიკლ როჯერსს. მესამე ადგილზე გავიდა გერმანელი უვე პეფშელი.

მილარი ველოსპორტის სამყაროში ინდივიდუალური რბოლების უმთავრეს ოსტატად მიიჩნევა. ბრიტანელმა "ტურ დე ფრანსზეც" საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა თავი. თუმცა, ესპანურ "ვუელტაზე" მისი შედეგები არც ისე დამაჯერებელი იყო და ბევრი სპეციალისტის გაოცებაც გამოიწვია. იქ მილარმა ესპანელ ისიდორო ნოსალს დაუთმო გამარჯვება.

"დღეს შესანიშნავი დღე იყო, - ფინიშის შემდეგ განაცხადა დევიდ მილარმა, - მე მჭირდებოდა, მიმეღო იმის კონკრეტული დასტური, რომ, მართლაც, ინდივიდუალური რბოლის ოსტატი ვარ".

გამარჯვება ბრიტანელის ოსტატობის დამადასტურებელი გახდა.

## ჰოლანდიაში გაიმართება "ოთხთა ფინალი" ძიუდოში

გუშინ ამსტერდამის შემოგარენში დაიწყო ევროპის საკლუბო თასის გათამაშების "ოთხთა ფინალი" ძიუდოში. ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ოთხეულში რუსეთის ორი წარმომადგენელი გავიდა – ბოლო ორი შეჯიბრების გამარჯვებული სანკტ-პეტერბურგის "იავარა-ნევა" და მოსკოვის "სამბო-70". ამ გუნდებს გერმანიის "აბენსბერგი" და ჰოლანდიის "კენამიუ" გაუწევენ კამპანიას. ბრძოლები შარშანდელი ფორმულით გაიმართება - ნახევარფინალში ორი რაუნდი შვიდი ბრძოლით. გერმანელები მოსკოველებს დაუპირისპირდებიან, ჰოლანდიელები – კი სანკტ-პეტერბურგელებს. გამარჯვებულები ფინალში იჭიდავებენ, დამარცხებულებს კი ბრინჯაოს მედლები გადაეცემათ.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 13 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. შოტლანდია - ლიტვა
15:10 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
15:40 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
16:10 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია - მოლდოვა
18:45 რუსეთი – საქართველო. წვრილმანები
19:00 ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის შესარჩევი მატჩი. რუსეთი – საქართველო
20:45 "ექსპერტიზა"
21:25 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური
21:40 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. თურქეთი – ინგლისი
23:25 სახვალიო ტელეპროგრამა
23:30 "წვრილმანები". შესარჩევი ციკლი
00:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან-პაულუ" – "კორინთიანსი"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:00, 16:45, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 სპორტული ცეკვები. ლათინოამერიკული ცეკვების მსოფლიო ჩემპიონატი
14:40 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
15:10 როდეო. "Bull Riders"
16:00 რბენის ციმბირული ფესტივალი
16:15 "რკინის ფაქტორი"
17:00 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:30) NHL-პლუსი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
21:00 "დიდი რინგი"
23:00 "კვირის თემა"
00:00 "რკინის ფაქტორი"
00:30 "NHL-პლუსი"
00:45 ახალი ამბები
01:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "BUFFALO SABRES" - "DALLAS STARS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 მოტორბოლები. გრან-პრი მალაიზიაში
12:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
15:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
17:00 ფეხბურთი. ევრო-2004
18:00 ფეხბურთი. ევრო-2004
19:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
20:30 ფეხბურთი. ევრო-2004
22:00 მულტისპორტი
22:30 სნუკერი. პრესტონის თასი ბრიტანეთში
00:30 ფეხბურთი. ევრო-2004
02:00 ფეხბურთი. უეფა
03:00 ახალი ამბები
03:15 მულტისპორტი
03:30 მოტორბოლები. გრან-პრი მალაიზიაში
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# საქართველო მარცხდება, მაგრამ არ იყიდება

აკა ტონია

**რუსეთი - საქართველო 3:1**

**რუსეთი:** *ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენიკოვი, გუსევი (ალდონინი 63`), მოსტოვოი, ტიტოვი, კარიაკა (იზმაილოვი 46`), კერჟაკოვი (სიჩოვი 56`), ბულიკინი.*
**საქართველო:** *ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე, კობიაშვილი, კვირკველია, ცქიტიშვილი (ასათიანი 54`), ნემსაძე, ჯამარაული (ბურდული 46`), იაშვილი, აშვეთია (დარასელია 58`), დემეტრაძე.*
**გოლები:** *0:1 იაშვილი (3`), 1:1 ბულიკინი (30`), 2:1 ტიტოვი (45`), 3:1 სიჩოვი (72`).*
**გაფრთხილება:** *დემეტრაძე (1`), კობიაშვილი (31`), სიჩოვი (71`), ნემსაძე (80`).*
**მსაჯი:** *კონრად პლაუცი (ავსტრია).*

რუსეთთან მატჩში წარმატების იმედი, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ამჯერადაც რუსეთი იყო, საქართველოში არ იგრძნობოდა პირველი მატჩის მსგავსი აჟიოტაჟი. ცხადია, მაშინ სხვაგვარად იყო საქმე, ჩვენ ჯერ კიდევ ვინარჩუნებდით ჯგუფიდან გასვლის შანსს, თანაც, ის შეხვედრა ჩვენთან, საკუთარ კედლებში იმართებოდა. გუშინწინდელი მატჩი კი, სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, მხოლოდ იმას გადაწყვეტდა, საქართველო ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდოდა თუ ბოლოსწინაზე. ბოლოს ქართველებმა ისიც გადაწყვიტეს, რომ, თურმე, ეს თამაში გაგვიყიდია...

ყველაფერი მატჩის მესამე წუთზე შეიცვალა, როდესაც იაშვილმა ანგარიში გახსნა. უცბად დაბრუნდა იმედი, ჩვენს ნაკრებზე დაბოღმილ გულშემატკივარს ძველი წყენა გადაავიწყდა... იაშვილის გოლს რამდენიმე მწვავე შეტევა მოყვა, მატჩის დებიუტში უპირატესობა აშკარად ჩვენკენაა - მაინც არ გაუყიდიათ საქართველოს პრესტიჟი! მაინტერესებს, რას ფიქრობდნენ ამ დროს ისინი, ვინც ასე დაბეჯითებით ირწმუნებოდა, მატჩის ბედი მის დაწყებამდე გადაწყვიტესო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემთვის გუშინწინდელ მატჩს კიდევ ერთი დატვირთვა ჰქონდა: ძალიან მინდოდა, რომ ჩვენს ნაკრებს ჭორების გამავრცელებლებისთვის გაეცა საკადრისი პასუხი. იაშვილის გოლმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩემი ეს სურვილი, თუმცა...

...ეს მატჩი მეტისმეტად წააგავდა ალბანეთთან გასვლით შეხვედრას. დებიუტი იქაც კარგი იყო. პირველ წუთებში აშკარა უპირატესობა გვქონდა, თუმცა, შემდეგ... ანგარიშიც იდენტურია - 1:3.

რუსეთთან მატჩი იმით სჯობდა ალბანურს, რომ აქ ანგარიში მიგვყავდა, უპირატესობაც უფრო დიდხანს იყო ჩვენკენ. შემდეგ ისეთივე უსუსურები გავხდით, როგორც ტირანაში.

ამ მატჩზე უამრავი რამის თქმა შეიძლება. შეგვიძლია, გავარჩიოთ თითოეული ეპიზოდი, ფეხბურთელები შევაფასოთ და ნიშნებიც დავუწეროთ, მწვრთნელების პრეროგატივა ავიღოთ თავზე და საკუთარი სათამაშო სქემები წარმოვადგინოთ... ღირს კი?

თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც დადებითი ამ მატჩშიც არის. იმ "პასუხს" ვგულისხმობ, ზემოთ რომ ვსაუბრობდი. წაგება ყოველთვის ცუდია, მაგრამ თუ ხალხს ჭორების გავრცელების საფუძველი აღარ ექნება, ეს უკვე კარგია, მაშინ წაგებიდანაც შეიძლება პატარა სარგებლის ნახვა. თუ წმინდა სპორტული თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, გუშინწინდელი მატჩი ნამდვილად არ ყოფილა ტრაგედია. ეს მატჩი წარუმატებელი, ავადსახსენებელი ეტაპის დასასრული უნდა იყოს. ახლა ყველაფერს ახლიდან ვიწყებთ, ახალი მწვრთნელის, ახალი შესარჩევი ციკლის მოლოდინში ვართ. გულშემატკივარს იმედს რა გამოულევს? ღმერთმა ქნას, ეს იმედი გაგვიმართლდეს, რომ ვიღაცამ მათი გაყიდვა აღარ დაგვაბრალოს...

### კომენტარები მატჩის შემდეგ:

**მერაბ ჟორდანია (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):** "ვულოცავ რუსეთს გამარჯვებას. მათ იმიტომ გაიმარჯვეს, რომ ეს ჩვენზე მეტად სჭირდებოდათ. ჩვენი ფეხბურთელები სამშობლოს ღირსებისთვის იბრძოდნენ, მათ ყველაფერი გაიღეს. სასაყვედურო არაფერი მაქვს. ჩვენთვის სულერთი არ არის, თუ ვინ გავიდოდა შემდეგ ეტაპზე. რუსეთი ჩვენი მეზობელია, ამიტომ გიორგი იარცევის გუნდს პლეი-ოფის მატჩებში წარმატებას ვუსურვებ".

**გიორგი ლომაია (საქართველოს ნაკრების მეკარე):** "ცხადია, გატანილმა გოლმა დიდი იმედები ჩაგვისახა, თუმცა, შემდეგ რუსებმა აშკარად გვაჯობეს. ჩემი თანაგუნდელის, ტიტოვის მიერ გატანილმა მეორე გოლმა გარდატეხა შეიტანა მატჩში. შეხვედრის შემდეგ ტიტოვს პირადად მივულოცე წარმატება. მეორე ტაიმში ბევრი საქმე მქონდა. ცხადია, მინდოდა, რომ მოსკოველი გულშემატკივრისთვის კარგად წარმომედგინა თავი. მე ხომ "სპარტაკის" მოთამაშე ვარ".

**ლევან კობიაშვილი (საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი):** "პირველ ტაიმში მეტოქეს ტოლი არ დავუდეთ. ტიტოვის გოლმა კალაპოტიდან ამოგვაგდო, ამის შემდეგ ძნელი იყო საკუთარი თამაშის პოვნა. კალაძე რომ ყოფილიყო, შესაძლოა, უკეთ გვეთამაშა. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, პირიქით, მეტი გოლი გაგვეშვა. კახა ჩამოფრინდა მოსკოვში, ჩვენ გვქომაგობდა, თუმცა, მისმა მხარდაჭერამ ვერ გვიშველა".

**გიორგი იარცევი (რუსეთის ნაკრების მწვრთნელი):** "ამ მატჩს არავითარი კულუარული გარიგებები არ ახლდა თან. ის, რომ ქართველები საბრძოლველად იყვნენ განწყობილი, პირველივე წუთზე დემეტრაძის დაჯარიმებამ დაგვანახა. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები პატივს სცემენ საკუთარ ღირსებას, ისინი წასაგებად ნამდვილად არ გამოვიდოდნენ მოედანზე. ჩვენს ნაკრებს სერიოზული პრობლემები შეექმნა. ტრავმა ჰქონდა სმერტინს, ის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ყველაფრის მიუხედავად, ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. სასიამოვნოა, რომ ხალხი ასე მხურვალედ გვქომაგობდა. გასახდელში ბორის ელცინმა მოგვილოცა. ყველას დიდ მადლობას ვუხდი".

**ალექსანდრე მოსტოვოი (რუსეთის ნაკრების მეკარე):** "დასაწყისი ისეთი იყო, რომ უარესს ვერც წარმოვიდგენდით. გოლი მესამე წუთზე გაგვიტანეს, თანაც, ძალიან დასანანი იყო, რადგან ბურთი რიკოშეტით გავიდა. თუმცა, ძალები მოვიკრიბეთ, შეცდომები გამოვასწორეთ და თამაშში გარდატეხა შევიტანეთ. ასე რომ, ჩვენი გამარჯვება კანონზომიერია.



რუსეთის შეტევებისგან ვერც ხიზანიშვილმა დაგვიხსნა

## ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის უკანასკნელი შესარჩევი მატჩები და საბოლოო ცხრილები

**ჯგუფი 1**

| | |
|---|---|
| კვიპროსი - სლოვენია | 2:2 |
| საფრანგეთი - ისრაელი | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 29:2 | 24 |
| სლოვენია | 8 | 4 | 2 | 2 | 15:12 | 14 |
| ისრაელი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 |
| კვიპროსი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | 8 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 5:24 | 1 |

**ჯგუფი 2**

| | |
|---|---|
| ნორვეგია - ლუქსემბურგი | 1:0 |
| ბოსნია-ჰერცეგოვინა - დანია | 1:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ნორვეგია | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 21:9 | 14 |
| ბოსნია-ჰერც. | 8 | 4 | 1 | 3 | 7:8 | 13 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 0:21 | 0 |

**ჯგუფი 3**

| | |
|---|---|
| ავსტრია - ჩეხეთი | 2:3 |
| ჰოლანდია - მოლდოვა | 5:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:5 | 22 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 20:6 | 19 |
| ავსტრია | 8 | 3 | 0 | 5 | 12:14 | 9 |
| მოლდოვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5:19 | 6 |
| ბელორუსი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:20 | 3 |

**ჯგუფი 4**

| | |
|---|---|
| შვედეთი - ლატვია | 0:1 |
| უნგრეთი - პოლონეთი | 1:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:3 | 17 |
| ლატვია | 8 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 16 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:9 | 11 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0:30 | 0 |

**ჯგუფი 5**

| | |
|---|---|
| შოტლანდია - ლიტვა | 1:0 |
| გერმანია - ისლანდია | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 5 | 3 | 0 | 13:4 | 18 |
| შოტლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| ლიტვა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:11 | 10 |
| ფარერები | 8 | 0 | 1 | 7 | 7:18 | 1 |

**ჯგუფი 6**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი - ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| სომხეთი - ესპანეთი | 0:4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 8:4 | 18 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:4 | 17 |
| უკრაინა | 8 | 2 | 4 | 2 | 11:10 | 10 |
| სომხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:16 | 7 |
| ჩრ. ირლანდია | 8 | 0 | 3 | 5 | 0:8 | 3 |

**ჯგუფი 7**

| | |
|---|---|
| თურქეთი - ინგლისი | 0:0 |
| ლიხტენშტაინი - სლოვაკეთი | 0:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 6 | 2 | 0 | 14:5 | 20 |
| თურქეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:5 | 19 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:9 | 10 |
| მაკედონია | 8 | 1 | 3 | 4 | 11:14 | 6 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:22 | 1 |

**ჯგუფი 8**

| | |
|---|---|
| ხორვატია - ბულგარეთი | 1:0 |
| ბელგია - ესტონეთი | 2:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:4 | 17 |
